კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ეკატერინე ლომია

სამხრეთ კავკასია — დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი (საქართველოს მაგალითზე)

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2021

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ეკატერინე ლომიას** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, დასახელებით **„სამხრეთ კავკასია — დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი (საქართველოს მაგალითზე)“** და ვაძლევთ რეკომენდაციას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----„ .....2021 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თამარ კიკნაძე ----------

თანახელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სოსო ვახტანგაშვილი ----------

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,
მაია კაპანაძე ----------

რეცენზენტი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

ვაჟა შუბითიძე ----------

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2021 წელი

ავტორი: ეკატერინე ლომია

თემის დასახელება: სამხრეთ კავკასია — დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი (საქართველოს მაგალითზე)

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-------„ ---------- 2021 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი მიზნად, ისახავს შეისწავლოს დიდი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველოს მაგალითზე. საუკუნეების განმავლობაში, სამხრეთ კავკასია მუდამ წარმოადგენდა დომინანტი საერთაშორისო აქტორების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს, რაც, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. იგი არა მარტო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო და ენერგეტიკულ კვანძს ქმნის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, სამხრეთ კავკასიის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, როგორც ტრადიციული რეგიონული მოთამაშეები (რუსეთი, თურქეთი და ირანი), ისე არარეგიონული აქტორები (აშშ, ნატო, ევროკავშირი, ჩინეთი), რომლებიც, ცხადია, რეგიონში ერთიმეორის საპირწონედ, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედებენ. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია დიდი მოთამაშეების ინტერესებზე სამხრეთ კავკასიაში (საქართველოს მაგალითზე). დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან, საქართველომ, არაერთი სირთულისა და გამოწვევის მიუხედავად, ქვეყნის პროდასავლური და დემოკრატიული განვითარების გზა აირჩია და ღირსეულად დაიმკვიდრა თავისი განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ნაშრომის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია — საკვლევი თემატიკის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ჰიპოთეზა და საკვლევი შეკითხვები. განსაზღვრულია — კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის განსახორციელებლად, ჩავატარეთ ნახევრად-სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული, ინტერვიუ შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებსა და მეცნიერებთან. სამიზნე ჯგუფად

შევარჩიეთ შემდეგი ექსპერტები: ვ. მაისაია, ნ. ჩიტაძე, პ. მამრაძე, ზ. აბაშიძე, გ. მარხულია და ა. ორელი. ჩატარებული კვლევის შედეგად, მეცნიერთა შორის გამოვლინდა ურთიერთგანსხვავებული შეხედულებები, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარა საკითხის უკეთ გააზრებაში, რელევანტური დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირებაში.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 242 გვერდს და შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის, 11 ქვეთავისა და დასკვნითი ნაწილისგან, რომელშიც შეჯამებული და არგუმენტირებულად დასაბუთებულია კვლევის შედეგები. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია რეზიუმე, თითოეული თავისა და ქვეთავის მოკლე ანალიზი, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომის ბოლოში წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურის სია (245 გამოყენებული ლიტერატურა) და დანართები, მათ შორის, 7 რუკა, 4 დიაგრამა და 2 სქემა.

Resume

This thesis aims to examine the interests of the main political actors in the South Caucasus region (the case of Georgia). Over the centuries, the South Caucasus has always been the subject of special attention of the dominant international actors, and this has primarily been explained by the favorable geographical location of the region. The region becomes the most important transport and energy hub connecting not only East and West but also North and South. Since the collapse of the Soviet Union, both traditional regional players (Russia, Turkey, and Iran) and non-regional actors (US, NATO, EU, China) have shown particular interest in the South Caucasus, clearly acting as counterbalances to their interests in the region. The thesis focuses on the interests of major players in the South Caucasus. From the first days of its independence, Georgia, despite many problems and challenges, has chosen the country's pro-Western and democratic path of development and truly secured its special place in the world political map.

The present thesis consists of 242 pages and includes an introduction, three chapters, and 11 subchapters. In a conclusion, the results of the research are summarized. The dissertation presents a summary, a brief analysis of each chapter and subchapters, in Georgian and English languages. A list of bibliography is presented at the end of the work (literature used —245). Appendices are also presented at the end of the work, including 7 maps and 4 diagrams, and 2 schemes.

We conducted semi-structured in-depth interviews with relevant field specialists, scientists, and experts. We selected the following experts as the target group: V. Maisaia, N. Chitadze, P. Mamradze, Z. Abashidze, and A. Oreli. As a consequence, different opinions were observed among scientists, which helped us immensely in terms of understanding the issue better and formulating the conclusions and recommendations.

სარჩევი

რეზიუმე.....V
Resume.....VII
შესავალი.....13
თავი I. ახალი მსოფლიო წესრიგი და ახალი პოლიტიკური რეალობა
1.1. პოსტბიპოლარული სამყარო და ახალი მსოფლიო წესრიგი.....41
1.2. ლიბერალიზმის გამარჯვება, როგორც ერთპოლარული სამყაროს მოცემულობა.....60
1.3. სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში.....73
თავი II. თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ტენდენციები და საქართველო საერთაშორისო სისტემის ახალ კოორდინატებში
2.1. დასავლეთის ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში და საქართველო.....87
2.2. აშშ-რუსეთის ურთიერთშეკავების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მაგალითზე.....100
2.3. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები — რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა.....112
თავი III. გლობალური პროექტები, როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა განხორციელების მექანიზმი
3.1. სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგოდერეფნის მნიშვნელობა და ნატოს როლი კავკასიის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში.....125
3.2. ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონში და საქართველოს მონაწილეობა „სამეზობლო პოლიტიკასა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამებში“.....142
3.3. ჩინეთის გლობალური პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ და საქართველო.....155
3.4. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თავისებურებები რეგიონულ და გლობალურ ჭრილში.....168
3.5. ირანის როლი სამხრეთ კავკასიაში და საქართველო.....179
ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან.....187
დასკვნა.....194
გამოყენებული ლიტერატურა.....201
დანართები.....220

გამოყენებული აბრევიატურები:

BTC — Baku-Tbilisi-Geyhan — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი;

BTE — Baku-Tbilisi-Erzurum — ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენი;

BT — British Petroleum — „ბრიტიშ პეტროლეუმი“, ბრიტანეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანია;

BSEC — Black Sea International Cooperation — ბისეკი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია;

CIS — Commonwealth of Independent States — დსთ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა;

DCFTA — Deep and Comprehensive Free Trade Agreement — ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება;

EU — European Union — ევროკავშირი, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება;

ENP — European Neighbour Policy — ევროპული სამეზობლო პოლიტიკა;

EaP — Eastern Partnership — აღმოსავლეთ პარტნიორობა;

EUMM – European Union Moritoring Mission - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია;

GID — Geneva International Discussions — ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები;

INOGATE — Oil and Gas Transport to Europe — ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ;

IPAP — Individual Partnership Action Plan — ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა;

KFOR — Kosovo Force — სამშვიდობო ძალები კოსოვოში;

MCC — Millennium Challendge Corporation — ათასწლეულის გამოწვევის ფონდი;

NATO — North Atlantic Treaty Organisation — ნატო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია;

OBOR — One belt — one Road — „ერთი გზა — ერთი სარტყელი";

OSCE — Organisation for Security and Co-operation in Europe — ეუთო, ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია;

PPP — Partnership for Peace Program — პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამა;

TANAP — Trans-Anatolian Pipeline — ტანაპი, ტრანს-ანატოლიური მილსადენი;

TACIS — Technical Assistance to the Commonwealth of Independent States — ტასისი, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა დსთ-ს ქვეყნებისთვის;

TAP — Trans-Adriatic Pipeline — ტაპი, ტრანს-ადრიატიკული მილსადენი;

TRACECA — Trannsport Corridor Europe Caucasus — ევროპა-კავკასიის სატრანსპორტო კორიდორი;

UN — United Nations — გაერო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

მადლიერების გვერდი

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც უდიდეს შრომასა და ნებისყოფას მოითხოვს. აქამდე გრძელი გზა გამოვიარე. გულწრფელად აღვნიშნავ, წინამდებარე დისერტაცია ვერ შედგებოდა, რომ არა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელების — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის, პროფესორ თამარ კიკნაძისა და ისტორიის მეცნიერების დოქტორის, პროფესორ სოსო ვახტანგაშვილის უდიდესი დახმარება, ყურადღება და მხარდაჭერა. მათ წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში.

ღრმა პატივისცემით, მადლობას ვუხდი დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნინო მინდიაშვილს, მისი თანადგომა ჩემთვის ფასდაუდებელია. უღრმესი მადლობა ასევე ქალბატონ ქეთევან შოშიაშვილს, რომლის გულთბილ დამოკიდებულებას კვლევის პროცესში მუდმივად ვგრძნობდი.

უღრმესი მადლობა სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ვალერიან მოდებაძეს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპათმცოდნეობის დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორ დავით ტაბატაძეს, ისტორიის მეცნიერების დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ მაია კაპანაძეს, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ვაჟა შუბითიძეს.

მადლობა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერტულ ინტერვიუში. ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ფილოლოგიის დოქტორ ანა გოგილაშვილს.

ვუძღვნი ბებიას – შურა
ღვინჯილია-ლომიას -
ხსოვნას

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა. სამხრეთ კავკასია იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც ოდითგანვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხერხემალსა და სხვადასხვა ცივილიზაციის დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ძლევამოსილი იმპერიები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ რეგიონში სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა და დომინანტური პოზიციის შენარჩუნებისთვის. სწორედ სამხრეთ კავკასიაზე იკვეთებოდა ევროპული და აზიური ინტერესები, ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციები. XVII-XVIII საუკუნეებში ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიები მონაცვლეობით იპყრობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს, ისინი კავკასიაში არა მარტო რეგიონული, არამედ გლობალური ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდნენ.

ოსმალეთის იმპერიის მიერ ანატოლიის დაპყრობით, მსოფლიოში საფუძველი ეყრება გარდამტეხ ცვლილებებს. 1453 წელს ემხობა ბიზანტიის იმპერია. ოსმალები იჭრებიან სამხრეთ კავკასიაში, რომლებიც ირანთან ბრძოლაში ერთვებიან, რეგიონში საკუთარი ძალაუფლების დამყარებისთვის. ოსმალეთისთვის, საქართველოსა და, უფრო ფართო კონტექსტში, სამხრეთ კავკასიაში ბატონობა, მთლიანად კავკასიის რეგიონის კონტროლს გულისხმობდა. ამდენად, მათთვის „საქართველოზე კონტროლის მოპოვება კავკასიის სხვა თურქულენოვან და მუსლიმ ხალხებთან შეუფერხებელ დამაკავშირებელ გზად აღიქმებოდა“.[1]

[1] კომახია მ. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. 2002, გვ. 4. იხ. http://library.fes.de, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

XVI-XIX საუკუნეები, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის, ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთს შორის დაპირისპირებით ხასიათდება. XVI საუკუნიდან განსაკუთრებით ძლიერდება რუსეთის იმპერია, რომელიც კავკასიისკენ მოიწევს და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს, ამ დროისთვის უკვე დასუსტებული სპარსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ კი — ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.[2] 1724 წელს, სტამბოლში, ხელი მოეწერა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყნებმა, ფაქტობრივად, გადაინაწილეს დასუსტებული სპარსეთის კავკასიური რეგიონები. აღნიშნული პერიოდიდან, სამხრეთ კავკასიაში ცალსახად შეინიშნება რუსეთის იმპერიის დომინანტური როლი, ვინაიდან ოსმალეთის იმპერია, რომელმაც წლების განმავლობაში „ევროპის წინაშე მოიპოვა დომინანტური პოზიცია“,[3] მნიშვნელოვნად სუსტდება და თანდათან კარგავს გავლენას. სამხრეთ კავკასია რუსეთის მიერ უზურპირებულ რეგიონად იქცევა.

რუსეთის იმპერია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, ვინაიდან აღნიშნულ რეგიონს, რომელიც ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობდა, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიისთვის მზარდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამდენად, სამხრეთ კავკასიის ფაქტორი რუსეთის საიმპერატორო კარისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა და მასზე კონტროლის შენარჩუნება მის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა.

„კავკასია არის რუსეთის გეოპოლიტიკური სივრცის ყველაზე სუსტი ნაწილი და სწორედ ეს ტერიტორია იყო რუსეთის გააფთრებული სამხედრო

[2] Бочарников И.В. Кавказская политика России в X–XX веках Научно-исследовательский центр проблем национальной безопасности. Москва — 2013, стр. 19.
[3] მანჩხაშვილი მ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა — 1990-2008 წწ. თბილისის უნივერსიტეტის გამომც. 2013, გვ.14.

მოქმედებების ტრადიციული არენა სასაზღვრო ზონების ქვეყნების, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ“ — წერს ა. დუგინი.[4]

საქართველო და სომხეთი დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთის იმპერიასთან სამოკავშირეო პოლიტიკაზე, ვინაიდან მიიჩნეოდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი მათ „ურჯულოთა“ შემოსევებისგან დაიცავდა. ამდენად, რუსეთის იმპერია, უპირველეს ყოვლისა, აღიქმებოდა, როგორც მართლმადიდებელი მეზობლებისა და მოკავშირეების დამცველი ძალა. ზემოხსენებულ მოსაზრებას თან სდევდა ღრმა ემოციური და კულტურული ფონი. ქართული პოლიტიკური ელიტა მიიჩნევდა, რომ მართლმადიდებლური რუსეთი, საქართველოსთვის ნაკლები ბოროტების მომტანი იქნებოდა, ვიდრე მაჰმადიანური ირან-ოსმალეთი. ამ მოსაზრებას ზოგიერთი მეცნიერი „სტრატეგიულ შეცდომას“ უწოდებს.[5]

სწორედ აღნიშნულმა პათოსმა განაპირობა 1783 წლის 24 ივლისს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადება, ამ მეგობრული შეთანხმების თანახმად, რუსეთის იმპერია პირობას დებდა, მფარველობა გაეწია და ეზრუნა ქართლ-კახეთის სამეფოზე, ქართლ-კახეთი კი, თავის მხრივ, უარყოფდა ირანთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან რაიმე სახის ურთიერთობას და მხოლოდ რუსეთის საიმპერატორო კარს აღუთქვამდა მეგობრობას.[6] მალევე, ნათელი გახდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთადერთ მიზანს კავკასიელი ხალხების დაცვა და მფარველობა კი არა, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ერთმანეთისგან განცალკევება და გათიშვა წარმოადგენდა. აღნიშნული მოვლენების

---

[4] დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი. გამომც. „მთაწმინდელი“. თბ., 1999, გვ. 245.

[5] ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., 2010, გვ. 20.

[6] Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат), Сборник архивных документов. Русская книга. 1992. იხ. http://www.amsi.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ერთგვარი აპოგეა გახლდათ 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნა და მის რიგებში, სხვა ერებთან ერთად, სამხრეთ კავკასიური ქვეყნების გაერთიანება.

XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვანი გაერთიანება, რომელიც 70 წლის განმავლობაში დომინირებდა ევრაზიულ სივრცეში და სამხრეთ კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირა სახელმწიფოებს აერთიანებდა, 1991 წლის 21 დეკემბერს დაიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლას არა მარტო საბჭოთა იდეოლოგიის მსხვრევა მოჰყვა, არამედ აღნიშნული მოვლენის შედეგად, 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად, არაერთი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.[7]

ამ მართლაც რომ ეპოქალური მოვლენების ერთგვარი პროდუქტი გახლდათ კავკასიონის სამხრეთ ნაწილში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ხელახალი ჩამოყალიბება, რომლებიც XIX საუკუნიდან ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა საუკუნეში ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა. საქართველომ და სომხეთმა 1918 წლის 26 მაისს, ხოლო აზერბაიჯანმა — იმავე წლის 28 მაისს.[8] თუმცა, ქვეყნების დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და რამდენიმე წლის შემდეგ ისინი იმპერიული რუსეთის მოდერნიზებული გაერთიანების —

[7] Rondeli A. The choice of independent Georgia. The security of the Caspian Sea region. 2001, p. 16. იხ. https://www.sipri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[8] Алексанян Г. Первая республика определила современную идентичность Грузии. Кавказский Узел. 2018. იხ. https://www.kavkaz-uzel.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — რიგებში აღმოჩნდნენ.

1990-იანი წლების დასაწყისში, მაშინ როდესაც ბალტიისპირეთის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები კომუნისტური რუსეთის ბრჭყალებისგან გათავისუფლებას ზეიმობდნენ, რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამოქალაქო ომები მწიფდებოდა. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ეთნიკური დაპირისპირებების მრავალი კერა სამოქალაქო ომსა და სისხლისღვრაში გადაიზარდა. აღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე მძაფრი ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებები, რომელთა მშვიდობიანი გადაჭრის ყველა მცდელობა, XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, უშედეგოდ დასრულდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები ქვეყნის ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდს დაემთხვა. მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მემკვიდრეობა ერგო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. ქვეყანა, ფაქტობრივად, ორ ნაწილად — გამსახურდიას მომხრეებად (ე. წ. „ზვიადისტებად“) და მის მოწინააღმდეგეებად გაიყო.[9] საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მიზნით, ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი, უწყვეტ ანტისამთავრობო მიტინგს მართავდა, ისინი საქართველოს პირველ პრეზიდენტს დემაგოგსა და დიქტატორს უწოდებდნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ მის პოლიტიკურ კურსს.[10]

1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური სეპარატიზმი სამოქალაქო ომითა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობით დასრულდა. დამოუკიდებელი საქართველოს

---

[9] ჩიტაძე ნ. პოლიტოლოგია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ., გვ. 390. იხ. https://digitallibrary.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 25.05.2021.

[10] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი II. პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. ირიდა. თბ., 2013, გვ. 283.

პირველი პრეზიდენტი სამშობლოდან განდევნეს, ის 1993 წლის 31 დეკემბერს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.[11] საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა ასიათასობით ადამიანი. სამოქალაქო ომის შედეგად საქართველოს ახლადშექმნილ სახელმწიფოებრიობას, ფაქტობრივად, დაშლა ემუქრებოდა. მოგვიანებით, აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს თან დაერთო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის მიმდინარე კონფრონტაცია და აჭარის რეგიონის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ. ყოველივე ეს წითელ ზოლად გასდევს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას.

1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები პირდაპირ უკავშირდება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით, იგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ თმობდა თავის „უკანა ეზოში“ გავლენისა და პოზიციების შესუსტებას და უფრო და უფრო მტკივნეულად განიცდიდა იმ უდიდესი გაერთიანების დაშლას, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში დომინირებდა ევრაზიის კონტინენტზე.[12] მოსკოვი, პირდაპირ თუ ირიბად, მხარს უჭერდა აფხაზი და ოსი პოლიტიკური ელიტის სეპარატისტულ მისწრაფებებს,[13] მონაწილეობდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და დესტრუქციული ქმედებებით, მიზანმიმართულად ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას.[14]

---

[11] Protracted Conflicts in the OSCE Area, Innovative Approaches for Co-operation in the Conflict Zones, OSCE (Organization for Security and Co-operation in Europe). Hamburg, December 2016, p.16. იხ. https://osce-network.net, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[12] Sonnleitner D. Russia's backyard–unresolved conflicts in the Caucasus. Politics in Central Europe. 12(1). 2016, p. 84.

[13] Nodia G. Causes and visions of conflict in Abkhazia. 1997, p.19. იხ. .https://escholarship.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[14] Gerrits A.W., and Bader, M. Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: implications for conflict resolution. East European Politics. 32(3). 2016, p.298. იხ. https://www.tandfonline.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში ნათელი გახდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბჭოთა კავშირის ერთგვარ მემკვიდრეობად არა მარტო ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები იქცა, რაც, მსოფლიოს არაერთ რეგიონში „ახალი მსოფლიო წესრიგის" თანმდევი პროცესი იყო. რეალური ბრძოლა მიმდინარეობდა კასპიის ზღვის ენერგორესურსების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის, დასავლეთის ბაზარზე ტრანსპორტირების უფლებისთვის.[15] ისტორიული დაპირისპირება ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის, ფაქტობრივად, XXI საუკუნეშიც გრძელდებოდა. ამჯერად კი, გლობალურ პოლიტიკურ ავანსცენაზე რუსეთის ფედერაცია და თურქეთის რესპუბლიკა უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რომელშიც XX საუკუნის უდიდესი აქტორი, „ცივ ომში" ღირსეულად გამარჯვებული სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რუსეთის ინტერესების შესუსტებისა და კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირებაში რუსეთის გამორიცხვის პარალელურად, რეგიონი განსაკუთრებულად მიმზიდველი აღმოჩნდა აშშ-ისა და ნატოსთვის 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდგომი პერიოდიდან. სამხრეთ კავკასია ჯიჰადიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოკაციად იქცა.[16] რეგიონმა აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან იგი ერთადერთი რეგიონია მსოფლიოში, რომელიც ესაზღვრება არა მარტო ნატოსა და რუსეთს, არამედ ახლო აღმოსავლეთსაც, ამიტომაც იგი ექსტრემიზმის უმთავრეს კერას წარმოადგენს. ამასთან, განსაკუთრებულ ინტერესს

Human Rights Watch, Arms Project Human Rights Watch/Helsinki. „GEORGIA/ABKHAZIA: Violations of the laws of war and Russia's role in the conflict". March 1995, p. 53. იხ. https://www.hrw.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[15] კომახია მ. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. Friedrich Ebert Stiftung, 2002, გვ. 13-14. იხ. http://library.fes.de,უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[16] Stent A.E. The Limits of Partnership: US-Russian Relations in the Twenty-First Century" — Updated Edition. Princeton University Press. 2015, p. 107.

იწვევდა აზერბაიჯანის ფაქტორი, როგორც მუსლიმური, ლაიცისტური და აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის რეგიონში.[17]

მოგვიანებით, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ არენაზე, ცალსახად იკვეთება დიდი მოთამაშეების ინტერესები, ვინაიდან რეგიონზე დომინანტური პოზიციის მოპოვებისთვის ბრძოლაში ევროკავშირი და XX საუკუნის უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო — ჩინეთი ერთვება, ისინი სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ და ერთიმეორის საპირწონედ რეგიონში მრავალმილიონიანი პროექტების განხორციელებისთვის დროსა და ენერგიას არ იშურებენ. აღნიშნულ პრიზმაში, სამხრეთ კავკასიური ქვეყნებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველო, რომელიც დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ერთგვარ პლაცდარმად იქცა.

საქართველოს, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გლობალური მნიშვნელობის ადგილი უჭირავს.[18] ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა უძველესი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო „აბრეშუმის გზა“, რომელიც აზიას (ჩინეთს) ევროპასთან (ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან) აკავშირებდა.[19] სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, რომელსაც, ხმელთაშუა ზღვის გავლით, გასასვლელი აქვს მსოფლიო ოკეანეზე. შავიზღვისპირა მდებარეობამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარება, რომლის ნათელი მაგალითია აპოლონიოს როდოსელის

---

[17] ზარიფიანი ჟ. პირობითი ჩართულობა აშშ-ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2018. იხ. https://ge.boell.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05. 2021.

[18] Cornell S., Starr F., Tsereteli M. A Western Strategy for the South Caucasus. Central Asia Caucasus Institute Silk Road Studies Program. 2015, p.13. იხ. https://www.silkroadstudies.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[19] იხ. დანართი 11.

შედევრი — „მითი არგონავტებზე“. ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი ერის ძველთაძველობასა და კულტურული დონის სიმაღლეს.[20]

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევისთვის, საუკუნეების მანძილზე, ძალისხმევას არ იშურებდნენ სპარსელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები, რუსები და სხვა სახელმწიფოები, ვინაიდან, უდიდესი დამპყრობელი ერების გადმოსახედიდან, საქართველოზე კონტროლი, ფაქტობრივად, კავკასიაზე კონტროლად აღიქმებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან საქართველო ღირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიო ენერგოპოლიტიკურ რუკაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი უნიკალური სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული. სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით, საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის უდიდესი ნავთობსადენების მშენებლობას, რომელშიც გადამწყვეტი როლი, აზერბაიჯანთან ერთად, თურქეთის ხელისუფლებამ ითამაშა.[21] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ საქართველოს განსაკუთრებული წონა და დანიშნულება შესძინა გლობალურ ენერგოპოლიტიკაში და სამარადჟამოდ დაუმკვიდრა ღირსეული ადგილო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.[22]

დღეისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე გადის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნავთობსადენები და გაზსადენები. ესენია: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები,[23] ბაქო-თბილისი ერზერუმისა[24] და რუსეთ-სომხეთის გაზსადენები.[25] XX საუკუნის 90-იან

---

[20] სანიკიძე ლ. დედა-ისტორია. თხზულებათა ტომი II. გამომც. „მოლოდინი“. საგამომცემლო კოოპერატივი „ჯეჯილი“. თბ., 1992, გვ. 9.

[21] Aleksanyan L.M. Turkish-Georgian relations in the context of Turkey's regional policyat the current stage. Проблемы постсоветского пространства. 4(4). 2017, p. 307.

[22] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017.

[23] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენები. იხ. დანართი 2.

[24] ბაქო-თბილისი-ერზურუმი გაზსადენი. იხ. დანართი 3.

წლებში განხორციელებულმა პროექტებმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სატრანზიტო პოტენციალის საერთაშორისო აღიარებაში და, ფაქტობრივად, ძირი გამოუთხარა რუსეთის გეოპოლიტიკურ დომინირებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.[26]

ამრიგად, საქართველო უკვე არის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სატრანზიტო ჰაბი რეგიონში, ქართულ-აზერბაიჯანული სატრანსპორტო-ენერგეტიკული ტანდემი[27] კი, ერთიორად მიმზიდველი გახდა ევროკავშირისა და შეერთებული შტატებისთვის.[28] ცალკე აღნიშვნის ღირსია ირანის ფაქტორი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან აქტიურად უჭერს მხარს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სურვილს გამოთქვამს, თბილისთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დაამყაროს. რასაკვირველია, ირანის ისლამური რესპუბლიკაც, საქართველოსთან მიმართებით, თავისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს.

კვლევა აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, რომელშიც ძალთა ახალი ბალანსი ყალიბდება და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ტრანსფორმაციას ეყრება საფუძველი. აღნიშნულ პროცესებში, ძალაუფლების ხელახალი გადანაწილებისა და გლობალური პოლიტიკის ავანსცენაზე დომინანტური პოზიციის მოპოვებისთვის ისევ აგრძელებენ ბრძოლას ძველი თუ ახალი პოლიტიკური აქტორები, ის უდიდესი მოთამაშეები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ხელთ ეპყრათ მსოფლიოს მართვის სადავეები.

---

[25] Lynch D. Why Georgia Matters (Vol. 86). Institute for Security Studies, European Union. 2006, p. 67. იხ. https://www.iss.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[26] ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., 2010, გვ. 81.

[27] Gogolashvili K. New Silk Road: A Stage for EU and China to Cooperate. Expert Opinion. (86). 2017, p.12.

[28] Charaia V., Papava V. Belt and Road Initiative: implications for Georgia and China-Georgia economic relations. China Int'l Stud., 67. 2017, p.124 იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი **მიზანია** მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური აქტორების ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს მაგალითზე. ასევე გვსურს წამოვწიოთ ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის, ნატოს, ჩინეთის, თურქეთისა და ირანის პოლიტიკურ ინტერესებთან რეგიონში (საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდგომი პერიოდიდან). ამასთანავე წარმოვაჩინოთ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები, რომლებიც თან ახლავს სამხრეთ კავკასიაში დიდი მოთამაშეების ინტერესების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება სხვადასხვა **ამოცანა,** რომლის გადაჭრასაც ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. ესენია, საქართველოს მაგალითზე:

- განვსაზღვროთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი და დანიშნულება იმ ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც პოსტბიპოლარულ სამყაროში ყალიბდება;
- გავაანალიზოთ აშშ-ისა და რუსეთის, როგორც „ცივი ომის“ ორი დომინანტი აქტორის, ინტერესთა დაპირისპირების პრობლემატიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში;
- შევისწავლოთ ევროკავშირის, როგორც უდიდესი ეკონომიკური გაერთიანებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური მოთამაშის, ინტერესები სამხრეთ კავკასიაში;
- გამოვიკვლიოთ, რა როლი ენიჭება ნატოს, როგორც უდიდეს სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებასა და დასავლეთის ინტერესების გამომხატველს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოსთან მიმართებით განხორციელებულ პოლიტიკაში;

- წარმოვაჩინოთ ჩინეთის, როგორც XXI საუკუნის გამოკვეთილი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშის, ინტერესები სამხრეთ კავკასიაში;
- განვმარტოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით;
- შევისწავლოთ ირანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვებია:

- რა ფაქტორებმა განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის მზარდი როლი პოსტბიპოლარულ მსოფლიო გადანაწილებაში?
- რით აიხსნება დიდი მოთამაშეების (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი, ნატო, თურქეთი, ირანი) ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით კი, საქართველოში? რომელ მოთამაშეს რა ინტერესები აქვს საქართველოსთან მიმართებით?
- თანამშრომლობის როგორი შესაძლებლობები რჩება ზემოაღნიშნულ გლობალურ აქტორებს შორის და რაში გამოიხატება ეს თანამშრომლობა?
- რა როლი ენიჭება მულტიპოლარულ პოლიტიკურ პროცესებში საქართველოს და რა ძირითადი პრიორიტეტები აქვს ქვეყანას სახელმწიფოებრივი განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გზაზე?

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, **ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:**

სამხრეთ კავკასიის რეგიონი (განსაკუთრებით საქართველო) „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე წლებიდან,

დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ეპიცენტრს წარმოადგენს. ქვეყნის მიმართ დაინტერესება განსაკუთრებით მზარდია, მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩართულობით, კავკასიის რეგიონში საფუძველი ჩაეყარა უდიდესი ენერგოპროექტების განხორციელებას. დიდი მოთამაშეები სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ და, ხშირ შემთხვევაში, მათი ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. ზემოაღნიშნული ფაქტორი, მტკივნეულად აღიქმება საქართველოსთვის, რომელიც აქტიურად არის ჩართული მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში და ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს ცივილიზებული სამყარო დგას, საქართველოზეც აისახება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში სიღრმისეულად არის შესწავლილი და დეტალურად გაანალიზებული მსოფლიო პოლიტიკის ისეთი წამყვანი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორიცაა აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ნატო, ჩინეთი, თურქეთი და ირანი. კვლევაში კომპლექსურად განხილულია ზემოაღნიშნული პოლიტიკური აქტორების მზარდი როლი რეგიონში, რომელიც მათი საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელების უმნიშვნელოვანეს მექანიზმადაც კი იქცა. რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე, შევისწავლეთ დომინანტი სახელმწიფოების როლი და გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოსთან მიმართებით (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან დღემდე).

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის თემატიკაზე მრავალი მკვლევარი მუშაობს და შესაძლებელია, არაერთი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, რომელშიც ასახულია, სამი ათწლეულის განმავლობაში, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება,

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია სამხრეთ კავკასია, როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი თითოეული აქტორის ინტერესის განხორციელების დადებითი და უარყოფითი შედეგები გლობალური პროექტების ჭრილში, რაც ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. აქამდე აღნიშნულ სამეცნიერო პრობლემას უმთავრესად განიხილავდნენ კონტექსტუალურად — სხვა საკითხების კონტექსტში. დისერტაცია კი ეძღვნება პრობლემური საკითხების განყენებულ შესწავლას და სპეციალურ კვლევას.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დისერტაციაში გამოყენებულია აქამდე უცნობი და ნაკლებად გამოკვლეული სამეცნიერო მასალები, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

წინამდებარე ნაშრომი ემყარება მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიულ წყაროს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საკვლევი თემატიკის საფუძვლიან შესწავლასა და ანალიზში. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სამეცნიერო და პუბლიცისტური წყაროები (წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები და ა.შ.), რომლებშიც გამოვლენილი და გაშლილია საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და არგუმენტები. წინამდებარე კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალა 4 ძირითად ჯგუფად დავყავით:

პირველ ჯგუფს შეადგენს იმ სახელგანთქმულ მეცნიერთა და თეორეტიკოსთა ნაშრომები, რომლებმაც უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო თემის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებაში.

ნაშრომი ემყარება ჯ.მოდელსკის, ი. ვალერსტაინის, ჩ. კინდლებერგერის, რ. კიოჰეინის, რ. ტომპსონის, რ. კაპლანის, რ. გილპინის, ჰ. კისინჯერის, კ. ორგანსკის, ი. კუგლერის, ს. ჰანთინგტონის, ფ. ფუკუიამას, ა. რონდელისა და სხვათა შრომებს.

„ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის“ შესახებ ლიტერატურის სიუხვე ცხადყოფს, თუ რამდენად აქტუალური, რელევანტური და მრავალფეროვანია აღნიშნული თეორიული სკოლა. მეცნიერთა და მკვლევართა მოსაზრებები, ჰეგემონიის როლისა და ფუნქციის შესახებ, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა სავსებით შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია ორ ძირითად მიმართულებად. მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ ჰეგემონის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „მსოფლიო წესრიგისა“ და სტაბილურობის დამყარების კუთხით და მეცნიერები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან უნიპოლარიზმსა და ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებზე დომინანტური პოზიციის მოპოვება-შენარჩუნების ყოველგვარ მცდელობას.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ჯ. მოდელსკის ნაშრომი „გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში“ (1989). მოდელსკი, რომელიც ჰეგემონიის ციკლების ჭეშმარიტ მამამთავრად ითვლება, საერთაშორისო პოლიტიკური ისტორიის სიღრმისეული კვლევის შედეგად ასკვნის, რომ XV საუკუნის (კერძოდ კი, 1494 წლიდან) მიწურულიდან XX საუკუნის ჩათვლით, კაცობრიობის ისტორიამ ჰეგემონიის ხუთი ციკლი გამოიარა. თითოეული ციკლი საუკუნე გრძელდებოდა. ხანგრძლივმა ომებმა და საუკუნეების მანძილზე ძალთა ბალანსის ცვალებადობამ ციკლების ცვალებადობაც გამოიწვია. მოდელსკის მიხედვით, ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი ჰეგემონი სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია (XVI საუკუნის განმავლობაში), ნიდერლანდები (XVII საუკუნის განმავლობაში), დიდი ბრიტანეთი, (ორჯერ, XVIII-XIX საუკუნეებში) და აშშ (XX საუკუნეში, კერძოდ კი, მეორე მსოფლიო ომის

შემდგომი პერიოდიდან). მოდელსკი უარყოფს საერთაშორისო სისტემის ანარქიულ ხასიათს და მიიჩნევს, რომ კაცობრიობის ევოლუციის მანძილზე ომები და დესტაბილიზაცია ხანგრძლივი ციკლების ბუნებით არის განპირობებული, ვინაიდან გლობალური სისტემის კრიზისის შემდეგ ახალი ჰეგემონი იბადება. აღნიშნულ პროცესებს ნაკლებად აქვს კავშირი საერთაშორისო სისტემის ანარქიულობასთან.

ასევე, გამოვყოფთ ე. ვალერსტაინს, რომლის ძირითადი თეორიული პოსტულატები გადმოცემულია წიგნში „მსოფლიო სისტემების ანალიზი“ (2005). იგი სიღრმისეულად იკვლევს ჰეგემონის როლსა და ფუნქციას, სწავლობს რა კაცობრიობის განვითარების უწყვეტ ჯაჭვს, ასკვნის, რომ ჰეგემონია, როგორც კაპიტალისტური სისტემის ერთგვარი პროდუქტი, რეალურად, კონფრონტაციის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს. შესაბამისად, მას უფრო მეტი ბოროტება მოაქვს კაცობრიობისთვის, ვიდრე სიკეთე. „მსოფლიო სისტემების თეორიაზე“ დაყრდნობით, ვალერსტაინი, ვისზეც დიდი გავლენა იქონია ნეომარქსისტულმა თეორიულმა სკოლამ, ავითარებს მოსაზრებას, რომ ლიბერალური მსოფლიო ბაზარი, ეს არის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე დომინირების ერთგვარი მექანიზმი.

რ. კაპლანი, ნაშრომში „ანარქია და ჰეგემონია“ (2013), ერთი მხრივ, მიიჩნევს, რომ მსოფლიო ბევრად უარესი იქნებოდა აშშ-ის ჰეგემონიის გარეშე. მეორე მხრივ, იგი ეჭვქვეშ აყენებს ამერიკულ ჰეგემონიზმს XXI საუკუნეში და თვლის, რომ ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში (ეგვიპტე, ერაყი, სირია, ლიბია, ტუნისი) ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, ამერიკულ ჰეგემონიზმზე საუბარი ნაკლებად რელევანტურია. მეცნიერი აღნიშნულ შეხედულებას ამყარებს თურქეთის, საუდის არაბეთისა და პაკისტანის მაგალითზე, რომლებიც ადრინდელთან შედარებით, უკვე არ შედიან აშშ-ის ბანაკში და უფრო მეტიც, ასუსტებენ ამერიკულ ჰეგემონიზმს. დემოკრატია თავისთავად

გულისხმობს გარკვეულ იერარქიულ წესრიგს, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამომრჩეველი განსაზღვრავს. იმას კი, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან, ვინაიდან იქ თითქმის არ არსებობს საკმარისად ფორმალიზებული იერარქია. კაპლანი ასკვნის, რომ როგორც ჰ. მერვილი თავის ერთ-ერთ რომანში წერდა, წესრიგს შესანარჩუნებლად სილამაზეც კი უნდა შეეწიროს, რადგან წესრიგის, იერარქიის გარეშე არაფერი არსებობს სამყაროში.

ფ. ფუკუიამამ, იაპონური წარმოშობის ამერიკელმა ფილოსოფოსმა და პოლიტოლოგმა, თავის ნაშრომში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ ისტორიის დასასრულის კონცეფცია შემოგვთავაზა. მისი თეზისის მიხედვით, „ცივი ომის“ დასრულება და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება, შესაძლოა მოწმობდეს „კაცობრიობის სოციო-კულტურული ევოლუციის ბოლო წერტილს და ადამიანური მმართველობის უკანასკნელ ფორმას“. ფუკუიამას მოსაზრებით, „ცივ ომში“ ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმას, რომ დასრულდა კაცობრიობის ევოლუციის უდიდესი ეტაპი, რომელმაც წერტილი დაუსვა გაუთავებელ ომებსა და კონფლიქტებს და კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს აშშ-ის როლი და დანიშნულება გლობალურ პოლიტიკაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჰ. კისინჯერის ნაშრომი „მსოფლიო წესრიგი“ (2014), რომელშიც ავტორი დეტალურად მიმოიხილავს დედამიწის თითქმის ყველა კუთხეს, ლათინური ამერიკის გამოკლებით, და მსოფლიო წესრიგის ოთხ ძირითად კონცეფციას გამოყოფს. ესენია: ევროპული, ისლამური, აზიური და ამერიკული კონცეფციები. თითოეული კონცეფციის შესწავლის შედეგად, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება შეერთებული შტატების ისტორიაში, ასკვნის, რომ ისევ აშშ-მა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მსოფლიო წესრიგის დამყარებაზე, ცივილიზებულმა მსოფლიომ კი,

აღიაროს აშშ-ის ჰეგემონია, ვინაიდან აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების კუთხით. კისინჯერი თვლის, რომ არც ერთ ქვეყანას არ უთამაშია ისეთი გადამწყვეტი როლი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში, როგორც ეს შეერთებულმა შტატებმა შეძლო.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს იმ მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა საკვლევი სფერო პირდაპირ უკავშირდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას. აღნიშნული კუთხით, განსაკუთრებით გამოვყოფთ მკვლევართა ორ ძირითად ნაწილს. მეცნიერები, რომლებიც ღირებულ კვლევებს ახორციელებენ სამხრეთ კავკასიის საკითხებში, სწავლობენ რეგიონის როლსა და დანიშნულებას გლობალურ კონტექსტში და გავლენიანი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში. ასევე, გამოვყოფთ მეცნიერთა მეორე ნაწილს, რომელთა ინტერესის სფეროს აშშ-რუსეთის, აშშ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები წარმოადგენს. გამოვყოფთ ჯ. მანკოფის, ა. სტენტის, ბ. ბჟეზინსკის, ჯ. მელვინის, ჯ. ნიკოლის, ს. კორნელის, მ. კონიგის, მ. კლაინის, თ. ფრიდმანის, ს. კინზერის, ლ. მიჩელის, ქ. ალიევის, ს. მარკედონოვის, ჰ. ედვარდსისა და სხვების შრომებს.

მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, ა. სტენტი თავის წიგნში „რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები XXI საუკუნეში“ (2015), დეტალურად აანალიზებს აშშ-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებს „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან 2016 წლამდე. ავტორი მიმოიხილავს ორ ქვეყანას შორის ინტერესთა დაპირისპირებას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებულ ისეთ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა ტერორიზმი, ახლო აღმოსავლეთი, ისლამური სამყარო, კიბერუსაფრთხოება, სარაკეტო თავდაცვა და სხვ. სტენტის ნაშრომი ჩვენთვის ღირებულია, ვინაიდან მასში

დეტალურად გადმოცემულია აშშ-რუსეთის ურთიერთობების სპეციფიკა რეალიზმის თეორიის ჭრილში.

ს. კოენი წიგნში „წარუმატებელი ჯვაროსნული ლაშქრობა: ამერიკა და პოსტსაბჭოთა რუსეთის ტრაგედია“, გვთავაზობს აშშ-რუსეთის ურთიერთობათა ფუნდამენტურ ანალიზს „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდიდან ახალი ათასწლეულის დასაწყისამდე. ავტორი მწვავედ აკრიტიკებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსს რუსეთთან მიმართებით და ცდილობს, პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: „რა ეტაპზე გადაინაცვლა აშშ-რუსეთის ურთიერთობებმა 90-იანი წლების შემდეგ?“ ასევე, აღნიშნულ პრიზმაში, ჩვენთვის უდიდეს ღირებულებას იძენს ნაშრომები: „ცივი ომის დაბრუნება“ (რ. ლეგვოლდი), „ნავთობი და დიდება, იმპერია და ბედი კასპიის ზღვაზე“ (ს.ლევინი), „პატარა ერები და დიდი ძალები: კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები (ს. კორნელი), „ცივი ომიდან ცხელ მშვიდობამდე“ (მ. მაკფოლი) და სხვ.

ა. დუგინი ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ (1997), გვთავაზობს გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლიან შესწავლას. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ და „რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი“. დუგინის მიხედვით, აშშ და რუსეთი ორივე თანაბარი მტერი და მეგობარია საქართველოსთვის და საქართველომ ილუზიებით არ უნდა იკვებოს, ვინაიდან, „ცივი ომის“ ორი უდიდესი აქტორი ერთნაირად იბრძვის გავლენის სფეროების გაფართოებისათვის და ორივეს „მუდმივი ინტერესები“ აქვს. რუსი ნაციონალისტის პერსპექტივიდან, დემოკრატიაც ისეთივე იდეოლოგიაა, როგორც კომუნიზმი, ამერიკელებიც ისევე იქცეოდნენ ვიეტნამში, იუგოსლავიასა და სხვა ქვეყნებში, როგორც რუსები ავღანეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოლიტოლოგიის დამსახურებული მეცნიერის ზბიგნევ ბჟეზინსკის „დიდი საჭადრაკო დაფა”

(1997), რომელიც პოლიტიკური მეცნიერების მსოფლიო კლასიკად არის მიჩნეული. აშშ-ზე უზომოდ შეყვარებული ბჟეზინსკი რეკომენდაციებს აძლევს ამერიკის მთავრობას და ინტელექტუალურ ელიტას მოძღვრავს, თუ როგორ შეიძლება ამერიკამ შეინარჩუნოს ბატონობა „დიდ საჭადრაკო დაფაზე“, ანუ ევრაზიაზე, რომელიც მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ სწორი საჭადრაკო სვლებისა და წინდახედული მანევრების განხორციელებით არის შესაძლებელი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის საფუძვლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური შეფასების მიზნით, გამოვიყენეთ შემდეგი ნაშრომები: „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“ (2009) - ვ. პაპავა და ე. ისმაილოვი, „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე“ (2010) — ბ. ალადაშვილი, „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“ (2014) — მ. ასათიანი, „რას ვაკეთებთ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისთვის: საქართველოს კომპლექსური მაგალითი“ (2014) — ჩ. ფერბენქსი, „როგორ მიდის გარდამავალი პროცესი: აშშ, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთ კავკასია“ (2014) — ლ. მიჩელი, „დასავლეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიისთვის“ (2015) — ს. კორნელი და სხვები. მდიდარი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, აღნიშნული ავტორები სიღრმისეულად აშუქებენ რეგიონის სპეციფიკასა და გეოპოლიტიკურ მახასიათებლებს და ნათლად წარმოაჩენენ იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლის წინაშე დგას, უაღრესად ჭრელი და მრავალფეროვანი სამხრეთ კავკასიის რეგიონი.

საქართველოს ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს, ქვეყნის როლსა და დანიშნულებას მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერების — თ. კიკნაძის, ს. ვახტანგაშვილის, დ. ჯოჯუას, ა. რონდელის, ვ. მაისაიას, ვ. მოდებაძის, შ. მალაშხიას, პ. ყალიჩავას, ა. სიხარულიძის, ქ. აფციაურის, ა. ბაქრაძის, დ ყიფიანის, ა. სონღულაშვილის, ე. აკობიას, მ. ბერუაშვილის, ს. ასათიანის, ბ.

ალადაშვილის, მ. ყიფიანის, მ. არეშიძის, მ. ბერუაშვილის და სხვათა ნაშრომები.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჭრილში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ქართველი მეცნიერის დ. ჯოჯუას ნაშრომი „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“ (2010). წიგნში ავტორი, მისთვის დამახასიათებელი მაღალი პროფესიონალიზმით, სკრუპულოზურად აღწერს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს საქართველოში (ჯერ კიდევ რუსული იმპერიალიზმიდან მოყოლებული) და დეტალურად გადმოგვცემს აგვისტოს ომის მოვლენებს. ავტორი ასკვნის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არის წმინდა წყლის დელიქტური ქმედება, დანაშაული ა) კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ; ბ) დანაშაული ცივილიზაციის ისტორიის წინააღმდეგ; გ) დანაშაული თანამედროვე ცივილიზაციის ფასეულობებისა და იდეალების მიმართ, რომლებიც რუსებმა ჩაიდინეს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში, ჩვენთვის ღირებულია პროფესორ პ. მამრაძის სამეცნიერო სტატია “ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი — ერთი გზა, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა“ (2017), რომელშიც მეცნიერი დეტალურად განმარტავს ჩინეთის უდიდესი პროექტის მნიშვნელობას გლობალურ ჭრილში და განსაკუთრებულ კონცენტრირებას ახდენს საქართველოს როლსა და დანიშნულებაზე (აღნიშნულ პროექტში ჩართულობის კუთხით). ავტორი ღირებულ რეკომენდაციებს გასცემს საქართველოს ხელისუფლებისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური აქტორებისთვის, თუ რა მექანიზმებით არის შესაძლებელი საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნულ თემაზე ასევე მუშაობს ქართველი

მეცნიერი ვ. პაპავა, რომლის სამეცნიერო ნაშრომები, “ერთი გზა — ერთი სარტყელთან“ მიმართებით, ჩვენთვის ძალიან ღირებულია.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების პრიზმაში მნიშვნელოვნად მივიჩნევთ გამოვყოთ ს. კაპანაძისა და კ. გოგოლაშვილის შრომები. მეცნიერები წლების განმავლობაში ევროკავშირის თემატიკაზე მუშაობენ. განსაკუთრებით ღირებულია ს. კაპანაძის „ევროკავშირის პოლიტიკა“ (2006), კ. გოგოლაშვილის „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება“ (2018), დ. კაკაბაძის „შავი ზღვის სინერგია — ევროკავშირის ახალი ინიციატივა“ (2007).

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ჭრილში გამოვყოფთ პოლიტოლოგ ნ. ჩიტაძის წიგნს „ნატო: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ (2008). თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებს იკვლევს ახალგაზრდა მეცნიერი მ. მანჩხაშვილი. აღვნიშნავთ მის ნაშრომებს: “თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008“ (2013) და „თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს“ (2014). ირან-საქართველოს ურთიერთობების შესწავლით არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარია დაინტერესებული. გამოვყოფთ ა. რონდელის ნაშრომს „ირანი და საქართველო — ურთიერთობის დაახლოების პერსპექტივები“ (2014), თ. შარაშენიძის სამეცნიერო სტატიას „ირანის როლი სამხრეთ კავკასიაში“ (2011) და ვ. პაპავას ნაშრომს „ირანი და სამხრეთ კავკასია — გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები“ (2016).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მ. კომახიას “სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“ (2017), „ახალი დიდი თამაში ცენტრალურ აზიაში: ბრძოლა კასპიის რესურსების ტრანსპორტირებისათვის“ (2018) და „მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში“ (2015). ექსპერტი დეტალურად აანალიზებს იმ ენერგოპროექტების (ნავთობსადენებისა და გაზსადენების) როლსა და

დანიშნულებას, რომლებმაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს — აზერბაიჯანსა და საქართველოს — განსაკუთრებული მიმზიდველობა შესძინა გლობალურ კონტექსტში.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე ჯგუფში ე. წ. ინტერნეტრესურსია წარმოდგენილი, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომ მასალას გულისხმობს. აღნიშნული გზით, სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებულია არაერთი ქართველი თუ უცხოელი ანალიტიკოსისა და ექსპერტის მოსაზრება საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით. ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია დიდ დახმარებას გვიწევს თემის უკეთ გააზრების თვალსაზრისით, ვინაიდან ინტერნეტრესურსების მნიშვნელობა უფრო და უფრო მზარდია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე მოპოვებული მასალები, როგორიცაა *Scopus, EBSCO, CROSREFF, GOOGLE SCHOLAR, DOAJ, CEEOL, SSOAR, ERIHPLUS, CEFOL, HeinOnline* და სხვ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული „ჰეგემონური სტაბილურობის თეორია“, რომელიც მიესადაგება და დასაბუთებულად აღწერს დიდი მოთამაშეების ინტერესთა განხორციელების ძირითად მექანიზმებს მსოფლიო წესრიგის დამყარების ჭრილში. „ჰეგემონური სტაბილურობის თეორია“ ლაიტმოტივად გასდევს ზემოაღნიშნულ ნაშრომს და ემყარება ისეთი ცნობილი თეორეტიკოსების კვლევებს, როგორებიც არიან ჩ. კინდლებერგერი, რ. კიოჰეინი, ჯ. მოდელსკი, რ. ტომპსონი, ი. ვალერსტაინი, რ. კაპლანი, რ. გილპინი, ჰ. კისინჯერი, კ. ორგანსკი, ი. კუგლერი, ფ. ფუკუიამა, ს. ჰანთინგტონი, ა. რონდელი და სხვები.

პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ზემოაღნიშნული თეორეტიკოსები სკრუპულოზურად აანალიზებენ კაცობრიობის ისტორიის გარდამტეხ მოვლენებს და რეტროსპექტულად განიხილავენ „მსოფლიო წესრიგის“ დამყარების ძირითად ეტაპებს ისტორიულ ჭრილში.

თეორიულ ჭრილში, ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ფ. ფუკუიამას ცნობილ თეზისზე, რომლის მიხედვითაც, „ცივ ომში“ აშშ-ის გამარჯვებით დასრულდა უდიდესი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში და მსოფლიო ახალ ფაზაში გადავიდა. მეცნიერის პერსპექტივიდან, აღნიშნული მოვლენა ცხადყოფს ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მმართველობის საუკეთესო ფორმის, რეზისტენტულობასა და მდგრადობას. ფუკუიამა ავითარებს გერმანელი ფილოსოფოსის, ი. კანტის იდეებზე დაფუძნებული „დემოკრატიული მშვიდობის თეორიას“.

აღნიშნული თეორია ლიბერალური და ნეოლიბერალური თეორიების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია და ეფუძნება მოსაზრებას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ, ვინაიდან ისინი კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრას მშვიდობიანი გზით ამჯობინებენ — მოლაპარაკების, კომპრომისისა და საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე. ამრიგად, აღნიშნული თეორიის მიხედვით, დემოკრატიულ სახელმწიფოებს ისეთი საერთო ფუნდამენტური ღირებულებები აერთიანებთ, როგორიცაა, საყოველთაო თავისუფლება და თანასწორობა, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დაყოფა, საზოგადოების კონტროლი სახელმწიფოზე, როგორც დემოკრატიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი და სხვ.

ვინაიდან, „ჰეგემონური სტაბილურობის თეორია“, ერთი მხრივ, რეალიზმისა და ნეორეალიზმის, ხოლო, მეორე მხრივ, ლიბერალიზმისა და მერკანტილიზმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, ნაშრომში დიდი მოთამაშეების ინტერესთა განხორციელება განხილულია რეალიზმის

თეორიის ჭრილში. აღნიშნული თეორიის თვალსაჩინო ილუსტრაციაა აშშ-რუსეთის ურთიერთობები. რეალიზმის ძირითადი პოსტულატები ეფუძნება მოსაზრებას, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც „ერთის დანაკარგი მეორის მონაპოვარია“, საერთაშორისო აქტორები მუდმივად ცდილობენ ძალაუფლების განმტკიცებას, რათა უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება.

ზემოხსენებული მიზნების რეალიზების გზაზე, სახელმწიფოები არც ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტებს ერიდებიან. კლასიკური რეალისტებისგან (თუკიდიდე, თომას ჰობსი, ნიკოლო მაკიაველი) განსხვავებით, ედვარდ ქარი, ჰანს მორგენთაუ და ჯონ მირშაიმერი, რეალიზმის ამომწურავ დახასიათებას გვთავაზობენ და ნეოლიბერალური თეორიის საპირისპიროდ ასკვნიან, რომ სახელმწიფოთა შორის კონკურენცია და განსხვავებული ინტერესები, მათ შორის თანამშრომლობის სურვილს ახშობს და საერთაშორისო პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნებს შორის მუდმივი პაექრობისა და ინტერესთა დაპირისპირების არენა, სადაც დღევანდელი მოკავშირე, ხვალ მტრად შეიძლება იქცეს. აღნიშნული თეორიის უტყუარობას მოწმობს XXI საუკუნეში მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ აქტორებს შორის მზარდი დაძაბულობა და თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის მცდელობა, რომელსაც, მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, უკვე ჩაეყარა საფუძველი.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნაშრომი ემყარება სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიულ წყაროებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ თემატიკის საფუძვლიან კვლევაში.

- დისერტაციაში გამოყენებულია პირველადი და მეორეული წყაროები. პირველადი წყაროები მოიცავს ოფიციალურ დოკუმენტებს, ორმხრივ ხელშეკრულებებს, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო, ეუთო, ევროკავშირი და ა.შ.) ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ მასალებს.
- ნაშრომი ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და საელჩოების მიერ გასაჯაროებულ ოფიციალურ დოკუმენტებს.
- მეორეული წყაროების ფარგლებში, შესწავლილი და განხილულია, როგორც ქართულენოვანი, ისე რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო-კვლევითი შრომები, სტატიები, ჟურნალ-გაზეთები და ა.შ.
- სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული პირველადი და მეორეული წყაროების საშუალებით, მოვახდინეთ საკვლევი თემატიკის რეტროსპექტული და დესკრიფციული ანალიზი. მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალის შესწავლა დაგვეხმარა ნაშრომის უკეთ გააზრებასა და საკვლევ კითხვებზე პასუხების ფორმულირებაში.
- ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კონკრეტულად კი, ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ და გამოვკითხეთ ის ქართველი პოლიტოლოგები და ექსპერტები, რომელთა კვლევის სფეროს სწორედ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში წამოჭრილი საკითხები წარმოადგენს.
- კვლევის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მიზნით, ჩატარდა ხუთი სიღრმისეული ინტერვიუ და შეირჩა ექსპერტთა ის ჯგუფი, რომლებსაც საკვლევ თემატიკაზე განსხვავებული ხედვები და პოზიციები გააჩნიათ. კვლევის შედეგების შეფასება ცხადყოფს, რომ ექსპერტთა შეხედულებები მეტ-ნაკლებად არაერთგვაროვანი და განსხვავებულია.

- ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: სისტემურ-სტრუქტურული, ისტორიულ-შედარებითი, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდები. რეტროსპექტულად აღვწერეთ სამხრეთ კავკასიის, როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის ისტორიული განვითარება საბჭოთა ეპოქის დასრულების შემდგომი პერიოდიდან და მსოფლიოს წამყვანი მოთამაშეების ინტერესები სამიზნე რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, საქართველოსთან მიმართებით. კვლევა მოიცავს 1991 წლის შემდგომ პერიოდს.
- საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, ასევე, გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზის მეთოდი, როგორც სიტუაციური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი. აღნიშნული მეთოდი უნიკალურია, ვინაიდან იგი გარკვეული ფაქტებისა და მოვლენების შედარების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიკურ ანალიზს გულისხმობს. შევისწავლეთ დასავლეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიის სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოში — საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რამაც სადისერტაციო ნაშრომს მეტი სიცხადე შესძინა.

თემის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

აღნიშნული საკითხის კვლევას ღირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიღებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები დახმარებას გაუწევს, როგორც ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებსა და მკვლევრებს, ისე მომავალ დისერტანტებს, რომელთა კვლევის ობიექტს სამხრეთ კავკასია და რეგიონში დიდი მოთამაშეების ინტერესები წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, რომ მიღებული კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს, რომელშიც, პოლიტიკური დოკუმენტისგან განსხვავებით, გადმოცემულია საკითხის ობიექტური, მიუკერძოებელი ანალიზი, ასევე გამოიყენებენ დიპლომატები, საგარეო-პოლიტიკური უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირი თუ ჯგუფი.

თავი I. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ და ახალი პოლიტიკური რეალობა

1.1. პოსტბიპოლარული სამყარო და ახალი მსოფლიო წესრიგი

მსოფლიოში მშვიდობის დამყარება და ომის დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება მუდამ იყო და რჩება სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. მშვიდობიანი მსოფლიოს აუცილებლობა, ალბათ, დასაბამითვე იდგა, მაგრამ XX საუკუნე გასულ საუკუნეებზე გაცილებით უფრო მკაცრი და საშინელი აღმოჩნდა, რომელსაც წითელ ზოლად სდევდა ყველაზე მასშტაბური, სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომები კაცობრიობის ისტორიაში.

კულტურული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ, მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში, ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა მასშტაბის საომარი ოპერაციები და კონფლიქტები. სწორედ XX საუკუნის პროდუქტებია — ატომური იარაღის შექმნა, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა სახის მასობრივი განადგურების საშუალებები. აღნიშნულმა მოვლენებმა ორჯერ უფრო მეტად აქტუალური გახადა მშვიდობაზე საუბარი და სამეცნიერო წრეებში მოამწიფა შეხედულება, რომ საყოველთაო კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევა, ჯერ კიდევ შორეული ხედვის მირაჟია და კაცობრიობის წინაშე ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ცივილიზაციათა გადარჩენის საკითხი, რაც, მეორე მხრივ, სწორედ პოლიტიკის ამოუხსნელი ბუნებითაც არის განპირობებული.

1990 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ის კონგრესზე, „ახალი მსოფლიო წესრიგისადმი“ მიმართულ გამოსვლაში, ჯორჯ ბუშმა (უფროსი), რომლის თვალწინ ის-ის იყო ბერლინის კედელი დაინგრა და საბჭოთა კავშირმა დაშლა დაიწყო, საზოგადოებას საკუთარი მიზნები გააცნო, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის

შესახებ: „დღემდე, მსოფლიო, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, შეიცვალა — გაიყო ეკლიანი მავთულებითა და ბეტონის კედლებით, კონფლიქტებითა და „ცივი ომით“. ახლა, ჩვენ უკვე შეგვიძლია დავინახოთ მომავალი ახალი მსოფლიო, რომელშიც არსებობს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სავსებით რეალური პერსპექტივა. უინსტონ ჩერჩილმა სიტყვებში „მსოფლიო წესრიგი“, იგულისხმა „სამართლიანობის პრინციპები და პატიოსანი თამაში.... სუსტის დაცვა ძლიერისგან...“, მსოფლიო, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისუფალია „ცივი ომის“ ჩიხისგან და მზად არის მშვიდად განახორციელოს დამფუძნებელთა ისტორიული ხედვები. მსოფლიო, სადაც თავისუფლებასა და ადამიანთა უფლებების პატივისცემას ყოველი ერი იგრძნობს.”[29]

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა, „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ხელახალ ამოქმედებას ითვალისწინებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ტერორის საფრთხისგან თავისუფალ სამყაროს, სამართლიანობისა და მშვიდობისკენ სწრაფვას, აღმოსავლეთ–დასავლეთისა და ჩრდილოეთ–სამხრეთის ჰარმონიულ თანაარსებობას მოასწავებდა. ამრიგად, ეს ბუნდოვანი ფრაზები სინამდვილეში დიდ სახელმწიფოთა მეტ თანამშრომლობას, გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) გაზრდილ როლსა და საერთაშორისო სამართლის მეტ მნიშვნელობას გულისხმობდა.

ცნება — „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელმაც პოლიტიკის მეცნიერებაში განსაკუთრებული აქტუალურობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან შეიძინა, არცთუ ისე ახალია. როგორც მსოფლიო ისტორიული პროცესები ცხადყოფს, აღნიშნული პარადიგმა მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენების პარალელურად ვითარდება და მსოფლიო

[29] President Bush’s speech to Congress. New World Order. 1990. იხ. https://web.archive.org, უკანასკნელად გადამოწმდა 20.05.2021.

პოლიტიკის დიდ სურათს ქმნის. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა 1648 წლის ვესტფალიის ზავი, 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, 1917 წლის რუსეთის რევოლუცია, 1919 წელს „ერთა ლიგის“ დაარსება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა, „ცივი ომი“ და სხვა. XX საუკუნეში დამყარებულმა მსოფლიო წესრიგმა მსოფლიო გავლენის სფეროებად გაყო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა XXI საუკუნეში გლობალიზაციის კვალდაკვალ ჩამოყალიბებული „ახალი მსოფლიო წესრიგიც.“[30]

ვინაიდან, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის ძირითადი პრინციპები და ამოცანები მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვაა, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციებიდან იღებს სათავეს. ასე მაგალითად, ანტიკურ ეგვიპტეში „ახალი მსოფლიო წესრიგი“ გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს მოიცავდა.[31] ცალკეული მცდელობები კი, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიო ან რეგიონული დომინირების მიღწევისკენ, ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგიზ ხანის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ეპოქებს უკავშირდება.

ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების გამომცემლობა სიტყვა „ჰეგემონს“ განმარტავს, როგორც მოცემულობას უნიპოლარიზმსა და იმპერიალიზმს შორის, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებზე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო წესრიგის დამყარებას.[32] “Merriam-Webster”-ის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, ჰეგემონია, ეს არის

---

[30] გორგილაძე ი. ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომც. უნივერსალი, თბ., 2016, გვ. 31.
[31] Dobbin F., Simmons B. Garrett G. The global diffusion of public policies: social construction, coercion, competition, or learning? Annual Review of Sociology. vol. 33. 2007, pp.449-472.
[32] Luis L. Schenoni. „International studies“. International studies association and Oxford University Press. Hegemony. 2021. იხ. https://oxfordre.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

დომინანტური ჯგუფის სხვა ჯგუფებზე სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური და ეკონომიკური გავლენის მოხდენა. იმავე ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ჰეგემონია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (hēgeisthai — წაყვანა, გაძღოლა, ბერძ.) და ანტიკურ საბერძნეთში იგი ერთი პოლისის (ქალაქ-სახელმწიფოს) სხვა პოლისებზე უპირატესობის, აბსოლუტური პრივილეგიის გამოსახატავად გამოიყენებოდა. აღნიშნული სიტყვა ინგლისურ ენაში პირველად XVI საუკუნეში გამოიყენეს.[33]

მოგვიანებით, ტერმინი „ჰეგემონიზმი“ საერთაშორისო ურთიერთობების ლექსიკონში დამკვიდრდა ისეთი ლიდერი სახელმწიფოს აღსანიშნავად, რომელსაც უდიდესი გეოპოლიტიკური უპირატესობა გააჩნია მსოფლიოს სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორებს შორის. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასზე დაქვემდებარებული სახელმწიფოების პოლიტიკური დღის წესრიგს და მათ, ფაქტობრივად, საკუთარი „სისტემის ორბიტაში აქცევს“ გავლენის „ლიდერობიდან დომინირებამდე“ განვრცობის მიზნით.[34]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სპეციალისტები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რა აყალიბებს მსოფლიო წესრიგს. სამეცნიერო წრეებში დღესაც არ ცხრება დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მსოფლიო წესრიგის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი გლობალიზაციის ეპოქაში და რამდენად მართებულია ჰეგემონის არსებობა დღევანდელი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში. „ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის“ მიხედვით, ჰეგემონი, რომელსაც შესწევს უნარი, დაამყაროს და შეინარჩუნოს წესრიგი, გადამწყვეტ როლს ასრულებს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად. ვინაიდან თავისუფალი

---

[33] Meriam Webster dictionary, since 1828. Hegemony. 2021. იხ. https://www.merriam-webster.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[34] სანიკიძე გ., კიღურაძე ნ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. ფონდი ღია საზოგადოება — საქართველო, თბ., მერიდიანი. 2001.

ბაზარი თანაბრად უზრუნველყოფს არა მარტო ჰეგემონი სახელმწიფოს, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს ეკონომიკურ სარგებელს, რომელთაც თავისუფალი სავაჭრო სივრცე აერთიანებს. ჰეგემონის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ლიბერალური მსოფლიო წესრიგის დამყარებისთვის, რათა „ეკონომიკური ურთიერთობები არ გახდეს „ნაციონალისტური მისწრაფებების ტყვე, რის შედეგადაც ქვეყნები შეეცდებიან მეზობლებს ყველაფერი წაართვან თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ.“[35]

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა XX საუკუნის პირველი ნახევრისთვის დამახასიათებელი იზოლაციონისტური საგარეო-პოლიტიკური კურსი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან უფრო აქტიური საგარეო კურსით ჩაანაცვლა და მსოფლიო წესრიგის გარანტი გახდა. 1930-იან წლებში ამერიკულმა იზოლაციონიზმმა, მსოფლიო მასშტაბით, დიდი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. პირველმა მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო დიდი ბრიტანეთის ხანგრძლივ ჰეგემონიას ევროპის კონტინენტზე და მსოფლიო მართვის სადავეები აშშ-ის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც, თავის მხრივ, უარი განაცხადა შეესრულებინა ერთპიროვნული ლიდერის როლი და უცხოური საქონლისთვის საზღვრები ჩაკეტა, რათა მინიმუმამდე დაეყვანა ეკონომიკური და კულტურული კავშირები არა მარტო ევროპასთან, არამედ ლათინურ ამერიკასთანაც კი.[36] ექსპერტთა დიდი ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ დასავლური იზოლაციონიზმი ეკონომიკური პროტექციონიზმის ნათელი ილუსტრაცია იყო, რომელმაც მსოფლიო „დიდ დეპრესიამდე“ მიიყვანა.

ჩ. კინდლებერგერი, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა „ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის“ მამად, თავის ერთ-ერთ ნაშრომში „მსოფლიო დეპრესიაში: 1929-1939“ დეტალურად აღწერს ამ წლებში მსოფლიო

[35] აკობია ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. სოციალური მეცნიერებების სერია. 2006, გვ. 86.

[36] ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა. სოციალურ მეცნიერებათა სერია. CSS (Cneter for Social Sciences). თბ., 2006, გვ. 14.

დეპრესიის გამომწვევ მთავარ მიზეზებს. მაშინ, როდესაც მკვლევართა დიდი ნაწილი 1930-იანი წლების მსოფლიო დეპრესიაში პასუხისმგებლობას ერთმნიშვნელოვნად აშშ-ს აკისრებს, კინდლებერგერი „დიდ დეპრესიას“ ევროპის კონტინენტის განზომილებაში მოიაზრებს. იგი აღწერს ევროპაში კრიზისის ძირითად ეტაპებს, რომელიც კონტინენტის შედარებით, მცირე ფინანსურ ცენტრში, ვენაში, იწყება და მოკლე დროში „მეტასტაზურად“ ვრცელდება ბერლინში, ლონდონსა და, მოგვიანებით, ნიუ-იორკშიც კი. ევროპის კონტინენტზე საჯარო პოლიტიკის არარსებობის შედეგად, ცალკეულმა ეროვნულმა მთავრობებმა სათანადოდ ვერ უზრუნველჰყვეს შექმნილი სიტუაციის ეფექტიანი მართვა, რამაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიო XX საუკუნის უდიდეს ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

კინდლებერგერი ასკვნის, რომ 1920-1930-იანი წლების მსოფლიო კრიზისის გამომწვევი მიზეზი სწორედ ჰეგემონის, იმ ეკონომიკური ძალის, არარსებობა იყო, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდა და ამით იხსნიდა, როგორც საკუთარი, ისე სხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ რეცესიას. დიდი ბრიტანეთი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ დასუსტებული იყო და მისი ეკონომიკა შეუქცევად ვარდნას განიცდიდა, ხოლო აშშ-მა ვერ გააცნობიერა, რომ ეკონომიკური სისტემების გრძელვადიან სტაბილიზაციაში გადამწყვეტი როლი სწორედ მას უნდა შეესრულებინა.[37]

კინდლებერგერის შეხედულებებს იზიარებენ კ. ორგანსკი და ი. კუგლერი. ორგანსკის ძირითადი პოსტულატები ეფუძნება მის მიერ ჩამოყალიბებულ „ძალაუფლების გადაცემის თეორიას“ (power transition theory). აღნიშნული თეორიის საფუძველზე, წიგნში „მსოფლიო პოლიტიკა“, მკვლევარი დეტალურად აღწერს ომის ბუნებას საერთაშორისო ურთიერთობებში. ორგანსკი და კუგლერი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების

[37] Kindleerger C. World in depression 1929-1939. University of California Press. 1973, p. 289.

თანაბარი გადანაწილება, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, ომის გამომწვევი მიზეზი გახდეს. წიგნში, „ომის სახელმძღვანელო“, ავტორები ასკვნიან, რომ ბიპოლარული სისტემა, რომელშიც გავლენის სფეროები ორ ძირითად პოლუსს შორისაა გადანაწილებული, რეალურად არამდგრადია და მიდრეკილია ომისკენ. ისინი ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო წესრიგს აყალიბებს მხოლოდ ჰეგემონი სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო იერარქიის სათავეში დგას და მნიშვნელოვნად წარმართავს მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგს.[38]

რ. კიოჰეინი თავის ნაშრომში „ჰეგემონიის შემდეგ: თანამშრომლობა და უთანხმოება მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიკაში“ სკრუპულოზურად მიმოიხილავს ჩ. კინდებერგერის, რ. გილპინისა და სხვა თეორეტიკოსების მოსაზრებებს ჰეგემონიის როლისა და დანიშნულების შესახებ. XIX-XX საუკუნეებში დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ჰეგემონიზმს იგი აღნიშნული ქვეყნების სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერით ხსნის და მიიჩნევს, რომ ბრიტანეთმა და აშშ-მა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ეროვნულ ინტერესებსა და პრიორიტეტებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი შექმნეს.

კიოჰეინი ჰეგემონიზმის ფენომენს საერთაშორისო რეჟიმების კონტექსტში განიხილავს. მისი გადმოსახედიდან, რეჟიმები საერთაშორისო წესრიგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო რეჟიმების ფორმირებაც, ჩვეულებრივ, სწორედ ჰეგემონზეა დამოკიდებული. მსოფლიო წესრიგის თანმიმდევრული ფუნქციონირებისთვის კი, აუცილებელია მუდმივი ჰეგემონის არსებობა. კიოჰეინის პერსპექტივიდან, „ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის“ რეალიზმის ჭრილში წარმოდგენა, ცალსახად არასწორია. მიუხედავად იმისა, რომ ჰეგემონს შეუძლია თანამშრომლობის გარკვეულ კონდიციას მიაღწიოს, თანამშრომლობა არ მოითხოვს ჰეგემონის გარდაუვალ

[38] Organski A., Kugler J. The war ledger. Seattle: The University of Chicago press. 1980.

არსებობას და ქვეყნებს შორის პოსტჰეგემონური თანამშრომლობაც სავსებით შესაძლებელია.[39]

ჯ. მოდელსკი, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ჰეგემონიის ციკლების მამამთავრად, თავის ცნობილ ნაშრომში, „გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში“, დეტალურად სწავლობს კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს 1494 წლიდან XX საუკუნის ბოლომდე და გვთავაზობს ჰეგემონიის ციკლების რეტროსპექტულ ანალიზს. ჯ. მოდელსკის მიხედვით, ხუთი საუკუნის განმავლობაში 9 სახელმწიფო აკმაყოფილებს გლობალური ჰეგემონის სტატუსს. ეს სახელმწიფოებია: პორტუგალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი (ორჯერ, XVIII და XIX საუკუნეებში) და ესპანეთი (გლობალური სისტემის ოთხი „დამფუძნებელი ქვეყანა“). მოგვიანებით, ჰეგემონი სახელმწიფოს რიგებს უერთდებიან ნიდერლანდები, რუსეთი/საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და იაპონია. მოდელსკის თვალსაზრისით, ჰეგემონიის ციკლების ცვალებადობა იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია, როდესაც ერთი ჰეგემონის დასუსტებისა და დაცემის შედეგად მეორე ჰეგემონის აღზევება ხდებოდა და ისტორიის ახალი ფურცლები იწერებოდა.[40]

თითოეულ ციკლში, რომელიც ერთი საუკუნის განმავლობაში გრძელდება, ოთხი ფაზაა გამოყოფილი, ესენია: 1. გლობალური ომი, 2. მსოფლიო ბატონობა, 3. დელიგიტიმაცია და 4. დეკონცენტრაცია.[41] თეორია ამტკიცებს, რომ ჰეგემონი სახელმწიფო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერი სახელმწიფო, მსოფლიო ომებისა და კაცობრიობის ისტორიაში, გარდამტეხი მოვლენების პროდუქტია, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერის თვალსაზრისით, დომინანტი სახელმწიფოა და, მაშასადამე, სწორედ ის აწესებს თამაშის გარკვეულ წესებს

[39] Keohane R. After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press. United Kingdom. 1984, pp.31-32.
[40] Modelski G. Long Cycles in World Politics. Seattle: University of Washington Press. 1987, p. 10.
[41] იქვე, pp. 30-32.

იმ საერთაშორისო წესრიგში, რომელიც „გლობალურმა ომმა“ წარმოშვა. ასევე, ძლიერდებიან დამარცხებული სახელმწიფოები, რომლებსაც, დროთა განმავლობაში, სერიოზული ამბიციები და პრეტენზიები უჩნდებათ მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით და ისინი უკვე არსებულ ჰეგემონს უპირისპირდებიან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჰეგემონ სახელმწიფოს სათანადო რესურსები და ავტორიტეტი უნდა გააჩნდეს, რათა არ „შთაინთქას“ ახალი ძალის მიერ. ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი შემოინახა.

ა. რონდელი სკრუპულოზურად სწავლობს ჯ. მოდელსკის თეორიის ძირითად პოსტულატებს და აჯამებს: „გლობალური ომების“ პერიოდები იყო: 1. იტალიის ომები (1494-1517 წწ.), რომელთა წიაღიდანაც პორტუგალია აღზევდა, როგორც მსოფლიო ლიდერი; 2. ომი ნიდერლანდების დამოუკიდებლობისთვის (1585-1609 წწ.), რომელმაც ნიდერლანდები მსოფლიო ლიდერის პოზიციაზე გაიყვანა; 3. ლუი მეთოთხმეტეს ომები (1689-1715 წწ.), რომელთა შედეგადაც მსოფლიოს ბატონი დიდი ბრიტანეთი გახდა; 4. საფრანგეთის რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1792-1815 წწ.), რომლებმაც განაახლეს დიდი ბრიტანეთის ბატონობა; 5. ორი მსოფლიო ომი მეოცე საუკუნეში (1914-1918 წწ. და 1939- 1945 წწ.), რომლებმაც გზა გაუხსნეს აშშ-ის მსოფლიო ბატონობას.“[42]

ამრიგად, XVI საუკუნის განმავლობაში, როდესაც მსოფლიო ჰეგემონიზმის მართვის სადავეები პორტუგალიას ეპყრა ხელთ, ჰეგემონობაზე პრეტენდენტი ესპანეთი იყო, რომელიც ყოველგვარი მექანიზმებით ცდილობდა არსებული ჰეგემონის ჩანაცვლებას. მოდელსკის მიხედვით, XVII საუკუნე ნიდერლანდების აღმავლობის ეპოქაა, რომლის ჩანაცვლებას წლების განმავლობაში ინგლისი ცდილობდა, რომელიც XVIII-XIX საუკუნეების ერთპიროვნულ ჰეგემონად გვევლინება. ამ პერიოდში ჰეგემონობაზე პრეტენზიას აცხადებს ჯერ საფრანგეთი, შემდგომ —

[42] რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები. გამომც. — ნეკერი, თბ., 2006, გვ.105-108.

გერმანია. მიუხედავად ჰიტლერის მოჭარბებული ნაციონალიზმისა, რომელიც მოგვიანებით გერმანულ ნაციზმში გადაიზარდა, მან ვერ შეძლო ისეთი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება, რომელშიც გადამწყვეტ როლს გერმანია და სხვა ერებისგან „გამორჩეული“ გერმანელი ხალხი ითამაშებდა. კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი დამანგრეველი ძალის დამარცხება „დიდი სამეულის“ დამსახურებით გახდა შესაძლებელი. XX საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატები ხდება ჰეგემონი სახელმწიფო, რომელსაც „ცივი ომის“ განმავლობაში საბჭოთა კავშირი უპირისპირდება და ყალიბდება ორპოლუსიანი სისტემა.

მოდელსკისა და ტომპსონის მიხედვით, ახალი ჰეგემონი სახელმწიფოს აღზევებას შედეგად ძველი სისტემის ნგრევა მოჰყვება, რომელიც „დელიგიტიმაციითა“ და დეკონცენტრაციით“ ხასიათდება. ეს სისტემის რღვევას იწვევს და ისევ ახალი გლობალური ომები იწყება, ახალი ჰეგემონის გამოსავლენად. დოქტორ დ. კოქსის მიხედვით, ერთი სისტემის მეორე სისტემით ჩანაცვლების პერიოდი დაახლოებით 70-100 წელიწადი გრძელდება. ჯ. მოდელსკის მოსაზრებით კი, იგი 87-დან 122 წლამდე მერყეობს.[43]

ი.ვალერსტაინი ნაშრომში „მსოფლიო სისტემების ანალიზი“ მიმოიხილავს ევროპისა და აშშ-ის ისტორიას და იზიარებს ჯ. მოდელსკის შეხედულებებს ჰეგემონიის ციკლებთან მიმართებით. ავტორის დაკვირვებით, ისტორიულად ჰეგემონის ცვლილება მუდმივად წარმოშობდა ომსა და უსამართლობას, რომლის ნათელი ილუსტრაციაა 30-წლიანი ომი ევროპის კონტინენტზე (1618-1648), როდესაც ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო ჩართული იყო სისხლიან დაპირისპირებაში რელიგიურ ნიადაგზე; თუნდაც ნაპოლეონის ომები 1792-1815 წლებში,

[43] George Modelski. Long Cycles in World Politics. Seattle: University of Washington Press. 1987, p. 102.

რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომი მსოფლიო წესრიგის განუყოფელი ნაწილი გახდა.[44]

ვალერსტაინი აღნიშნავს, რომ ბოლო 500 წლის განმავლობაში მსოფლიო-იმპერიის შექმნის არაერთი მცდელობა შეინიშნებოდა. კერძოდ კი, ჩარლზ V-ის მმართველობის დროს — XVI საუკუნეში, რაც სუსტად, მაგრამ მაინც გაგრძელდა მისი მემკვიდრეების მიერაც, ნაპოლეონის ომები XIX საუკუნეში და ჰიტლერის — XX საუკუნეში. საბოლოოდ, ყველა დამარცხდა და მათ მსოფლიო იმპერიის ფორმირება ვერ შეძლეს.[45]

ცალკე აღნიშვნის ღირსია, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების როლი და დანიშნულება XXI საუკუნეში. რეალისტები, რომლებიც მუდმივად კონცენტრირებენ ძალის დემონსტრირებაზე და ამას საერთაშორისო სისტემის ანარქიული ხასიათით ხსნიან, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ მიიჩნევენ რეალურ ძალად და თვლიან, რომ მათი გლობალური პრესტიჟი დამოკიდებულია და განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების ქმედებებით. მაგალითად, თუ ევროკავშირში გერმანიას უჭირავს დომინანტური პოზიცია და იგი ორგანიზაციაში ჰეგემონის როლსაც ასრულებს, მიიჩნევა, რომ სხვა არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას აშშ აკონტროლებს და, შესაბამისად, ისინიც (მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ.) აშშ-ის ინტერესებს გამოხატავენ.[46]

რ. კაპლანი, იზიარებს რა გამოჩენილი ამერიკელი რეალისტის კ. უოლცის შეხედულებებს მსოფლიო წესრიგთან მიმართებით, თვლის, რომ როგორც კ. უოლცი იტყოდა, „ანარქიის საპირისპირო მოვლენა ეს არის არა სტაბილურობა, არამედ — იერარქია“. კაპლანის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიაში შედარებით მშვიდობიანი პერიოდები ამა თუ იმ ჰეგემონის

[44] Wallerstein I. World-systems Analysis: An Introduction. Seattle: Duke University Press. US. 2005, p.62.
[45] იქვე, p.57.
[46] ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა. სოციალურ მეცნიერებათა სერია. CSS (Cneter for Social Sciences). თბ., 2006, გვ. 15.

ერთგვარი პროდუქტი იყო. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მმართველი ჰეგემონური ან იმპერიული ძალაუფლება ყველაზე ლიბერალური ბუნებით ხასიათდებოდა, ცხადია, კონკრეტული ეპოქის სტანდარტების შესაბამისად. რომი, ვენეცია და ბრიტანეთი უფრო ლიბერალურები იყვნენ, ვიდრე მათ წინააღმდეგ განწყობილი ძალები. ავსტრიის ჰაბსბურგების იმპერია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ხშირად იცავდა უმცირესობათა უფლებებს და უფრო აფერხებდა ეთნიკურ ომებს, ვიდრე ეს მათ სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებმა შეძლეს. მსგავსი მიდგომით ხასიათდებოდა ოსმალეთის იმპერიაც ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. ამრიგად, მეცნიერის თვალსაზრისით, ჰეგემონია არ საჭიროებს ტირანულ და აბსოლუტურ მმართველობას.[47]

კაპლანის მიხედვით, სტაბილურობა, ჩვეულებრივ, იერარქიის საერთო ფორმაა. ჰაბსბურგების, დიდი ბრიტანეთის, ოსმალეთისა და საბჭოთა იმპერიის დაშლას შედეგად ხანგრძლივი ომები მოჰყვა. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ყოველი იმპერიის არსებობა, საბოლოოდ, მარცხით დასრულდა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ ათწლეულებისა თუ საუკუნეების განმავლობაში მშვიდობა უზრუნველჰყვეს. რასაკვირველია, ყველა იმპერია არ არის ერთნაირად ტოლერანტული. მაგალითად, ავსტრიელი ჰაბსბურგები ბევრად შემწყნარებლები იყვნენ, ვიდრე კომუნისტი რუსები, რომლებიც რომ არა 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუცია და რომანოვების დინასტიის დამხობა, ალბათ, ბევრად ტოლერანტულები იქნებოდნენ. მართალია, ნაპოლეონმა უღალატა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებსა და ღირებულებებს იმპერიის შექმნით, მაგრამ მან გარკვეული უფლებები მიანიჭა ებრაელებსა და პროტესტანტებს. XX საუკუნეში ჰეგემონის ფუნქცია აშშ-მა იკისრა, რომელიც შეიძლება იყოს დემოკრატიული შინ, მაგრამ მას უწევს იყოს ჰეგემონი მის საზღვრებს გარეთ. კაპლანი ერთმნიშვნელოვნად

[47] Kaplan R. Anarchy and Hegemony. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor. იხ. https://worldview.stratfor.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ასკვნის, რომ მსოფლიო ბევრად უფრო ანარქიული იქნებოდა აშშ-ის ჰეგემონიის გარეშე.[48]

რ. გილპინის მიხედვით, კაცობრიობის ისტორია საერთაშორისო სისტემის სამი ძირითადი ეტაპით ხასიათდება. ესენია: იმპერიული (ჰეგემონური), ბიპოლარული (ორპოლუსიანი) და ძალთა ბალანსის (ძალთა წონასწორობის) სისტემები. ჰეგემონური სისტემის სტრუქტურა ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებზე დომინანტური პოზიციის მოპოვება-შენარჩუნებასა და ბატონობას უსვამს ხაზს. ბიპოლარული სისტემა, ხშირ შემთხვევაში, ხანმოკლეა. ამ დროს ორი გამოკვეთილი ლიდერი სახელმწიფო ქმნის მსოფლიო წესრიგს და დანარჩენ მსოფლიოს გავლენის სფეროებად ყოფს. აღნიშნული სისტემის კლასიკური მაგალითია „ცივი ომი“. „ძალთა ბალანსის“ პირობებში სამი ან მეტი წამყვანი სახელმწიფო ასრულებს მთავარ როლს. აღნიშნული სისტემის ნათელი ილუსტრაციაა თითქმის სამსაუკუნოვანი პერიოდი ევროპის კონტინენტზე, ვესტფალიის ზავის დადებიდან პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე.

გილპინი დეტალურად იკვლევს დასავლეთის 2400 წლოვან ისტორიას და ამტკიცებს, რომ მსოფლიო ისტორია დაუსრულებელი ციკლებისგან შედგება, რომელსაც ენაცვლება ომისა და მშვიდობის პერიოდები. ომი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ჰეგემონი კარგავს ეკონომიკურ მდგრადობასა და ეფექტიანობას, რაც სამხედრო ძლიერების შემცირებაზე აისახება. იწყება ახალი ჰეგემონის აღზევება და მსოფლიო მართვის სადავეების პრეტენდენტი, ახალი „ჩელენჯერი“ (სახელმწიფო, რომელსაც აქვს პრეტენზია ჰეგემონობაზე) ხდება. გილპინის აზრით, XX საუკუნეში ასეთი „ჩელენჯერი“ იყო გერმანია. მას პირველობა აშშ-მა წაართვა, რომელმაც მოგვიანებით საერთაშორისო ლიბერალური ეკონომიკა შექმნა. ნატოსა და ბრეტონ-ვუდსის სისტემის შექმნით უსაფრთხოება და სტაბილურობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ამასთან,

[48] იქვე.

გილპინი მიიჩნევს, რომ „ჰეგემონის უპირველესი ამოცანაა, სწორად გაანაწილოს საკუთარი შესაძლებლობანი და არ დაუშვას საკუთარი განვითარებისთვის საჭირო კაპიტალის საზღვრებს გარეთ გადინება, რაც ხელს შეუწყობს მეტოქეთა ეკონომიკურ გაძლიერებას ჰეგემონის ხარჯზე.“[49]

ჰ. კისინჯერი აანალიზებს კაცობრიობის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან პროცესს, როგორიცაა დინასტიური მმართველობა ჩინეთში, რაც მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა; ისტორიამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ყოველ ახალ მმართველობას შედეგად ძველი სისტემის ნგრევა მოჰყვა. არამდგრადობით ხასიათდებოდა ისლამური რეჟიმებიც. ევროპის კონტინენტზე კი, რომაული მმართველობის დასრულებისთანავე, პლურალიზმი გახდა ევროპული წესრიგის განმსაზღვრელი ფაქტორი. აშშ-მა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, პარადოქსული როლი ითამაშა, მსოფლიო წესრიგის დამყარებაში, რომელსაც „მანიფესტის ბედის“ დოქტრინის საფუძველზე, განსაკუთრებული მისია დაეკისრა თავისი უნიკალური ღირებულებების ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე განვრცობის მიზნით. აშშ გახდა ზესახელმწიფო, რომელმაც დასაწყისშივე უარყო ძალაუფლებაზე და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი.[50]

„1961 წელს, კანზას-სიტიში ყოფნისას, სადაც მოხსენებით უნდა გამოვსულიყავი, როგორც ახალგაზრდა აკადემიკოსმა, დავურეკე პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა ეამაყებოდა პრეზიდენტ ტრუმენს ყველაზე მეტად თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში, მან მომიგო: “მეამაყება ის, რომ ჩვენ სრულიად დავამარცხეთ ჩვენი მტრები და ბოლოს დავაბრუნეთ ისინი ერთა გაერთიანებაში. მსიამოვნებს ფიქრი იმაზე, რომ ამას მხოლოდ ამერიკა თუ შეძლებდა“ —

[49] იქვე, გვ.100-105.
[50] Kissinger H. The world order. Penguin books. 2014, p. 234.

იხსენებს შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი.[51]

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნისა და მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების ერთგვარ ფორმულირებას წარმოადგენს ცნობილი პოლონელ-ამერიკელი პოლიტოლოგისა და მეცნიერის ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილი ნაშრომი „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკული პოლიტიკა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“. ბჟეზინსკი ამტკიცებს, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური სიძლიერე და სამხედრო რესურსები აძლევს საშუალებას დიდ საჭადრაკო დაფაზე მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე გახდეს. მისი გადმოსახედიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამერიკული უნივერსალური სტრატეგიის გავრცელება ევრაზიის კონტინენტზე.[52] მეცნიერი ნ. ჩიტაძე ხაზს უსვამს ამერიკის დომინანტობას მრავალი მიმართულებით და მიიჩნევს, რომ XXI საუკუნეშიც, მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფო მხოლოდ შეერთებული შტატებია.[53]

მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრებით, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირება მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი თითოეული ქვეყნის ინტერესების დაცვითა და გათვალისწინებითაა შესაძლებელი, რაც, მეორე მხრივ, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ასე მაგალითად, რეალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰ. მორგენთაუ ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ისტორია ომების, კონფლიქტების ისტორიაა, რომელშიც ქვეყნები, განურჩევლად პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის იბრძვიან.[54]

ძველი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე (ძვ. წ. 460-390) თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორია“, რომელიც რვა ნაწილისგან შედგება და

[51] იქვე, p.1.
[52] იქვე p.1.
[53] ჩიტაძე ნ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის მარტში (იხ.დანართი 15).
[54] Morgenthau, H. J. Politics among nations : the struggle for power and peace. New York: Knopf. 1965.

პელოპონესის ომებს ეძღვნება, შთამბეჭდავად აღწერს დაპირისპირებას ათენსა და სპარტას გარშემო დაჯგუფებულ პოლისებს შორის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „მელოსის დიალოგი“, რომელიც, ფაქტობრივად, კლასიკური რეალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ათენი იპყრობს მელოსს და მას სრულ დანებებას სთავაზობს. “სამართალს აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ძალთა თანასწორობის დროს, ორივე მხარე თანხმდება მის აუცილებლობაზე. სხვა შემთხვევაში, ძლიერი ითხოვს იმას, რაც შეუძლია, ხოლო სუსტი იძულებულია დაემორჩილოს” — ვკითხულობთ ნაშრომში.[55]

თუკიდიდეს თეორიული პოსტულატების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“ და თომას ჰობსის „ლევიათანი“. მაშინ, როდესაც მაკიაველის მიხედვით, ქრისტიანული ეთიკა, ზნეობა და მორალი სახელმწიფო ინტერესებთან თანხვედრაში არ მოდის,[56] თ. ჰობსი ძლიერ სახელმწიფოს ბიბლიურ ურჩხულს ადარებს და მიიჩნევს, რომ მწირი რესურსების არსებობა ადამიანებს კონფლიქტისკენ უბიძგებს და „ომი ყველას წინააღმდეგ“ სახელმწიფოთა ბუნებრივი მდგომარეობაა.[57]

საგულისხმოა, რომ მსოფლიო მმართველობის იდეა სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ემსახურება, რომელიც მიზნად ისახავს დედამიწაზე მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტების თავიდან აცილებას „მსოფლიო ხელისუფლების“ მეშვეობით. XX საუკუნეში განვითარებულმა პროცესებმა, კერძოდ კი, ორი მსოფლიო ომის გამოცდილებამ, რომელსაც თან სდევდა უპრეცედენტო სამხედრო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზრდა, საერთაშორისო თანამეგობრობა მიიყვანა აზრამდე, რომ საჭირო იყო მსოფლიო მმართველობის ჩამოყალიბება, ანუ „მსოფლიო მოქალაქეობის“ ცნების დანერგვა და

[55] Woodruff P. Reverence: Renewing a Forgotten Virtue. Oxford: Oxford Universty Press. 2014, გვ.117.
[56] Machiavelli N. The Prince. [1513]. The Prince and other Political Writings. ed. S. Milner. 1995.
[57] Hobbes T., Missner, M. Thomas Hobbes: Leviathan (Longman Library of Primary Sources in Philosophy). Routledge. 2016.

მსოფლიო ხალხების კულტურული, რელიგიური და ენობრივი გაერთიანება, რაც ქვეყნებსა და ცივილიზაციებს შორის განსხვავებულობისა და მუდმივი მეტოქეობის სურვილს მოსპობდა და დედამიწაზე ნანატრ მშვიდობას დაამკვიდრებდა. როგორც უკვე აღინიშნა, გლობალური მართვის პირველ მცდელობად შეიძლება სწორედ „ერთა ლიგა“ ჩაითვალოს.

მეცნიერთა მეორე ნაწილი სკეპტიკურად აფასებს „მსოფლიო მმართველობის“, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების იდეას და ამტკიცებს, რომ იგი შესაძლოა, მსოფლიო ტირანიად იქცეს. მაშასადამე, მკვლევართა ეს ჯგუფი ეჭვქვეშ აყენებს „მსოფლიო მოქალაქეობის“ ცნების დანერგვის რეალურ შესაძლებლობას. მათ არგუმენტად მოჰყავთ ხალხებს შორის კულტურული, რელიგიური და ენობრივი განსხვავება; არაიდენტური ტრადიციები, ადათ-წესები და ისტორიული მეხსიერება, რაც ერი-სახელმწიფოს იდენტობის უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია. მათი „ერთ ხალხად“ გაერთიანება ცალსახად მიუღებელია, უსამართლობასთან ერთად. მესამე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, გეოგრაფიული და ინსტიტუციური სიშორე ხელისუფლებასა და ხალხებს შორის, რომელიც ძნელად წარმოსადგენს ხდის მსოფლიო მმართველობის სისტემის წარმატებული და გამართული მექანიზმის თეორიიდან პრაქტიკაში განხორციელების ყოველგვარ შესაძლებლობას.[58]

ამდენად, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ რთული და ხანგრძლივი პროცესი ფონად გაჰყვება აშშ-ის ისტორიულ და პოლიტიკურ-კულტურულ ევოლუციას, დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან XX საუკუნის მიწურულამდე, როდესაც იგი ერთადერთ ზესახელმწიფოდ გამოცხადდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა არა მარტო XX, არამედ XXI საუკუნის ძალთა ბალანსიც. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ე. წ. „ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი“, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ცნობილი ამერიკელი

[58] Heywood A. Politics”. Second edition. palgrave foundations. Macmillan. 2002. p.213.

მკვლევარი ქ. კუიგლი ყურადღებას ამახვილებდა „ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტის“ ქსელურ ხასიათზე საერთაშორისო მნიშვნელობით და აქცენტირებდა მის განსაკუთრებულ როლზე მსოფლიო ისტორიაში, როგორც „Pax-Britannica“, ისე „Pax-Americana” პერიოდში. ავტორის მიხედვით, აღნიშნული სუბიექტი, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხელს უწყობდა და თან სდევდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის განვითარების ხანგრძლივ პროცესს.[59]

ზემოაღნიშნული პროცესების თანმიმდევრული ანალიზი ცხადყოფს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელიც არაერთ ასწლეულს მოიცავს, საზოგადოების განვითარებასთან ერთად ყალიბდება და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გლობალური მასშტაბის ტრანსფორმაციას განიცდის. ასევე, ეჭვგარეშეა, რომ ექსპანსიონიზმის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისკენ მიდრეკილი სახელმწიფოებისთვის „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ერთპიროვნული მმართველობისა და მსოფლიო ბატონობის შენარჩუნებასთან ასოცირდება. მაგალითად, ა. დუგინი „ახალ მსოფლიო წესრიგს“ დიდი სივრცის პროამერიკულ, ატლანტურ პროექტს უწოდებს, რომელიც „დედამიწის ყველა ხალხს, სავაჭრო-ლიბერალური ამერიკული მოდელის კოლონად გახდომას სთავაზობს“.[60]

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც საბჭოთა კავშირის კრიზისს მოგვიანებით მისი დაშლა მოჰყვა, კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიო წესრიგის ვექტორები. თუ „ცივი ომის“ დაპირისპირების მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში დასავლეთი უპირობო ლიდერად მიიჩნეოდა, ხოლო საბჭოთა კავშირი, თავისივე ბირთვული პოტენციალის წყალობით, აშშ-ის საპირწონე ძალას ქმნიდა აღმოსავლეთში, 1980-იანი წლების ბოლოდან

[59] Hall P. A. Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain“. Comparative politics. 1991, pp. 275-296.

[60] დუგინი ა.გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი. გამომც. „მთაწმინდელი“. თბ., 1999, გვ. 299.

ნათელი ხდება ვაშინგტონის უალტერნატივო ლიდერობა და საბჭოთა კავშირის სრული კრახი.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის დასრულებას არაერთი გარდამტეხი ცვლილება მოჰყვა შედეგად, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სსრკ-ის ნგრევა და მასში შემავალი 14 სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვება. ახალი თუ ძველი „მსოფლიო წესრიგის" კვალდაკვალ, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი, ფაქტობრივად, „ცივი ომის" ერთგვარი გაგრძელებაა.[61] XXI საუკუნეში ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის დღესაც არაერთგზის იკვეთება ინტერესთა დაპირისპირება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე მწვავე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში (სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, ლათინური ამერიკა და სხვ.) ერთსა და იმავე დროს, რეგიონული დომინანტობისთვის იბრძვიან: ჩინეთი, თურქეთი, ირანი და ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. აღნიშნული, რასაკვირველია, კიდევ უფრო რთულსა და კომპლექსურ ხასიათს სძენს XXI საუკუნის ცვალებად, არაპროგნოზირებად საერთაშორისო სისტემას.

[61] Legvold R. Return to cold war. John Wiley and Sons. 2016.
Cohen, S.F. Failed Crusade: America and the tragedy of post-communist Russia. WW Norton and Company. 2001.

1.2.ლიბერალიზმის გამარჯვება, როგორც ერთპოლარული სამყაროს მოცემულობა

“ცივი ომის“ დასრულებამ ფუნდამენტურად შეცვალა ძალთა ბალანსი დაპირისპირებულ მხარეებს შორის და მსოფლიო წესრიგი სრულიად განსხვავებულ ფაზაში გადაიყვანა, რამაც ყოფილ მეტოქეებს აიძულა, ახლებურად გაეაზრებინათ შექმნილი ვითარება და ახალი რეალობა პრაგმატულად შეეფასებინათ. უდიდესი გაერთიანება, რომელიც მთელი ევრაზიის კონტინენტზე იყო გადაჭიმული და მცირე აზიის, სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით, უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდა, მოულოდნელად დაინგრა. ლიბერალურმა დემოკრატიამ, აშშ-ისა და მისი მომხრე სახელმწიფოების სახით, პირწმინდად გაიმარჯვა კომუნიზმთან ბრძოლაში.

ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და მორალზე დაფუძნებული „ლიბერალური მშვიდობის“ დამყარებას, რასაც, მეორე მხრივ, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მოლოდინი ახლდა თან. „ცივი ომის“ დასრულებამ მისი საფუძვლებიც შეცვალა, რაც შემდეგი სახით გამოიხატა: წინააღმდეგობის გაწევა აგრესიის, კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და ექსპანსიონიზმისადმი; საბრძოლო არსენალის მინიმუმამდე შემცირება და კონტროლი; კონფლიქტების გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი გზით; ადამიანის უფლებების პატივისცემა და ა.შ.

მკვლევართა ნაწილი, „ცივი ომის“ დასრულებით, არა მსოფლიო წესრიგის, არამედ მსოფლიო უწესრიგობის ჩამოყალიბებას გვამცნობდა და ამტკიცებდა, რომ გარდაუვალი ურთიერთგანადგურების ორპოლუსიანი მდგომარეობიდან, რომელიც სტაბილურობისა და დაბალანსებისკენ იხრებოდა, ერთპოლუსიანი სამყარო, უფრო ქაოსური და არასტაბილური იქნებოდა. აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო ეთნიკური, რელიგიური და რასისტული კონფლიქტების გაღვივებას მსოფლიო მასშტაბით.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითებია — აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირებები — სერბებს, ხორვატებსა და ყოფილ იუგოსლავიელ მუსლიმებს შორის, კონფრონტაცია რუსეთსა და სეპარატისტულ ჩეჩნეთს შორის, კონფლიქტები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და სხვ.[62]

ფ. ფუკუიამა ამტკიცებდა, რომ „ისტორიის დასასრული გულისხმობს, „არა ცდომილებათა რიგის, მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შეწყვეტას, არამედ დასასრულს იმ ისტორიისა, რომელიც ერთიან ევოლუციურ პროცესად მოიაზრება ყველა ხალხისა და ყოველი დროის ერთობლიობაში.“[63] მეცნიერის თვალსაზრისით, ლიბერალური დემოკრატია არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ჭრილშიც ერთადერთი პრაგმატული მმართველობის ფორმაა, რომლის „თავისუფალი ბაზრის“ პრინციპმა ეკონომიკური დოვლათი შექმნა განვითარებად ქვეყნებშიც კი.[64]

ზ. ბჟეზინსკის მიხედვით, ამერიკა ერთადერთ სუპერძალას წარმოადგენს, რომლის მსოფლიო პირველობა, თავისი მასშტაბებითა და ხასიათით, ცალსახად, უნიკალურია. „...ეს ახალი ტიპის ჰეგემონიაა, რომელიც აირეკლავს მრავალ იმ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია ამერიკული დემოკრატიული სისტემისთვის: ის პლურალისტურია, შეუღწევადი და მოქნილი... ძნელად თუ ვინმე გაბედავს შეედავოს ამერიკას, როგორც მსოფლიოს პირველი სუპერძალის სტატუსს, ვერც ერთი სახელმწიფო შეძლებს გაუტოლდეს ამერიკას ოთხ ძირითად — სამხედრო, ეკონომიკურ, ტექნიკურ და კულტურულ ასპექტში“ — წერდა მეცნიერი 1997 წელს.[65]

---

[62] Heywood A. Politics. Second edition. palgrave foundations. Macmillan. 2002, p.1.

[63] ბერუაშვილი მ. კულტურათაშორისი ურთიერთობების როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2016, გვ. 17

[64] Fukuyama F. The end of history and the last man”. The free Press, A Division of Macmillan. Inc. New York. 1992.

[65] ბჟეზინსკი ზ. დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები. გამომც. არტანუჯი. თბ., 2014. გვ.291-292.

დღემდე არ ცხრება დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის რეალურად ლიბერალური დემოკრატია ან რამდენად მდგრადი და რეზისტენტულია იგი XXI საუკუნის უმთავრესი გამოწვევების საპირწონედ. მეცნიერ თ. კიკნაძის მიხედვით, ლიბერალური დემოკრატია, ეს არის წყობა, რომელშიც „ინდივიდი მიჩნეულია სოციალური მოქმედების თავისუფალ, დამოუკიდებელ ერთეულად“ და მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ძირითადი სეგმენტი — პლურალიზმი წარმოადგენს.

ლიბერალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი ღირებულება თავისუფლებაა, რომელიც, თავისი არსით, „ეკონომიკური არჩევანის შესაძლებლობასაც“ გულისხმობს. ამასთან, თუ ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები დომინირებს საზოგადოებაზე, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, საზოგადოება დომინირებს და აკონტროლებს კიდეც სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს.[66]

ფ. ფუკუიამასგან განსხვავებით, ს. ჰანთინგტონი ნაშრომში „ცივილიზაციათა შეხლა“ ამტკიცებს, რომ „ცივი ომის“ დასრულებით გაღრმავდა ურთიერთობები დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის, იდეოლოგიათა დაპირისპირების „რკინის ფარდა“ კი, „ხავერდის ფარდამ“ ჩაანაცვლა.[67] მეცნიერის მიხედვით, თუ ადრეულ ხანაში კონფლიქტები და ომები წარმოებდა მეფეებსა და იმპერატორებს შორის, რამაც სახელმწიფოები წარმოშვა, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, კონფლიქტები მიმდინარეობს უკვე ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე, რაც, ფაქტობრივად, მთელი XX საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. მეცნიერი გამოყოფს რვა

[66] კიკნაძე კ. ლიბერალური დემოკრატია. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი — ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ., ლოგოს პრესი. 2016. იხ. http://dictionary.css.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[67] Huntington S. The Clash of Civilizations. Foreign affairs. 1993, pp.10-11.

განსხვავებულ ცივილიზაციას და ამტკიცებს, რომ მომავლის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები წარმოიშობა „ცივილიზაციათა გამმიჯნავი ხაზების გაყოლებით.“[68]

ს. ჰანთინგტონის თეზისი, გარკვეულწილად, გამართლდა კიდეც 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შემდგომი პერიოდიდან. ამ პერიოდიდან აშშ იწყებს ღია ინტერვენციას ჯერ სირიასა და ერაყში, მოგვიანებით კი — ლიბიაში. ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ვლადიმერ პუტინი ერთ-ერთი პირველი დაუკავშირდა ჯორჯ ბუშს და ურყევი მხარდაჭერა აღუთქვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც აშშ და რუსეთი ერთობლივი ძალებით გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.[69] ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ატმოსფერო მკვეთრად უარესდება 2005-2006 წლებში.

2007 წელს მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა სასტიკად გააკრიტიკა უნიპოლარული მსოფლიო შეერთებული შტატების თაოსნობით. რუსეთის პრეზიდენტის ხანგრძლივი მონოლოგი აშშ-ის კრიტიკაზე იყო აგებული.[70] შედეგმაც არ დააყოვნა. მალევე, საერთაშორისო საზოგადოება ღრმად შეაშფოთა რუსეთის სამხედრო ინტერვენციებმა საქართველოსა და უკრაინაში. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის თ. კიკნაძის მიხედვით, 2008 წელს რუსეთმა სამხედრო ძალა გამოიყენა აშშ-ის მოკავშირე ქვეყნის წინააღმდეგ და „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცალმხრივად შეიტანა კორექტივები მის მიერ წარმოებული საერთაშორისო პოლიტიკის საზღვრებსა და შესაძლებლობებში“.[71]

---

[68] იქვე, p.7.
[69] Stent A.E. The Limits of Partnership: US-Russian Relations in the Twenty-First Century — Updated Edition. Princeton University Press. 2015, p. 63.
[70] President of Russia. Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy. 2007. იხ. http://en.kremlin.ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[71] კიკნაძე თ. რატომ არ გახდა აფხაზეთი მეორე კოსოვო? საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი — სამეფო გვირგვინი. 2018, N2. გვ. 32.

რუსეთისთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია თავის „უკანა ეზოში“ რუსული საგარეო პოლიტიკური ინტერესების ამერიკული ინტერესებით ჩანაცვლება,[72] ვინაიდან, პუტინის ხელისუფლების პირობებში, რუსული პოლიტიკური ელიტა დაკარგული „რუსული დიდების“ აღდგენისკენ მიისწრაფვის.[73] ეს დეტალურად არის გაწერილი კრემლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც. რაც შეხება სპარსეთის ყურესა და ახლო აღმოსავლეთს, რეგიონში დომინანტური პოზიციების მოპოვებისა და გამტკიცებისთვის სამი სახელმწიფო იბრძვის — რუსეთი, აშშ და ჩინეთი. დიდ მოთამაშეებს შორის აღნიშნულ სივრცეში ინტერესთა დაპირისპირება, ენერგორესურსების — ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭარბი მარაგით აიხსნება.

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. „მსოფლიო, კორონავირუსის შემდეგ, არასდროს იქნება ისეთი, როგორიც იყო“ — აღნიშნა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ერთ-ერთ ინტერვიუში. მრავალი წიგნის ავტორმა და აშშ-ის ისტორიაში ავტორიტეტულმა ფიგურამ, პოსტკოვიდური მსოფლიო 1944 წელს განვითარებულ მოვლენებს შეადარა და აღნიშნა, რომ თუ მაშინ ამერიკას ეროვნული მიზნები აძლიერებდა და აერთიანებდა, დღეს, პოლარიზებული ამერიკის პირობებში, „ეფექტიანი და შორსმჭვრეტელი“ მთავრობის პრაგმატული პოლიტიკა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გლობალური კრიზისის, გამოწვევებისა და დაბრკოლებების თავიდან აცილების მიზნით. კისინჯერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმთავრესია, არა მარტო ეროვნული ძალისხმევა, არამედ ქვეყნებს შორის უფრო დიდი საერთაშორისო თანამშრომლობა და მულტილატერალიზმზე დამყარებული სისტემა.[74]

---

[72] ეროლი ა. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 19).
[73] Mankoff J. Russian Foreign Policy: The return of great power politics. Rowman & Littlefield Publishers. 2009, pp. 219-220.
[74] Kissinger H. Opinion. The Coronavirus Pandemic Will Forever Alter the World Order. Wall street Journal. 3 April. 2020. იხ. https://www.wsj.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

თუ XIX საუკუნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი მიიჩნეოდა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოდ, ხოლო მთელი XX საუკუნის განმავლობაში შეინიშნებოდა აშშ-ის მკვეთრი დომინაცია აღნიშნული კუთხით, (რაც კიდევ უფრო გამყარდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომი პერიოდიდან) დღეს ვხედავთ, რომ როგორც დემოკრატიული, ისე ავტორიტარული, როგორც ეკონომიკურად განვითარებული, ისე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები, დგანან ეგზისტენციალური საფრთხისა და უდიდესი გამოწვევის წინაშე. რასაკვირველია, საფრთხე რეალურია და დაკავშირებულია კოვიდ-19-ის პანდემიასთან, რომელიც, პირდაპირ თუ ირიბად, უკლებლივ ყველა სახელმწიფოს შეეხო და დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ერთგვარი კონსტრუირებაც მოახდინა.

სამეცნიერო და პოლიტიკურ ელიტებში არ ცხრება დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება პოსტპანდემიური მსოფლიო წესრიგი. წარმოდგენილია ე.წ. „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ ბანაკები. პესიმისტთა ბანაკში მოიაზრება ფილოსოფოსი ჯ. გრეი, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვა, დროთა განმავლობაში, ნაციონალიზმის ახალ ტალღასა და გლობალიზაციის გაქრობას გამოიწვევს.[75] ოპტიმისტური ბანაკის პერსპექტივიდან კი, რომელსაც მეცნიერი ჯ. ნაი ავითარებს, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისისა, ფუნდამენტური ცვლილებები, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით, მოსალოდნელი არ არის.[76] მეცნიერთა ეს ნაწილი, კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს იმ ისტორიული ქარტეხილების ერთგვარ გაგრძელებად აღიქვამს, რომელიც არაერთი ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, თუმცა ყოველი კრიზისიდან, საბოლოოდ, მსოფლიო უფრო

[75] Gray J. Why this crisis is a turning point in history". NewStatesman. 2021. იხ. https://www.newstatesman.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[76] Nye J. COVID-19 Might Not Change the World. FP. 2021. იხ. https://foreignpolicy.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ძლიერი და გამოწვრთნილი გამოვიდა და ამით პლანეტარული ცივილიზაცია არ „აღგვილა მიწისაგან პირისა“.

აშშ-ში, კორონავირუსით პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პარალელურად, ჯორჯ ფლოიდის რეზონანსულმა საქმემ რასიზმის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია, სახელწოდებით — „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“, რომელსაც საზოგადოების დაყოფა, მზარდი პოლარიზაცია და შიდა დესტაბილიზაცია მოჰყვა შედეგად.

პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელსაც ამერიკული პოლიტიკური ელიტის დემოკრატიული ფრთა დასაწყისშივე აკრიტიკებდა რასისტული ქმედებებისა და განცხადებების გამო, რასობრივ დისკრიმინაციაში დასდეს ბრალი და ამტკიცებდნენ, რომ იგი ამერიკულ საზოგადოებაში არა მარტო რასობრივი სეგრეგაციის წახალისებას უწყობს ხელს, არამედ ახლო კავშირები აქვს კრემლთანაც, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტზე მაკომპრომეტირებელი მასალები მოეპოვება და აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც სწორედ რუსეთი ჩაერია.[77]

აღნიშნულ მოვლენებს წინ უძღოდა ტრამპის იმპიჩმენტთან დაკავშირებული დიდი ვნებათაღელვა რესპუბლიკური პარტიის რიგებში, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი, უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკიზე ზეწოლაში დაადანაშაულეს, რომელიც ამ უკანასკნელს ჯო ბაიდენის ვაჟიშვილის, ჰანტერ ბაიდენის, უკრაინაში კორუფციაში მამხილებელი მტკიცებულების მოპოვებას აიძულებდა.[78]

აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში, 6 იანვარს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ კი, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოზე თავდასხმამ,

---

[77] Dugyala R. Pelosi on Trump: With him, all roads lead to Putin. Members of Congress seek answers on reports about Russian bounties on US soldiers. POLITICO. 2021 იხ. https://www.politico.eu, უკანასკნელად გადამოწმდა - 20.05.2021.
[78] BBC NEWS. Trump impeachment: The short, medium and long story. 2020, იხ. https://www.bbc.com, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი აღშფოთება და აშშ-ისადმი კრიტიკულად განწყობილ ჯგუფებში მწვავე დებატები გამოიწვია. ანალიტიკურ წრეებში ამტკიცებდნენ, რომ ამერიკული დემოკრატია „უხარისხო“ და „არამდგრადია“. თუმცა, ვერც ამ სამწუხარო ფაქტმა დაჩრდილა ამერიკის, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ დასაწყისშივე შეაფასა, როგორც იზოლაციონიზმისა და ეკონომიკური პროტექციონიზმის ნათელი ილუსტრაცია. მართლაც, პრეზიდენტ ტრამპის წინასაარჩევნო ლოზუნგად იქცა „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“ და „ამერიკა ამერიკელებისთვის“.[79] იგი ამერიკელ ხალხს მილიონობით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნასა და ეკონომიკის მკვეთრ ზრდას დაჰპირდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ფულადი რესურსების კეთილგონივრული ხარჯვით იყო შესაძლებელი.

სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყნის, შეერთებული შტატების, პრეზიდენტი გამუდმებით გამოთქვამდა უკმაყოფილებას ნატოს წევრი სახელმწიფოების მიმართ, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის (ნატო) არასაკმარისი თანხების გამოყოფის გამო. მისი კრიტიკის ცეცხლქვეშ არაერთხელ მოექცა გერმანია, უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო ევროპის კონტინენტზე, რომლის ნატოს ბიუჯეტში კონტრიბუცია მხოლოდ 14.8%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც აშშ-ის კონტრიბუცია 22% იყო.[80]

დონალდ ტრამპის „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“ უდიდეს გამოწვევად იქცა ევროპისთვისაც. აშშ-მა დატოვა ირანთან დადებული

[79] Beckwith R. Read Donald Trump's 'America First' Foreign Policy Speech. TIME. იხ. https://time.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 25.05.2021.
[80] Business Media Georgia. ტრამპი ნატოს დაფინანსებას ამცირებს, დაზოგილ თანხას საქართველოს და უკრაინას მოახმარს — CNN. 29 ნოემბერი, 2019. იხ. https://bm.ge/ka, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

საერთაშორისო ხელშეკრულება, გამოვიდა პარიზის კლიმატის ხელშეკრულებიდან და გაამკაცრა საიმიგრაციო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებზე. აშშ-სთან სამომავლო ურთიერთობის ფორმირების კუთხით, განხეთქილება შეინიშნებოდა თვით ევროკავშირის რიგებშიც. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა აშშ-ის დაბალანსება მიდგომით — „ევროპა, უპირველეს ყოვლისა“, საერთო ევროპული არმიის შექმნითა და ევროპის ამერიკაზე დამოკიდებულების შემცირებით სცადა. აღნიშნული პოზიცია არ გაიზიარა გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებმაც უფრო შუალედური, პრაგმატული მიდგომა არჩიეს აშშ-სთან მიმართებით და ხაზი გაუსვეს, რომ აშშ, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროპული თავდაცვისთვის, ისევ რჩება კონტინენტს მიღმა ევროპის მთავარ მოკავშირედ.[81]

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ტრამპის მმართველობის პერიოდში, შეერთებულმა შტატებმა მკვეთრად გადაუხვია ათწლეულების მანძილზე დომინირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებისგან იზოლაციის მცდელობით, ფაქტობრივად, პასუხისმგებლობა მოიხსნა იმ საერთაშორისო მისიის შესრულებაზე, რომელიც ისტორიამ სწორედ აშშ-ს დააკისრა. არსებობს მოლოდინი, რომ ჯოზეფ ბაიდენის აშშ-ის 46-ე პრეზიდენტად არჩევა აშშ-ს „ძველ რელსებზე“ დააბრუნებს და „დიადი ამერიკა“, თავისი უნიკალური ღირებულებებითა და ფასეულობებით, ისევ გაჰყვება საგარეო პოლიტიკის ტრადიციულ ხაზს; გაზრდის თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან, გააუმჯობესებს ურთიერთობას ირანთან და ჩინეთთან და ისევ გახდება მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობის უმთავრესი გარანტი.

[81] Voice of America. დონალდ ტრამპი და ევროპული გამბიტი. 12 ნოემბერი. 2018. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

„თეთრი სახლის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, 27 იანვარს, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან სატელეფონო საუბრისას, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აშშ-სა და ნატოს შორის ორმხრივი ურთიერთობების მზარდ მნიშვნელობას უსაფრთხოების განმტკიცების კონტექსტში, განსაკუთრებით კი ერაყთან, ავღანეთსა და რუსეთთან ურთიერთობის ჭრილში.[82] ამერიკის ლიდერობას „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ უწოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა. პრემიერმა აღნიშნა, რომ იგი მოუთმენლად ელის ჯო ბაიდენის ადმინისტრაციასთან მუშაობას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისი და კლიმატის ცვლილებები.[83]

გერმანულ-ამერიკული თანამშრომლობის ახალი ეტაპისთვის მზაობა გამოთქვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც, ხოლო ჯო ბაიდენისა და კამალა ჰარისის გამარჯვება მან "ამერიკული დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად" შეაფასა.[84] აშშ-სა და ევროპას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პოზიტიური მოლოდინი აქვს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსაც, რომელმაც აშშ-ის „პარიზის შეთანხმებაში“ დაბრუნებაზე გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ მსოფლიო მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, თუ ამერიკა და ევროპა ერთობლივი ძალებით უმკლავდებიან უმთავრეს გამოწვევებს ჩვენი პლანეტის გადასარჩენად.[85]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ევროპისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძლიერი, სტაბილური და მშვიდობიანი ამერიკა. უპირველეს ყოვლისა, იმ

---

[82] The white house. Readout of President Joseph R. Biden, Jr. Call with Secretary General Jens Stoltenberg of NATO. January 26. 202, იხ. https://www.whitehouse.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[83] Boris Johson. The prime-Minister of Great Britain. Twitter account. იხ. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[84] Angela Merkel. Knatsler of the Germany. Twitter account. იხ. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[85] Emmanuel Makron. The President of France. Official Twitter page. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

სირთულეებისა და გამოწვევების ერთობლივი ძალებით გასამკლავებლად, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა. მსოფლიოში წესრიგის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას კოორდინირებული მუშაობა და ის უნივერსალური დემოკრატიული ღირებულებები წარმოადგენს, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი სწორედ შეერთებული შტატებია. მიუხედავად ევროპის პოლიტიკური წრეების არაერთი მცდელობისა, გამიჯვნოდნენ შეერთებულ შტატებს და დამოუკიდებლად განეგოთ საკუთარი ბედი, კაცობრიობის ისტორიამ არაერთხელ დაგვანახა, რომ ამის ყოველმა მცდელობამ ფიასკო განიცადა.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისტემა XXI საუკუნეში მრავალპოლუსიანია[86] და მასში გავლენის რამდენიმე პოლუსი არის გამოკვეთილი.[87] დღეს ვერავინ უარყოფს ჩინეთის მზარდ როლს მსოფლიო ჰეგემონიის დამყარების კუთხით, რომელიც XXI საუკუნის უდიდესი გლობალური პროექტის ინიციატორად მოევლინა ცივილიზებულ სამყაროს და პირველობისთვის ბრძოლას არც აშშ-სთან ერიდება. ასევე, ანგარიშგასაწევი ძალაა ინდოეთი, სადაც, მართალია, ისევ მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი, მაგრამ ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა, ვრცელი ტერიტორიითა და ჩინეთის შემდეგ, მოსახლეობის უდიდესი რაოდენობით, ჰიდრორესურსებისა და ნახშირის მარაგით, წამყვან პოზიციებს ინარჩუნებს მსოფლიოში.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ბმაში, აღნიშვნის ღირსია თურქეთის პოზიციონირება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. საკმაოდ უკომპრომისო დამოკიდებულებით გამოირჩევა თურქეთის პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკის განხორციელების კუთხით. რეჯეფ თაიფ ერდოღანს სკეპტიკოსთა დიდი ნაწილი „ნეოოსმანიზმშიც“ ადანაშაულებს. იგი

[86] აბაშიძე ზ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 17).
[87] მაისაია ვ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 14).

მუდმივად ხაზს უსვამს, რომ თურქეთი არის დამოუკიდებელი მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და არა ამერიკული და სხვა რომელიმე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა გაერთიანების) საპატიო წევრი. თურქეთის პრეზიდენტი არ ერიდება თავისი პოლიტიკური ინტერესების გამოხატვასა და სისრულეში მოყვანას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების ჭრილში.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ 2021 წლის 18 იანვარს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა საბჭოს სხდომაზე განაცხადა. თურქეთის პირველმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ, თუ XVIII და XIX საუკუნეები ევროპისა და აშშ-ის ეპოქა იყო, ყველა მონაცემი ცხადყოფს, რომ XXI საუკუნე, აზიის საუკუნე იქნება“.[88] მიუხედავად ამისა, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მსოფლიო ისევ ორპოლუსიანია და აშშ-სა და რუსეთის ფედერაციას შორის „ცივი ომი“, ფაქტობრივად, დღემდე გრძელდება.

ამერიკელი მეცნიერი ჯ. მირშაიმერი მიიჩნევს, რომ ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს აგრესიის, დაპირისპირებისა და კონფლიქტების თავიდან აცილებას. მირშაიმერი „ცივი ომის“ მაგალითზე აღწერს კლასიკურ ბიპოლარულ სისტემას და ასკვნის, რომ საერთაშორისო სისტემა, რომელშიც გავლენის ორი პოლუსია გამოკვეთილი, ნაკლებად არის მიდრეკილი ქაოსისკენ. ვინაიდან ორი ჰეგემონი სახელმწიფო ერთმანეთს ავსებს, აბალანსებს, მათ საუცხოოდ აქვთ შესწავლილი ერთმანეთის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მეცნიერის პერსპექტივიდან, ასეთი სისტემა ბევრად მყარი და რეზისტენტულია გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, იგი ატომურ იარაღს განიხილავს მშვიდობის ერთ-ერთ გარანტად და მიიჩნევს, რომ სავსებით

[88] Burak B. Top Turkish diplomat: „21st century to be Asia's century. Turkey launched an Asia Anew initiative in 2019 to improve ties with Asian nations — says Mevlut Cavusoglu. 2021. იხ. https://www.aa.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

მოსალოდნელია, მისი არსებობა დაპირისპირებულ ბანაკების შემაკავებელ ფაქტორადაც კი იქცეს.[89]

არაპროგნოზირებად და მოულოდნელობით აღსავსე მსოფლიოში საერთაშორისო სისტემა მუდმივად იცვლება და საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ქვეყნები ჩნდებიან, რომლებიც, ივარაუდება, რომ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გაუსწრებენ კიდეც აშშ-ის ეკონომიკას და მსოფლიო წესრიგის ახალ სტანდარტებს დააწესებენ. ექსპერტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, მულტიპოლარული მსოფლიოს მართვის სადავეებთან მალე აზია აღმოჩნდება. თუმცა კაცობრიობა დღემდე იმედის თვალით შეჰყურებს შეერთებულ შტატებს, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული, ცივილიზებული სამყაროს უპირობო ლიდერს.

[89] Mearsheimer J. Why We Will Soon Miss the Cold War. Atlantic Monthly, 266/2. 1990, pp. 3-5 იხ. https://www.theatlantic.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

1.3. სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში

ცნება — „კავკასიის“ თანამედროვე გაგება რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგი პერიოდიდან ყალიბდება და გეოპოლიტიკურ კონტექსტში, კავკასიონის მთავარი ქედის მდებარეობას აღნიშნავს. ამ დროიდან ჩნდება ტერმინი „Закавказье” — „კავკასიონის გადაღმა, ანუ მოცემულ ქედს გადაღმას“ მნიშვნელობით.[90] კავკასიაში, სწორედ რუსეთის შემოსვლით იწყება რეგიონის დაყოფა კავკასიად და ამიერკავკასიად. XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მრავალეროვნული გაერთიანების დაშლისა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ცნება „Закавказье” შეიცვალა უფრო ზუსტი და კორექტული — „სამხრეთ კავკასიის“ ტერმინით.[91]

როგორც იმპერიული რუსეთის, ისე საბჭოთა კავშირის პერიოდში, კავკასიის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრების გაგება დამპყრობელი ერის მიერ დაწესებულ წესებსა და კანონებს ეფუძნებოდა და ნათლად გამოხატავდა რუსეთის გეოპოლიტიკურ შეხედულებებს აღნიშნულ რეგიონზე. „ჩრდილოეთ კავკასია“ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა, ხოლო ტერმინი — „სამხრეთ კავკასია“ — შედარებით გვიან ჩნდება, კავკასიონის ქედის სამხრეთით მცხოვრები ხალხების აღსანიშნავად, რომლებიც ეთნოკულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებული ისტორიული მეხსიერების მიუხედავად, ერთ გეოგრაფიულ სივრცეში მოიაზრებოდნენ.[92]

XVI-XIX საუკუნეები, სამხრეთ კავკასიაში დომინანტური პოზიციის მოპოვებისთვის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის

---

[90] ასათიანი ს. სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014, გვ.13.

[91] ისმაილოვი ე., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. დიოგენე. 2007, გვ.34.

[92] პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. სიახლე. თბ., 2009, გვ.89.

დაპირისპირებით ხასიათდება. XVI საუკუნიდან განსაკუთრებით ძლიერდება რუსეთის იმპერია, რომელიც კავკასიისკენ მოიწევს და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევს. ამ დროისთვის უკვე დასუსტებული სპარსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1724 წელს, სტამბოლში, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, უდიდესმა იმპერიებმა დასუსტებული სპარსეთის კავკასიური რეგიონები გადაინაწილეს.[93] აღნიშნული პერიოდიდან, რეგიონში აშკარად შეინიშნება რუსეთის იმპერიის დომინანტური როლი, ოსმალეთის იმპერია კი, დროთა განმავლობაში მნიშვნელობად სუსტდება და თანდათან კარგავს პოზიციას კავკასიის რეგიონში. სამხრეთ კავკასია რუსეთის მიერ უზურპირებულ რეგიონად იქცევა.

იმპერიული რუსეთი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიას საკუთარი გავლენის სფეროდ მოიაზრებდა და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა მასზე კონტროლის შენარჩუნებას, ვინაიდან, რუსეთის იმპერიისთვის სამხრეთ კავკასიის ფაქტორი, სხვა დაპყრობილი ერებისა თუ ხალხებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. საქართველოსა და სომხეთის პერსპექტივიდან, რუსეთის იმპერია, უპირველეს ყოვლისა, აღიქმებოდა, როგორც ერთმორწმუნე მეზობლებისა და მოკავშირეების დამცველი ძალა. აღნიშნულ შეხედულებას თან სდევდა ღრმა ემოციური და კულტურული ფონი. თუმცა, 1795 წელს, როდესაც სპარსეთის ლაშქარი აღა-მაჰმად-ხანის მეთაურობით საქართველოსკენ დაიძრა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიისგან დახმარება ვერ მიიღო. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერატორმა, პავლე II-მ, უგულებელყო 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის[94] პირობებით გათვალისწინებული

[93] კომახია მ. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. Friedrich Ebert Stiftung. 2002, გვ. 4. იხ. http://library.fes.de, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

[94] Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат). Сборник архивных документов. Русская книга. 1992. იხ. http://www.amsi.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ვალდებულებები და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა.[95] მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის მიზანს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ერთმანეთისგან განცალკევება და გათიშვა წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური გადანაწილებისა თუ მასზე კონტროლის შენარჩუნების ერთგვარი ილუსტრაცია გახლავთ 1922 წელს რუსეთში ბოლშევიკების (კომუნისტების) მიერ ჩამოყალიბებული ინტეგრაციული გაერთიანება — ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრინციპებზე იყო დამყარებული და ნათლად ასახავდა ბოლშევიკური რუსეთის მიზნებს კავკასიის რეგიონში. საბჭოთა რესპუბლიკები — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — სწორედ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, რაც, მოსკოვის მხრიდან, „ტურბულენტური რეგიონის უფრო ეფექტიან მართვას უზრუნველყოფდა“.[96]

საბჭოთა კავშირის დაშლითა და „ცივი ომის“ დასრულებით, კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი, გარდამტეხი ეპოქა იწყება. დასავლური ლიბერალური დემოკრატიის სოციალიზმზე გამარჯვებამ და სტალინის პოლიტიკურ იდეალებზე დაფუძნებული მრავალეროვნული გაერთიანების დაშლამ, დასავლურ საზოგადოებას იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე — რუსეთის ფედერაცია და საბჭოთა კავშირში შემავალი ყოფილი რესპუბლიკები, ამჯერად, რეალურად დაადგებოდნენ დემოკრატიული განვითარების გზას. სწორედ აღნიშნული პათოსით იყო განპირობებული ვაშინგტონისა და წამყვანი ევროპული სახელმწიფოების მიერ განხორციელებული

[95] ეროლი ა. ინტერვიუ — ჩატარებულია 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 19).
[96] ისმაილოვი ე., პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. დიოგენე. 2007, გვ.28.

მრავალმილიარდიანი დახმარება რუსეთის ხელისუფლებას 1992-1999 წლებში. ბორის ელცინის ადმინისტრაციამ, რასაკვირველია, დახმარება მიიღო, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, რუსეთის დემოკრატიზაციის სურვილით შეპყრობილი აშშ და ევროპა, მარტივად რომ ვთქვათ, მწარედ მოტყუვდნენ.

„...ქვეყნის სათავეში ყველაფერი ძირფესვიანად დალპა, პოლიტიკოსების მიმართ მატულობს ინდიფერენტიზმი და სკეპტიციზმი, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება რეორგანიზებულია, სახეზეა მატერიალური და მორალური რეგრესი“ — წერდა ფრანგული გამოცემა „მონდი“ რუსეთზე 1993 წელს. თუმცა „...რუსეთი, თავისი უდიდესი სამხედრო პოტენციალითა და ამოუცნობი მენტალიტეტით, არამც და არამც არ შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვეულებრივ სახელმწიფოთა რიცხვს. მისი ცუდი თუ კარგი ამოსუნთქვა სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს ჩვენი პლანეტის ცხოვრებაზე“ — ასკვნიდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი, ჰ. ჭიპაშვილი.[97]

ბორის ელცინის მმართველობის პირველივე წლებში ფართო საზოგადოებამ შესანიშნავად გააცნობიერა, რომ მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეს ისევ თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და არც სამხრეთ კავკასია გახლდათ გამონაკლისი.[98] ამასთან, სამიზნე რეგიონში პოლიტიკური კლიმატი ფუნდამენტურად იცვლება. სსრკ-ის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვა დიდი მოთამაშეების ინტერესები იკვეთება, რომლებიც „კავკასიაში გავლენების მოსაპოვებლად არ იშურებენ არც კაპიტალდაბანდებებს და არც სამხედრო-პოლიტიკურ ძალისხმევას.[99]

---

[97] ჭიპაშვილი ჰ. რა ხდება რუსეთში? საქართველოს რესპუბლიკა. N213. 28 სექტემბ. 1993, გვ.2.

[98]ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010, გვ.78-86.

[99] არეშიძე მ. “მსხვილი მოთამაშეების“ პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საისტორიო ვერტიკალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2014, გვ.140.

XX საუკუნის მიწურულს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში განსაკუთრებით შეიმჩნევა აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება. მაშინ, როდესაც რუსეთი ყოველგვარი მექანიზმებით ცდილობს რეგიონში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ხელოვნურ ინსპირირებასა და საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ აძლევს „მზრუნველი უფროსი ძმისგან“ დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობს აღნიშნული ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებას, მათ მიმართ ზრდის ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას და აქტიურად ლობირებს უდიდესი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას რეგიონში, რასაკვირველია, რუსეთისა და ირანის გამორიცხვით.

1991 წლიდან სამხრეთ კავკასიის სუვერენული ქვეყნების სათავეში ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ლიდერები მოდიან ზვიად გამსახურდიას, ტერ-პეტროსიანისა და აბულფაზ ელჩიბეის მეთაურობით. რეგიონზე კონტროლის შენარჩუნებისა და თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების განხორციელების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა არაერთხელ განიზრახა. აღნიშნული პროცესები თან დაერთო ურთულეს გამოწვევებს. რეგიონის სამივე ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მათ შორის, ორი — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, საქართველოს, ხოლო „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი კი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მეცნიერთა დიდი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ ყოველივე ამაში უდიდეს როლს თამაშობდა რუსეთის ფედერაცია, რომელიც სეპარატისტულ ძალებს სამხედრო შეიარაღებასაც კი აწვდიდა და

შეთქმულებისა და პროვოკაციების გზით ცდილობდა რეგიონში ქაოსის, დესტრუქციისა და არასტაბილურობის პროვოცირებას.[100]

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავიდანვე მხარს უჭერდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ფაქტია, რომ ბილ კლინტონის ადმინისტრაცია საკმაოდ ფრთხილი პოლიტიკით გამოირჩეოდა რეგიონის კონფლიქტებთან მიმართებით და მაქსიმალურად ცდილობდა ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა, ან ნაკლებად ჩარეულიყო აფხაზეთში, ცხინვალსა და „მთიან ყარაბაღში“ მიმდინარე მოვლენებში. სავარაუდოა, რომ აშშ-ის აღნიშნული პოზიცია, დიდწილად, განპირობებული იყო რუსეთის ფაქტორით, რადგან, მიუხედავად საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა, 1990-იანი წლების პირველი ნახევარში, აშშ სამხრეთ კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ განიხილავდა და მაქსიმალურად თავს არიდებდა რეგიონში რუსეთთან რაიმე სახის კონფრონტაციას.

1992-1993 წლებში, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის (უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის, ვინაიდან სომხეთის ხელისუფლება თავიდანვე მკვეთრი პრორუსული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა) ლიდერები ცდილობდნენ პროდასავლური პოლიტიკური კურსის გატარებას, მაგრამ განსაკუთრებით ფრთხილობდნენ რუსეთთან მიმართებით, რათა მოსკოვის გაღიზიანება არ გამოეწვიათ. 2003 წლის ნოემბერში, საქართველოში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ ფუნდამენტურად შეცვალა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ეს იყო საქართველოს პირველი, მკვეთრად გამოხატული მცდელობა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, რომელიც,

[100] გასვიანი თ. აფხაზეთის ომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბ., 2005, გვ.177.

რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს აღნიშნულ რეგიონში. ამის ნათელი ილუსტრაცია გახლდათ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. ომმა მეზობელი ქვეყნების ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა. რუსრთმა საერთაშორისო საზოგადოებასა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს დაანახა, რომ იგი არ აპირებს საკუთარი „გავლენის სფეროების“ დათმობას და დასავლეთს იქ „არაფერი ესაქმება“. სამხედრო ექსპერტ ვ. მაისაიას მოსაზრების მიხედვით, რუსეთის მთავარი მიზანი საქართველოსა და უკრაინაში, აღნიშნულ ქვეყნებზე გავლენის მოპოვება იყო.[101] რუსეთის ინტერვენციამ საქართველოში ძლიერ აღაშფოთა ცივილიზებული საზოგადოება. მათ დაინახეს, რომ რუსეთი, XX საუკუნეშიც ანგარიშგასაწევი ძალაა, რომელიც, არც საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფას ერიდება და არც მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევას, თავისი ინტერესების განსახორციელებლად.

აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირების პარალელურად, 1991 წლიდან, სამხრეთ კავკასიაზე გავლენის გაფართოებისთვის იძაბება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებიც, რომელთა შორის საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირება, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, „კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიურ საკომუნიკაციო საშუალებების კონტროლით“ გამოიხატა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან, თურქეთის ხელისუფლება კავშირებს ზრდის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც თურქულენოვან, ისე არათურქულენოვან ხალხებთან. აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო მყარდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც თურქეთი მხარს უჭერს „სამხრეთ კავკასიის“ ახლად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს; ქვეყნებს შორის ღრმავდება კულტურული ურთიერთობები და საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში იხსნება თურქეთის საელჩოები.

[101] მაისაია ვ. რუსეთის მიზანი უკრაინასა და საქართველოზე გავლენის მოპოვებაა. ახალი თაობა. თბ., 2015. 7 იანვარი. N3, გვ.2.

ევროკავშირი და ნატო საკმაოდ გვიან გამოჩნდნენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ავანსცენაზე. თუ თავდაპირველად ისინი რეგიონში ფრთხილად მოქმედებდნენ, რათა არ გაეღიზიანებინათ რუსეთი და თურქეთი, დღეს, ევროკავშირი და ნატო სამხრეთ კავკასიაში სრულუფლებიან მოთამაშეებად გვევლინებიან და მნიშვნელოვნად წარმართავენ რეგიონში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგს. არაერთი გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას.

აღნიშნული ქვეყნების დღის წესრიგში ასევე დგას არაერთი სენტიმენტალური საკითხი და გამოწვევა, რაც, დიდწილად, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის კონსერვატიული, ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობით აიხსნება. აღნიშვნის ღირსია, ევროკავშირის როლი სამხრეთ კავკასიური კონფლიქტების დარეგულირებასა და რეგიონში ადამიანის უფლებების, კონსტიტუციონალიზმის, კარგი მმართველობის, დემოკრატიისა და სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების განვითარებაში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ვალდებულებებს ზრდის ნატო. ალიანსი განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს მიმართ გამოხატავს. საქართველო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყანაა და მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არეალს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ნატო მაქსიმალურად არიდებს თავს რუსეთთან უთანხმოებას (მის ინტერესებში არ შედის მოსკოვთან რაიმე სახის კონფრონტაცია), ორგანიზაცია აგრძელებს თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან და მიიჩნევს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპის, ბალკანეთის,

ევრაზიისა და შუა აღმოსავლეთის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.[102]

ბოლო წლებში, სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი მოთამაშე ჩნდება, XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო აქტორი — ჩინეთი, რომლის სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი. ჩინეთი პრეტენზიას აცხადებს არა მარტო სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე დომინანტობისთვის, არამედ მიზნად ისახავს უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, სახელწოდებით „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ და ღიად გამოთქვამს სურვილს, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაშიც.[103]

ვ. მაისაია სკრუპულოზურად შეისწავლის კავკასიის რეგიონს, მის როლს, მნიშვნელობასა და უნიკალურობას და კავკასიის მეშვეობით, საოკეანო (ატლანტის, ინდოეთის და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეები) სივრცეებისკენ გაჭრის შემდეგ გეოპოლიტიკურ ვექტორალურ მიმართულებებს გამოყოფს.

- შავი ზღვის აუზი — დარდანელი — ეგეოსის ზღვა — ხმელთაშუა ზღვა — ატლანტის ოკეანე;
- შავი ზღვის აუზი — დარდანელი — სუეცის არხი — წითელი ზღვა — ადენის ყურე — ინდოეთის ოკეანე;
- კასპიის ზღვა — ვოლგის აუზი — ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე;
- კავკასია — ირანი (სახმელეთო გზით) — სპარსეთის ყურე — ომანის ყურე — არაბეთის ზღვა — ინდოეთის ოკეანე.[104]

---

[102] Melvin J. SIPRI Policy Paper No. 50 Rebuilding Collective Security in the Black Sea Region the risks of military confrontation in the Black Sea region. SIPRI Policy Paper No. 50, December 2018, pp. 63-66. იხ. https://www.sipri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[103] ზარქუა ა. აშშ და ჩინეთი თუკიდიდეს ჩიხში — რა მომავალი აქვს ერთპოლუსიან მსოფლიოს. ტაბულა. 15 მაისი, 2020. იხ. https://www.tabula.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[104] მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.84.

გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან აქტუალურობას არ კარგავს სამხრეთ კავკასიის ე.წ. „საერთო სახლის“ შექმნის იდეა, რომლის საწყის ეტაპად შეიძლება 1989 წელი მივიჩნიოთ. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნა“, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების გაერთიანებით, საბოლოოდ, ვერ განხორციელდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ხალხებს რეალურად არ გააჩნდათ მთელი რიგი სახელმწიფოებრივი წანამძღვრები. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ელიტა ნათლად ხედავდა სამხრეთ კავკასიელ მეზობლებთან — საქართველოსა და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

„კავკასიის ფედერაციის“ შექმნაზე საუბრობს ცნობილი მეცნიერი ა. დუგინი, თავის ნაშრომში — „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. რუსი ნაციონალისტი, „კავკასიის ფედერაციაში“, სამივე კავკასიური რესპუბლიკის დამოუკიდებელ თანამეგობრობაში გაერთიანებას მოიაზრებს, რომელთაც რუსეთის შიდა ავტონომიური წარმონაქმნები ექნებათ. რუსეთი მათ კულტურულ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მისცემს, მაგრამ უზრუნველყოფს მკაცრ სტრატეგიულ ცენტრალიზმს. დუგინის თვალსაზრისით, ეს არის ყველაზე მოქნილი სისტემა, რომელიც არა ძალადობასა და ოკუპაციას, არამედ „კავკასიური მრავალფეროვნების გაერთიანებას“ ისახავს მიზნად.[105]

კავკასიის ინტეგრაციის კიდევ ერთი მოდელია „ამიერკავკასიის შეერთებული შტატების“, ან „კავკასიის შეერთებული შტატების“ შექმნის იდეა, რომელიც, მისი არსით, ჯერ საქართველოსა და აზერბაიჯანის გაერთიანებას, ხოლო მოგვიანებით კი, აღნიშნულ პროცესებში სომხეთის ჩართულობას გულისხმობდა, მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გადაუჭრელი კონფლიქტის გამო ვერც ამ მოდელმა გაამართლა. აზერბაიჯანული პოლიტიკური სპექტრი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა

[105] დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი. გამომც. „მთაწმინდელი“. თბ., 1999, გვ.247.

სომხეთთან ნებისმიერი სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას.

კავკასიის ინტეგრაციის რუსული ვარიანტია „3+1“ მოდელი, რომელიც რუსეთმა 1996 წელს კისლოვოდსკის სამიტზე წარადგინა. შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური წარმონაქმნების ხელმძღვანელობაც ესწრებოდა, რუსულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეოპოლიტიკურ ჭრილში, კავკასია რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია და რეგიონში რუსეთის ინტერესები წამყვან როლს უნდა ასრულებდეს. ცალსახაა, რომ აღნიშნული მოდელი მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის, და არა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების, ინტერესების დაცვას. 1999 წელს, სტამბოლის სამიტზე, ეუთოს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს „3+3+2“ მოდელის შექმნა, რომელიც კავკასიის სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), სამხრეთ კავკასიის სამ მოსაზღვრე სახელმწიფოს (რუსეთი, თურქეთი, ირანი) და მსოფლიოს სხვა დომინანტ აქტორებს (აშშ და ევროკავშირი) აერთიანებდა.[106]

დღემდე აქტუალურია კავკასიის ინტეგრაციის შემდეგი მოდელი:

- „კავკასიის საერთო სახლის“ მოდელი, რომელიც აერთიანებს სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებს;
- კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გამაერთიანებელი მოდელი;
- კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს რუსეთთან გაერთიანების მოდელი („3+1“ მოდელი);

[106] ისმაილოვი ე., პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. დიოგენე. 2007, გვ. 33.

- კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სამი მოსაზღვრე სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა დიდი სახელმწიფოების გაერთიანების მოდელი („3+3+2“ მოდელი).[107]

2020 წლის 11 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი პლატფორმის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რაც თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის თანამშრომლობის გაღრმავებას მოიაზრებს. თურქეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ე.წ. „ექვსეულის ფორმატის“ შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის ქვეყნების მჭიდრო დაახლოებასა და სტაბილურ განვითარებას. ერდოღანი მიესალმება ინიციატივაში სომხეთის ჩართულობას და თვლის, რომ ეს უდიდესი შესაძლებლობა იქნება ანკარასა და ერევანს შორის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყებად, „მთიანი ყარაბაღის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ.[108]

ზემოხსენებული ფორმატის პრაქტიკაში განხორციელება საქართველოსთვის უდიდესი გამოწვევაა. 2021 წლის 3 მარტს, თურქეთში ვიზიტისას, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დ. ზალკანიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, „ისეთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს, როგორიც არის ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება“.[109] აღნიშნული კუთხით, საქართველოს პოზიცია რუსეთთან მიმართებით მტკიცე და ურყევია. ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს

---

[107] მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.135.

[108] DAILY SABAH. 6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus, Erdoğan says“. 11 December. 2020. იხ. https://www.dailysabah.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[109] კვირა. მედიაჰოლდინგი. დავით ზალკალიანი: თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაცია კიდევ უფრო გააღრმავებს ამ მიმართულებით ჩვენს თანამშრომლობას. პოლიტიკა. 03.03.2021, იხ. http://kvira.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.

რაიმე სახის ფორმატში თანამშრომლობაზე იმ ქვეყანასთან, რომელსაც მეზობელი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს და სადაც დღემდე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზები.[110]

ამდენად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, მსოფლიო პოლიტიკის გლობალური თუ რეგიონული მოთამაშეები აქტიურად იბრძვიან სამხრეთ კავკასიაში დომინანტური პოზიციების მოპოვებასა და გავლენის სფეროების გაფართოებისთვის. 2020 წელს კი, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური ცვლილებების კვალდაკვალ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური რყევები შეინიშნება. აღნიშნული პროცესების ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონიცაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ კავკასიის ინტეგრაციის ყველა კონცეპტუალური მოდელი, რომლის მთავარ მიზანს კავკასიის რეგიონის ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში გადანაწილებისა და მასში შემავალი სახელმწიფოების მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენდა, უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად არაერთი მოდელის დამაჯერებლობისა, გარკვეული მიზეზების გამო, მისი პრაქტიკაში განხორციელება, რეალურად ვერ მოხერხდა. როგორც ე. ისმაილოვმა და ვ. პაპავამ ჯერ კიდევ 1992 წელს შენიშნეს, აღნიშნული მოდელების ნაკლი „კავკასიის ინტეგრაციის მთელი პრობლემების, მისი სტრუქტურის, მექანიზმებისა და მაინიცირებელი ბირთვის არაადეკვატურ ხედვაში“ მდგომარეობს.[111] მეცნიერების ეს მოსაზრება დღემდე არ კარგავს აქტუალურობას.

სამხედრო ექსპერტ, ვ. მაისაიას მიხედვით, კავკასიას, რომელსაც ცივილიზაციათა დაჯახების ფრონტის საზღვარი უჭირავს, უნიკალური შესაძლებლობა აქვს კონფრონტაციის მოდელიდან სამშვიდობო კუნძულად

---

[110] Civil.ge. Глава МИД Грузии находится с визитом в Турции. იხ. https://civil.ge/ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[111] ისმაილოვი ე., პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. დიოგენე. 2007, გვ. 34.

გადაიქცეს. მეცნიერის მოსაზრებით, კონფრონტაციული გარემოდან მშვიდობის ხიდის მშენებლობა სახალხო დიპლომატიას, რელიგიურ ტოლერანტობას, ტრანსკომუნიკაციური საშუალებების გაღრმავებას და ცივილიზაციათა შორის დიალოგს უნდა დაეფუძნოს, რათა რეგიონში „მოქიშპე გეოპოლიტიკური პროექტების კონკურენცია მშვიდობისა და სტაბილურობის ზონად გადაიქცეს. ამისთვის გადამწყვეტ როლი კავკასიამ — „გეოსტრატამ“ (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული რეგიონი) უნდა შეასრულოს.[112]

[112] მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.188-192.

თავი II. თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ძირითადი ტენდენციები და საქართველო საერთაშორისო სისტემის ახალ კოორდინატებში

2.1. დასავლეთის ახალი გეოსტრატეგია სამხრეთ კავკასიაში და საქართველო

1991 წლის ბოლოსთვის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარა. გამონაკლისი არც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ. აშშ-მა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში უპრეცედენტო მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში უდავოდ შეინიშნებოდა ინტერესთა დაპირისპირება სენატორებსა და კონგრესმენებს შორის, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა დიდი წვლილი შეიტანა ევრაზიული სახელმწიფოებისთვის დახმარების პროგრამის განხორციელებაში. მან კონგრესში ე. წ. „თავისუფლების მხარდამჭერი აქტი“ გაგზავნა, რომელიც, მცირე შესწორების შემდეგ, ოფიციალურად რატიფიცირდა 1992 წლის ოქტომბერში.[113]

მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დასაწყისშივე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს სამხრეთ კავკასიაში, რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა წარმოადგენდა. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტები საქართველოში, ხოლო „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი — სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, წითელ ზოლად გასდევს დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიას და არაერთი

[113] Nichol J. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. Congressional Research Service. 2010, p.2. იხ. https://www.everycrsreport.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 25.05.2021.

მკვლევრის მიერ მოიაზრება, როგორც საბჭოთა კავშირის ერთგვარი მემკვიდრეობა პოსტსაბჭოთა სივრცეში.[114]

1990-იანი წლების დასაწყისშივე პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის უმთავრეს გამოწვევად სომხეთი იქცა, რომელიც საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან, საქართველოსა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, მკაფიოდ პრორუსული საგარეო პოლიტიკური კურსით გამოირჩეოდა. ღიად გამოკვეთილი პრორუსული სენტიმენტები შეინიშნებოდა ასევე სომეხი ხალხის განწყობებში. რასაკვირველია, ყოველივე ამას ჰქონდა თავისი, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტში რუსეთი სომხეთს უჭერდა მხარს და სომხურ პოლიტიკურ ელიტებში მოსკოვი ერევნის ინტერესების დაცვის უმთავრეს გარანტად მიიჩნეოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან აშშ-ის ახალი გეოსტრატეგია აზერბაიჯანთან მიმართებით ენერგოპოლიტიკაში გამოიხატებოდა. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ამერიკული და დასავლური ნავთობმომპოვებელი კომპანიები თანამშრომლობას აძლიერებენ აზერბაიჯანთან, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნათელი ხდება კასპიის ზღვის აუზში ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი მარაგის არსებობის შესახებ.[115] აშშ აზერბაიჯანს, თავისი ენერგეტიკული და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდა და რუსეთისა და ირანის საპირწონედ ცდილობდა თავისი პოზიციების გამყარებას კასპიისა და შავი ზღვის აუზში.[116]

---

[114] Cornell S. Small nations and great powers: a study of ethnopolitical conflict in the Caucasus. Routledge. 2005.

[115] LeVine S. The Oil and the Glory: the pursuit of empire and fortune on the Caspian Sea. Random House. 2007.

[116] მიჩელი ლ. როგორ მიდის გარდამავალი პროცესი: ამერიკის შეერთებული შტატები, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთი კავკასია. სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014, გვ.37.

აშშ-აზერბაიჯანს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები მყარდება 1994 წლიდან და ორ ქვეყანას შორის ხელი ეწერება არაერთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, მათ შორის, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სფეროში. ამრიგად, გასაკვირი არ არის ისიც, რომ არა მარტო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, არამედ, ბაქო-თბილისი-ერზერუმის (ე. წ. „სამხრეთ კავკასიის“ მილსადენი) გაზსადენის გაყვანაც აშშ-ის დიდი მხარდაჭერით განხორციელდა.[117] აღნიშნული ენერგეტიკული პროექტები უდიდეს გეოპოლიტიკურ დატვირთვას ატარებს, ვინაიდან იგი ამცირებს რუსეთის გავლენებს რეგიონში, რომელიც ბუნებრივი აირის მონოპოლისტური კომპანია — „გაზპრომის“ მეშვეობით, პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის ბერკეტების შენარჩუნებას ცდილობს. 1997 წელს ზ. ბჟეზინსკი წერდა: „ამერიკა ვალდებულია, აქტიურად დაუჭიროს მხარი თურქეთის მისწრაფებას, გაიყვანოს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც კასპიის ზღვის აუზის ენერგეტიკული რესურსებისთვის ძირითადი გამოსავალი გახდება“.[118]

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, აშშ-ის ხელისუფლების უმთავრეს გამოწვევად ტერორიზმი იქცა. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აქტიურად ჩაერთო ანტიტერორისტულ საერთაშორისო კამპანიაში.[119] სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ სოლიდარობა გამოუცხადა შეერთებულ შტატებს და ჩაება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებული შემართებით გამოირჩეოდა საქართველო, რომელიც აშშ-ისა და ნატოს ეგიდით, აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისკენ მიმართულ ოპერაციებში, მათ შორის, ერაყსა და ავღანეთში.[120] ცალკე

---

[117] Cornell S., Starr F., Tsereteli M. A Western Strategy for the South Caucasus. Central Asia Caucasus Institute Silk Road Studies Program. 2015, pp.9-10.

[118] ბჟეზინსკი ზ. დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები. გამომც. არტანუჯი. თბ., 2014, გვ.307.

[119] მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.144.

[120] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

აღნიშვნის ღირსია, აზერბაიჯანი, რომელიც ნატოს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს 1992 წელს შეუერთდა და „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის ფარგლებში, არაერთგზის გაგზავნა სამხედრო კონტინგენტი ერაყში, ავღანეთსა თუ კოსოვოში.

2009 წლის სექტემბერში, აშშ-ში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში, აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ჯ. ბერნსმა, სამი ძირითადი სფერო გამოყო, რომელშიც აშშ-ს აზერბაიჯანთან თანამშრომლობა სურს და რომლითაც, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ განისაზღვრება კიდეც დასავლეთის გეოსტრატეგია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ესენია: უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა, ენერგეტიკა და ეკონომიკურ-დემოკრატიული რეფორმები.[121] აშშ-ის ზემოაღნიშნული სტრატეგია აზერბაიჯანში შენარჩუნდა, როგორც რესპუბლიკელების, ისე დემოკრატების ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში. „მე მსურს ხაზი გავუსვა აზერბაიჯანთან შეერთებული შტატების ურთიერთობების სტრატეგიულ მნიშვნელობას და იმ საკითხებს, რომელზეც ჩვენ ერთად ვმუშაობთ, ორმხრივი, რეგიონული და გლობალური საკითხების ჩათვლით“ — განაცხადა შეერთებული შტატების იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა, დემოკრატმა, ჰილარი კლინტონმა, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის დროს.[122]

ის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოება და სტაბილურობა აშშ-ის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს და ვაშინგტონისთვის რეგიონში მთავარ გამოწვევად ისევ და

---

[121] Burns W. U.S.-Azerbaijan Relations, Under Secretary for Political Affairs. Georgetown University. Washington, DC. September 18, 2009. იხ. https://2009-2017.state.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[122] ამერიკის ხმა. ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობების შესახებ. 2011. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021 .

ისევ რუსეთი რჩება, ღიად გაცხადდა აშშ-ის „ჰერითიჯის ფონდშიც“. ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აღნიშნავს, რომ აშშ-ისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა ეფუძნება, არა მხოლოდ ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას, არამედ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლასაც. აქედან გამომდინარე, სტაბილურობა კავკასიის რეგიონში, გარკვეულწილად, ნიშნავს სტაბილურობას მის მოსაზღვრე რეგიონებშიც, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. "ამ რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა ჩვენს ინტერესებში შედის. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 25 წლის განმავლობაში სწორედ ამას ვაკეთებდით და კვლავაც გავაგრძელებთ. შეერთებული შტატები ყველა ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას აღიარებს" — აღნიშნა ნორლანდმა კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.[123]

2004 წლიდან საქართველო და სომხეთი კიდევ ერთი პროექტის — ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (millennium challenge corporation) ბენეფიციარები გახდნენ, რომელიც, თავდაპირველად, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ინიცირდა და რამაც კიდევ უფრო გააღრმავა აშშ-სომხეთის ურთიერთობები. აშშ მხარს უჭერს სომხეთის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და ქვეყნის ჩართულობას გლობალურ პროცესებში, თუმცა მკაცრად უზღუდავს დახმარების მასშტაბებს სომხეთის ხელისუფლებას, ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების უხეშად დარღვევის ან უგულებელყოფის შემთხვევაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია, 2008 წელს განვითარებული მოვლენები სომხეთში, როდესაც აშშ-მა შეუწყვიტა ფულადი დახმარება ერევანს.

[123] მაღალდაძე ე., მელიქიშვილი გ. ამერიკა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება. ამერიკის ხმა. 2017. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ლ. მიჩელი დეტალურად სწავლობს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს და აღნიშნავს, რომ ამ კუთხით, ყველაზე საიმედო მდგომარეობა საქართველოშია. მკვლევრის მოსაზრებით, აზერბაიჯანი, ავტორიტარულ და ნახევრად ავტორიტარულ რეჟიმებს შორის, „ნაცრისფერ სივრცეშია“ მოქცეული, სომხეთი ნახევრად კონკურენტული და ნახევრად ავტორიტარულია. რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ე.წ. „გარდამავალ დემოკრატიად“ ფასდება და იგი კონსოლიდირებულ სისტემად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა, მთელი რიგი მახასიათებლების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები პოზიტიური დინამიკით ვითარდება.[124]

დასავლური საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებული გამოწვევები აზერბაიჯანში. თუმცა აზერბაიჯანმა, ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდგომი პერიოდიდან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში და შექმნა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების როლის განმტკიცებას ემსახურება.[125]

როგორც მკვლევარი რ. ბადალოვი აღნიშნავს,[126] აზერბაიჯანულმა პოლიტიკურმა ელიტამ, დემოკრატიულობის საფარქვეშ, რეალურად, „მართვადი დემოკრატია“ შექმნა, რომელშიც ყველაფერი ხდება გარდა ძალაუფლებისთვის ღია ბრძოლისა. მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში კი, რომელიც უფრო „მმართველ დინასტიებს“ მოგვაგონებს, ფაქტობრივად, არ

---

[124] მიჩელი ლ. როგორ მიდის გარდამავალი პროცესი: ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიული განვითარება და სამხრეთი კავკასია. სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014, გვ.34.

[125] ალიევი ქ. დემოკრატია აზერბაიჯანში: მოქუფრული სურათი. სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014, გვ.164-166.

[126] ალიევი ქ. დემოკრატია აზერბაიჯანში: მოქუფრული სურათი. სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. გვ. 164-166.

ხორციელდება ხელისუფლების როტაცია. აღნიშნულ მოვლენას რუსი მეცნიერი ა. ეტკინდი „შინაგან კოლონიზაციას“ უწოდებს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ ქვეყნებს ახასიათებთ, ვინაიდან მათ მმართველობის ავტორიტარული რეჟიმისკენ აქვთ მიდრეკილება.[127]

ევროკავშირი მზარდ ფინანსურ და მორალურ დახმარებას უწევს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს და ყოველგვარი საშუალებით ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას რეგიონში.[128] სამხრეთ კავკასიის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ბრიუსელი განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონის ქვეყნებთან ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობაზე ამახვილებს, რაც, ბუნებრივია, კასპიის ზღვის ნავთობის ევროპულ ბაზარზე უსაფრთხო ტრანსპორტირებას გულისხმობს.[129]

ევროპული საბჭოს მიერ 2003 წლის დეკემბერში მიღებულ დოკუმენტში — „ევროპული უშიშროების სტრატეგია“, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობითა და რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებით, რომლის განხორციელების გზაზეც, ორგანიზაციამ „უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი“ უნდა გამოავლინოს. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში, ინდივიდუალური დამსახურების გათვალისწინებით, ევროკავშირმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და თითოეულ ქვეყანას, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით, ე. წ. „სამოქმედო გეგმა“ შესთავაზა.

---

[127] იქვე, გვ.167.

[128] ფერბენქსი ჩ. რას ვაკეთებთ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისთვის — საქართველოს კომპლექსური მაგალითი. სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014, გვ.80.

[129] ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. 2003, გვ.12. იხ. https://eeas.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობა გაღრმავდა თანამშრომლობის ახალი ფორმატის, ე.წ. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას წარმოადგენს. „აღმოსავლეთ პარტნიორობამ“, ევროკავშირთან ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და აღმოსავლეთ ევროპის (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი) ქვეყნებისთვის ოთხი პრიორიტეტული სფერო გამოყო, ესენია: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტიანობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილებები; მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები. აღმოსავლეთ პარტნიორობის, ვარშავის, სამიტზე მიღებული „საგზაო რუკა“, პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ერთგვარ ინდიკატორს წარმოადგენს.[130]

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რეგიონში რუსეთის ფაქტორი, იგი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს თავისი “გავლენის სფეროში“ სხვა ძალების გააქტიურებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირზეც, თუმცა რუსეთი ევროკავშირს, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს, როგორც ეკონომიკურ და არა სამხედრო გაერთიანებას და არც არის გასაკვირი, რომ მისთვის სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის გავლენების ზრდა არ განიხილება, როგორც პირდაპირი საფრთხე (ნატოსა და აშშ-ისგან განსხვავებით). გარდა ამისა, ევროკავშირი რუსეთის ეკონომიკური პარტნიორიცაა. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ევროგაერთიანების მიერ ინიცირებული არაერთი პლატფორმა, რომელიც ბრიუსელსა და მოსკოვს შორის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების დამყარებას უწყობს ხელს.

---

[130] European Commission. EU-Georgia Relations, European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. იხ. https://ec.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021. საქართველოს პარლამენტი. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი. 2014. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

დასავლეთის გეოსტრატეგია საქართველოს მიმართ საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან განისაზღვრა. 1991-1992 წლებიდან იწყება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ვაშინგტონსა და თბილისს შორის. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონისა და სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის ოფიციალურ ვიზიტს თბილისში, საქართველოში აშშ-ის საელჩოს გახსნაც მოჰყვა. 1993 წელს ორ ქვეყანას შორის ორმხრივი, მეგობრული, ურთიერთობების აღსანიშნავად, ედუარდ შევარდნაძე შეერთებულ შტატებსაც ეწვია. შედეგმაც არ დააყოვნა, შევარდნაძის ხელისუფლებამ მალევე გამოაცხადა ქვეყნის დასავლური კურსი. ქვეყანაში საკანონმდებლო რეფორმებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ახალი ტალღა დაიწყო.

აშშ-ის სტრატეგია საქართველოსთან მიმართებით ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას, დემოკრატიული რეფორმების გატარებას, საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, ქართველი ხალხისთვის ფინანსურ, მორალურ და ჰუმანიტარულ დახმარებას ითვალისწინებდა. აშშ-ის მთავრობის მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხოლოდ 1992-2000 წლებში აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოსადმი 860 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. მზარდი სტატისტიკა გაგრძელდა მომდევნო თვეებშიც.[131] თუმცა, როგორც მ. წერეთელი აღნიშნავს, აშშ-ის განსაკუთრებული ინტერესის საგანს დასავლური კომპანიების მხარდაჭერა, კასპიის აუზში ენერგორესურსების გლობალურ ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობა და ამ პროცესებში საქართველოს, როგორც

[131] Welt C. Georgia: Background and US Policy. In Congressional Research Service Report for Congress. 2019 (a), pp.17-18. იხ. https://fas.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის გაძლიერება წარმოადგენს.[132]

სწორედ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის, აზერბაიჯანელი და თურქი დიპლომატების დიდი ძალისხმევით მზადდებოდა XX საუკუნის უდიდესი პროექტი — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობისა და ეკონომიკური კავშირების დინამიკა. ამასთან, აშშ-ის აქტიური მხარდაჭერის შედეგად, 1999 წლის 17 ნოემბერს ეუთოს სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთმა აიღო ვალდებულება საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო კონტინგენტის გაყვანასთან დაკავშირებით. „სტამბულის შეთანხმების“ თანახმად, 2001 წლის პირველ ივლისამდე რუსეთის ფედერაციას საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გაეყვანა ვაზიანში, გუდაუთაში, ახალქალაქსა და ბათუმში განლაგებული სამხედრო ბაზები. აშშ-ისა და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, ეს პროცესი 2007 წელს დასრულდა, როდესაც რუსეთმა სრულად გაიყვანა სამი სამხედრო ბაზა საქართველოდან.

საქართველო აქტიურად ჩაერთო მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში და დღემდე ინარჩუნებს ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორის სტატუსს. აღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა საქართველოს ჯარების მონაწილეობა კოსოვოში (1999-2008 წწ.), მისია ერაყში (2003-2008 წწ.), მისია ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში (2004 წლიდან 2021 წლამდე), მისია მალის რესპუბლიკაში (ევროკავშირის ეგიდით 2004 წლიდან დღემდე) და სხვ.[133]

---

[132] Tsereteli M. Retrospective on the US-Georgia diplomatic relations. Turning points. Global Agneda. 2018, p.33.

[133] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ გარდამტეხი ეტაპი აღმოჩნდა აშშ-საქართველოს ურთიერთობებში, რომელმაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ახალ საფეხურზე აიყვანა და კიდევ ერთხელ დაანახა ფართო საზოგადოებას ვაშინგტონის მზარდი ინტერესი საქართველოსადმი. მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამერიკის მაშინდელი მთავრობის მთავარი მოწოდება საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება გახლდათ, რაც, უპირველეს ყოვლისა, მმართველი პარტიის დემოკრატიული გზით შეცვლას გულისხმობდა, ყოველგვარი რევოლუციისა და მასშტაბური სისხლისღვრის გარეშე. შემდგომი წლების განმავლობაშიც, შეერთებული შტატები ხელს უწყობდა საქართველოში „დემოკრატიის წახალისებასა“ და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გაძლიერებას. შემთხვევითი არ იყო, 2005 წლის მაისში, აშშ-ის 46-ე პრეზიდენტის, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშის ვიზიტიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში.[134]

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აშშ-მა მყარი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ხელისუფლების მიმართ და მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მეზობელ ქვეყანაში. 2008 წლის 23 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, ამერიკის პრეზიდენტმა პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევაში და საერთაშორისო საზოგადოებას შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდა. ბუშის ადმინისტრაციამ ომისშემდგომი საქართველოს რეაბილიტაციისთვის მილიარდი დოლარი გამოყო და სწორედ მისი პრეზიდენტობის პირობებში, 2009 წლის 9 იანვარს, ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას აშშ-სა და საქართველოს შორის სახელწოდებით — „ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. ზემოაღნიშნული ქარტია

[134] Tsereteli M. Retrospective on the US-Georgia diplomatic relations. Turning points. Global Agneda. 2018, p. 36.

ეფუძნება ორ ქვეყანას შორის „სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას“ და მოიცავს უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერგეტიკის, დემოკრატიის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობას.[135]

აშშ-ის ხელისუფლების პარტნიორული ურთიერთობის აღმავალი დინამიკა შენარჩუნდა 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდგომ პერიოდშიც. აშშ მაღალ შეფასებას აძლევს მმართველი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ პირობებში გატარებულ დემოკრატიულ რეფორმებს და აქტიურად განაგრძობს ქვეყნის მხარდაჭერას პოზიტიური ცვლილებების შემდგომი განხორციელების კუთხით. აშშ რჩება საქართველოს უმთავრეს სტრატეგიულ და სანდო პარტნიორად „სტრატეგიული თანამშრომლობის“ ოთხივე სფეროში, გამოხატავს ურყევ პატივისცემას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და უზრუნველყოფს როგორც საქართველოს, ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურ განვითარებას.[136]

ჩ. ფერბენქსის მიხედვით, ლიბერალიზმი, თავისთავად, დემოკრატიას არ წარმოშობს. მისი აზრით, ეს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მმართველობისა და სხვა ავტორიტარული რეჟიმის გამოცდილებამ გვიჩვენა. „დემოკრატია კი, თუ ის საკმარისი დროის განმავლობაში შენარჩუნდა, ბოლოს ლიბერალიზმამდე მიგვიყვანს. დასავლეთში ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ქართველებს იმ დემოკრატიის შენარჩუნებაში, გაფართოებასა და მთელ კავკასიაში გავრცელებაში

[135] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ. 2019.
[136] Welt C. How Strategic is the US-Georgia Strategic Partnership. George Washington University. Washington. 2010 (b).

დავეხმაროთ, რაც მათ 2012 წლის ოქტომბერში მოიპოვეს“ — აღნიშნავს მკვლევარი.[137]

აშშ და დასავლეთი მკაცრად გმობენ რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციას, მოუწოდებენ მოსკოვს, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, მოახდინოს ქართული მიწების დეოკუპაცია და მისცეს ქვეყანას საშუალება დამოუკიდებლად განახორციელოს მისთვის სასურველი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსი. აღნიშნულის ნათელი ილუსტრაციაა, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ 2016 წელს ინიცირებული რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა აშშ-ის, როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტიის მხრიდან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, აშშ-ის ასიგნებების აქტი, რომელიც აშშ-ის კონგრესმა 2020 წლის დეკემბერში დაამტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2020 წელს აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს მიმართ 132 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება, ხოლო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აღიარებენ ან დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებენ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებთან, აშშ-ის მიერ გამოყოფილი თანხები ხელმისაწვდომი არ იქნება.

[137] ფერბენქსი ჩ. რას ვაკეთებთ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისთვის — საქართველოს კომპლექსური მაგალითი. სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 201,. გვ.92.

2.2. აშშ-რუსეთის ურთიერთშეკავების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში (საქართველოს მაგალითზე)

1990-იანი წლების დასაწყისშივე მკვეთრად გამოიხატა აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით, რომელიც დღემდე ქვეყნების ურთიერთობებში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიას მხოლოდ მოსკოვის გავლენის სფეროდ აღიქვამდა და განსაკუთრებულ ინტერესს არ გამოხატავდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ. კომუნისტური სისტემის კრახისა და „ცივი ომის" დასრულების შემდგომი პერიოდიდან, ძალთა ბალანსი კავკასიაში ფუნდამენტურად შეიცვალა. რეგიონში ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ. გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, ისინი აქტიურად ინტერესდებიან რეგიონში მიმდინარე პროცესებით. შედეგად, ახალი პოლიტიკური რეალობის შესაბამისად, მათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პოლიტიკური წესრიგის ერთგვარი კონსტრუირებაც კი შეძლეს. რასაკვირველია, გამონაკლისი არც შეერთებული შტატები აღმოჩნდა.

1990-2000-იან წლებში აშშ-მა მნიშვნელოვნად მოიკიდა ფეხი სამხრეთ კავკასიაში. იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, რომელიც ევროპისა და აზიის, რუსეთისა და სლავური სამყაროს შესაყარზე მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ნაკლები გამოცდილება ჰქონდა. მალევე, რეგიონმა ვაშინგტონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ჟურნალ „Times"-ის ყოფილმა ანალიტიკოსმა ს. ტალბოტმა, სამხრეთ კავკასიიდან შუა აზიისკენ მიმავალ სარტყელს „სტრატეგიულად სასიცოცხლო ინტერესი" უწოდა.[138] აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას კასპიის ზღვის აუზისადმი იჩენდა, მასში ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭარბი მარაგის გამო. მოიაზრებოდა, რომ

[138] Winter S. Central Asia: U.S. Says Resolving Conflicts A Top Priority. Radio Free Europe, Radio Liberty. 1997. იხ. https://www.rferl.org, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

წლების შემდეგ, სპარსეთის ყურის „შავი ოქრო“ ამოიწურებოდა და მას კასპიის ზღვის ნავთობი ჩაანაცვლებდა.[139] აზერბაიჯანი და საქართველო, კასპიური ნავთობის ტრანსპორტირების მხრივ, უმნიშვნელოვანესი ქვეყნები იყვნენ. როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მზარდი იყო საქართველოს მნიშვნელობა, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, „ჩაკეტილი“ კასპიის ზღვიდან ნავთობპროდუქტების გადაზიდვისთვის უმთავრეს სატრანსპორტო დერეფანს წარმოადგენდა.

თუმცა სამხრეთ კავკასიაში და, განსაკუთრებით კი, საქართველოში აშშ-ის პოზიციების გამყარებას, პირდაპირ თუ ირიბად, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაცია, რომლის იმპერიულ ამბიციებს საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აეხადა ფარდა.[140] მართალია, ეკონომიკურად საგრძნობლად დასუსტებული რუსეთი, ამერიკის მრავალმილიარდიანი ფინანსური დახმარებით საზრდოობდა. ამავე დროს, ელცინის ხელისუფლება, ბ. ალადაშვილის მიხედვით, იმ დათვს ჰგავდა, რომელიც „პატრონის ხელით იკვებება და თან, ჩუმად მის შესანსვლაზე ოცნებობს“.[141] რუსეთი ფარულად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის მცდელობას, განემტკიცებინა თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში და დაემყარებინა მჭიდრო კავშირები ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. შემთხვევითი არ იყოს ისიც, რომ 1990-იან წლებში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური კურსი არაერთი მეცნიერის კრიტიკის ობიექტიც კი გახდა.[142]

მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში მიაჩნდათ, რომ 1991 წლის შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

---

[139] Kinser S. On Piping Out Caspian Oil, U.S. Insists the Cheaper, Shorter Way Isn't Better. New York Times. 1998. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021. Friedman T. Foreign Affairs, Pipeline Politics. New York Times. 1995. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[140] ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., 2010.

[141] ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010, გვ.78-86.

[142] Cohen, S.F. Failed Crusade: America and the tragedy of post-communist Russia. WW Norton and Company. 2001.

მრავალეროვნული გაერთიანება მხოლოდ ისტორიის კუთვნილება გახდა და რუსეთი, ადრე თუ გვიან, დაადგებოდა დემოკრატიული ტრანსფორმაციის გზას. მალევე გაირკვა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ცდებოდა და აშშ-ის დახმარება რუსეთის ხელისუფლებამ ახალი „სახელმწიფო კაპიტალიზმის ბაზაზე დაფუძნებული იმპერიის (სადაც დემოკრატიის ელემენტები უკვე ფორმალურადაც აღარ მუშაობს) აღსადგენად გამოიყენა“.[143]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას მოსკოვი იმ უმნიშვნელოვანესი პროექტების ინიცირებითა და განხორციელებით ცდილობდა, რომლებიც საგრძნობლად გაზრდიდა რუსულ ინტერვენციას სამიზნე რეგიონში. შედეგად, იგი დღემდე აკონტროლებს სომხეთის თითქმის მთელ ენერგეტიკულ ქსელს და მუდმივად ზრდის სამხედრო წარმომადგენლობას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასე მაგალითად, სომხეთში, გიუმრის ბაზაზე, რუსული სამხედრო კონტინგენტი წარმოდგენილია 3215-5000 ადამიანით. რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში წარმოდგენილია 8000 სამხედრო პირისგან შემდგარი კონტინგენტი. ასევე, რუსეთს აქვს სამხედრო ბაზები უკრაინაში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში და მოლდოვაში.[144]

გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებში რუსეთი და თურქეთი იყვნენ ჩართულნი, აშშ აღნიშნულ რეგიონში თავისი პოზიციების გამყარებას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის „ყარაბაღის კონფლიქტის“ ხელოვნური „დაკონსერვებითა“ და მუდმივი სპეკულაციებით რუსეთი თითქმის 30 წლის განმავლობაში გავლენას ახდენდა თურქეთის მოკავშირე — აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მორიგი დაპირისპირება ისევ რუსეთის სასარგებლოდ დასრულდა.

---

[143] ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010, გვ.78-86.

[144] Klein M. Russia's Military Capabilities, Great Power Ambitions and Reality. SWP Research paper. 2009. იხ. https://www.swp-berlin.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

აშშ-ის მიერ შემუშავებულმა სტრატეგიამ სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ენერგეტიკულ სექტორში რუსეთისა და ირანის უგულებელყოფით დასავლეთის პოზიციების ზრდას ითვალისწინებდა, რუსეთის სასტიკი გაღიზიანება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, კლინტონის ადმინისტრაციამ წარმატებით შეძლო გეგმის განხორციელება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTG) ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის (BTE) გაზსადენის გაყვანის შედეგად, საქართველო და აზერბაიჯანი აშშ-ის მთავარი მოკავშირეები გახდნენ, რუსეთი და ირანი კი, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან ისინი, ფაქტობრივად, განდევნეს იმ რეგიონიდან, რომელშიც მათ ისტორიული ინტერესები ჰქონდათ.

მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ მიღწევად და წარმატებად აფასებდა, მოსკოვში ამტკიცებდნენ, რომ პროექტი ეკონომიკურად წამგებიანი იყო და მას მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან აშშ და დასავლეთ ევროპა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. აღნიშნული ტენდენცია დღესაც გრძელდება და მოსკოვისთვის ძალიან მტკივნეულია იმ ენერგოპროექტების განხორციელება, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში მისგან დამოუკიდებლად ხორციელდება.[145]

აშშ-რუსეთს შორის პოლიტიკური კლიმატი უკიდურესად დაიძაბა კრემლში ვლადიმერ პუტინის „აღზევებიდან“. არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ 2000-იანი წლებიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი რუსეთის ისტორიაში. ეს არის პერიოდი, როდესაც რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ღიად გაცხადდა, დაკარგა ელცინის ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი „სიმორცხვე“ და აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსს დაადგა, თავისი გეოპოლიტიკური და

[145] Modebadze M., Kozgambayeva, G. Russia's Geopolitical Interests in Georgia (South Caucasus and the Threats Coming From Moscow). Вестник КазНУ. Серия историческая. 91(4). 2019, pp.27-31.

გეოსტრატეგიული ინტერესების საბოლოოდ რეალიზებისა და განხორციელების გზაზე.[146] ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში პუტინი ნაღვლიანად აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო და „სამარცხვინოს“ უწოდებდა ბორის ელცინის მმართველობის თითქმის ათწლიან პერიოდს.

სამხრეთ კავკასიაში დაკარგული გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებით გააქტიურდა პოსტსაბჭოთა სივრცეში 2005-2006 წლებში. მოსკოვი აქტიურად იყენებდა არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მექანიზმების ერთობლიობას საქართველოსთან მიმართებით, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებით, მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიას ახორციელებდა.

გარდა ამისა, კრემლმა „საპასპორტო პოლიტიკით“,[147] რომელიც „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ 2002 წელს მიღებულ განახლებულ კანონს ეფუძნებოდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ფაქტობრივი რუსიფიკაციის პროცესი დაიწყო, ადგილობრივი მოსახლეობისთვის რუსული პასპორტებისა და, შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებით. აღნიშნული ქმედება აბსოლუტურად სცილდებოდა საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ჩარჩოებს, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ კანონმდებლობას.

ამერიკის შეერთებული შტატები უპრეცედენტო მხარდაჭერას გამოხატავდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ხელს უწყობდა ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების დამკვიდრებას, შიდა პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას,

---

[146] ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010, გვ.83.
[147] მალაშხია შ. კონფლიქტების ანატომია. გამომც. სტამბა „ფორმა“. თბ., 2011, გვ.42.

ამერიკული კაპიტალის რუსულით ჩანაცვლებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსკოვის გავლენისგან გათავისუფლებას მოასწავებდა. რასაკვირველია, ყოველივე ეს სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის გრძელვადიან მიზნებთან საქართველოსთან მიმართებით. სამეცნიერო სპექტრშიც მიიჩნეოდა, რომ რუსეთს აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ადრე თუ გვიან, შესაბამისი რეაქცია ექნებოდა და კრემლი უპასუხოდ არ დატოვებდა თავისი „გავლენის სფეროში“ აშშ-ისა და ევროპის დომინაციას.

2007 წლის 10 თებერვალს, მიუნხენში, საერთაშორისო უსაფრთხოების 43-ე კონფერენციაზე, ვლადიმერ პუტინის მკაცრმა რიტორიკამ შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიმართ, საკმაოდ შეაშფოთა საერთაშორისო საზოგადოება. მაშინ, როდესაც გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა, წლის ყველაზე დიდ საფრთხედ გლობალური დათბობა, ირანის ბირთვული განიარაღება და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები დაასახელა, რუსეთის პრეზიდენტის თითქმის ორსაათიანი ნარატივი აშშ-ის კრიტიკაზე იყო აგებული. კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლისას, რომელსაც 250-ზე მეტი ოფიციალური პირი ესწრებოდა, ვლადიმერ პუტინმა ნეგატიური აქცენტები გააკეთა აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსზე და ინტელექტუალურად მოაზროვნე საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, თუ რამდენად სასტიკი იქნებოდა რუსეთის რეაქცია, შეერთებული შტატების მეთაურობით, უნიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბების გზაზე.

პუტინს ყურადღების მიღმა არც ნატოს გაფართოება დარჩენია და კიდევ ერთხელ დააფიქსირა რუსეთის აბსოლუტურად ნეგატიური პოზიცია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით. მან ცალკე აღნიშნა კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი და განმარტა, რომ აშშ-მა და სხვა მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა, არ უნდა აიძულონ დანარჩენი მსოფლიო

იმოქმედონ მათ მიერ დადგენილი თამაშის წესებით კოსოვოსთან მიმართებით. პუტინის ეს განაცხადი უცხო არ ყოფილა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ვინაიდან ოფიციალური მოსკოვის პერსპექტივიდან, ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები აბსოლუტურად იდენტურია და ისინი ერთ განზომილებაში მოიაზრება.[148]

პუტინის გამოსვლას შესაბამისი რეაგირება მოჰყვა შეერთებულ შტატებშიც. სენატორმა ჯონ მაკკეინმა აღნიშნა, რომ აშშ-რუსეთს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება წარმოუდგენელი იქნებოდა რუსეთის მიერ დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების პატივისცემის გარეშე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვის მხრიდან ნატოს მიმართ უფრო ცივილურ დამოკიდებულებას უნდა დამყარებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ჩიხში შევიდოდა. "დღევანდელ მულტიპოლარულ მსოფლიოში კონფრონტაციისთვის სივრცე არ რჩება. „ცივი ომი" დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, შეერთებულმა შტატებმა მოიგო და დღეს ყველა კონტინენტზე არსებობს ძალაუფლების ცენტრები" — აღნიშნა მაკკეინმა.[149]

ამერიკელი სენატორი ჯ. ლიბერმანი კი მიიჩნევდა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიმართვა პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა და „ცივი ომისთვის დამახასიათებელ რიტორიკას უფრო ჰგავდა". შედარებით დიპლომატიური გზა არჩია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში გ. ჯონდროემ, რომელმაც განაცხადა, რომ პუტინის გამოსვლით, იგი ძალიან გაკვირვებული და იმედგაცრუებული იყო. ჯონდროეს მიხედვით, მიუხედავად ქვეყნებს

[148] Cornell S., Starr F., Tsereteli M. A Western Strategy for the South Caucasus". Central Asia Caucasus Institute Silk Road Studies Program. 2015, p.23. იხ. https://www.silkroadstudies.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[149] Shanker T., Landler M. Putin Says U.S. Is Undermining Global Stability. The New York Times. 2007. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

შორის ინტერესთა დაპირისპირებისა, აუცილებელი იყო ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობა.[150]

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარება, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპული ქვეყნების პოლიტიკა კოსოვოსთან მიმართებით (კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება) და საქართველოს ნატოში მიღების დეკლარირება ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე, მალევე, რუსეთ-საქართველოს ომის მთავარი მაპროვოცირებელი გახდა.[151] რუსეთს მიზნის მისაღწევად მხოლოდ ხელსაყრელი დრო სჭირდებოდა. ეს კი 2008 წლის ბოლოს უნდა დამდგარიყო, როდესაც აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ქვეყანა შიდა პოლიტიკური საკითხებით იყო დაკავებული.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული სისტემატური პროვოკაციები, ქართველი მოსახლეობის შევიწროება და ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვები, საბოლოოდ, რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომით დასრულდა, რომელსაც უამრავ მსხვერპლთან ერთად, შედეგად რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა. რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ საქართველოში და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშმა დარღვევამ, საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. შეერთებულმა შტატებმა სასტიკად დაგმო რუსეთის სამხედრო ოკუპაცია სუვერენულ სახელმწიფოში და ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.[152]

აშშ-ის განსაკუთრებული გაღიზიანების საბაბს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის სამხედრო

---

[150] იქვე.

[151] Tsereteli M. Retrospective on the US-Georgia diplomatic relations. Turning points. Global Agneda. 2018, p.36.

[152] ყალიჩავა კ. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში. თბ., მერიდიანი. 2016, გვ.14.

ბაზების მშენებლობა წარმოადგენდა. რუსეთმა, აღნიშნული ქმედებით, მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ არენაზე. რეგიონში ძალთა ბალანსი რადიკალურად შეიცვალა 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „მთიანი ყარაბაღის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ, საიდანაც გამარჯვებული, ფაქტობრივად, რუსეთი გამოვიდა და ყარაბაღშიც თავისი სამხედრო წარმომადგენლობა განათავსა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მაღალი ტრიბუნიდან, აშშ უპირობო მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, რუსეთის პოზიცია საქართველოსთან მიმართებით ურყევი და უცვლელია.

საგულისხმოა, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორის, რ. კოტკინის სიტყვები, რომელიც მან ნიუ-იორკის უნივერსიტეტისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის ერთობლივ სემინარზე გააჟღერა. "გინდათ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება? ეს მარტივია, მიეცით მას მთლიანი გავლენა რეგიონში, რათა გააკეთოს, რაც უნდა — საქართველოში, უკრაინაში, ყაზახეთში და შეიძლება მოსკოვს მადა გაეზარდოს და ბალტიისპირეთიც მოუნდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენ შორის არაჩვეულებრივი ურთიერთობა დამყარდება... ამერიკა-რუსეთს შორის მთავარი პრობლემა არის ინტერესები და ფუნდამენტური საკითხების შეჯახება.“[153]

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი, ფაქტობრივად, აშშ-რუსეთს შორის დაპირისპირებად იქცა. მეცნიერთა დიდი ნაწილი დღესაც დავობს იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა რუსეთ-საქართველოს ომი რუსეთის მიერ საქართველოს „დასჯის“ ნათელი ილუსტრაცია და არა მნიშვნელოვანი გზავნილი აშშ-სთვის, რომ რუსეთის ფედერაცია ისევ რჩება დომინანტ აქტორად პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევრაზიის კონტინენტზე, რომელიც არ დაუშვებს თავისი „გავლენის სფეროში“ დასავლეთის — აშშ-ისა და ნატოს პოზიციების გამყარებას. მოსკოვმა თვალნათლივ დაანახა

[153] ამერიკის ხმა. აშშ-რუსეთი: იქნება თუ არა გადატვირთვა 2017. 2017. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

დასავლურ, ცივილიზებულ და დემოკრატიულ სამყაროს, რომ იგი არ ერიდება საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ნორმებისა და პრინციპების უგულებელყოფასაც კი, თავისი ინტერესების განხორციელების გზაზე.

თ. კიკნაძე რუსეთ-საქართველოს ომში მთავარ პასუხისმგებლობას საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აკისრებს და მიიჩნევს, რომ მოვლენათა 2008 წლის სცენარით განვითარება, სწორედ სააკაშვილის არაპრაგმატული, ირაციონალური პოლიტიკით იყო განპირობებული. მისი მოსაზრებით, აშშ-ის საქართველოსადმი სტრატეგიული თანამშრომლობა და პარტნიორობა მისასალმებელია, მაგრამ შესაძლოა, ეს საქართველოს ძვირად დაუჯდეს რუსეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორების გათვალისწინებით. საქართველოსთვის, აღნიშნული კუთხით, უმნიშვნელოვანესია დაბალანსებული, რაციონალური, დიპლომატიური პოლიტიკის გატარება.[154] ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს პ. მამრაძე და 2008 წელს განვითარებულ მოვლენებში იგი პრეზიდენტ მ. სააკაშვილს ადანაშაულებს.[155]

აგვისტოს ომიდან ცამეტი წლის შემდეგაც კი, რუსეთი მკაცრად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და აძლიერებს ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს, როგორიცაა „დსთ“-ის სივრცეში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ევრაზიის კავშირი და შანხაის ორგანიზაცია, რომლებიც „აშშ-ის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სტრუქტურებია“.[156] რუსეთი მხარს უჭერს ისეთი დესტრუქციულ, ავტორიტარულ და სახიფათო ქვეყნების პოლიტიკურ რეჟიმებს, როგორიცაა ირანი, სირია, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და სხვ.

---

[154] კიკნაძე თ. ამერიკა მუშაობს პინცეტით, რუსეთი-ნაჯახით. საქართველოს რესპუბლიკა, გლობალური პოლიტიკა. 2017, 15 აგვისტო. N163. გვ. 8.

[155] მამრაძე პ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ.დანართი 16).

[156] ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010, გვ. 85.

რუსული პოლიტიკური სპექტრი სასტიკად ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოებას და მიიჩნევს, რომ ნატო რუსეთთან კონფრონტაციისთვის შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც თავისი არსითა და დანიშნულებით უგულებელყოფს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. რუსეთი კი, ისე, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

„ცივი ომის“ დასრულებიდან, წლების შემდეგაც კი, აშშ-რუსეთის ურთიერთობები რეალიზმის თეორიის ჭრილში განიხილება და ორ ქვეყანას შორის დღემდე მზარდი დაძაბულობით გამოირჩევა. ჰ. მორგენთაუ რეალიზმის ექვს ძირითად პრინციპს აღწერს და ამტკიცებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ქვაკუთხედი ეროვნული ინტერესებია, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.[157]

იქნება თუ არა კიდევ ერთი გადატვირთვა აშშ-რუსეთის ურთიერთობებში ჯოზეფ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში? ამ კითხვას დღეს არაერთი მკვლევარი სვამს, თუმცა, ვარაუდი იმისა, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის პოლიტიკური კლიმატი დათბება, რუსეთის მიმართ ბაიდენის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ალბათ, ნაკლებად მოსალოდნელია. იქმნება სურათი, რომლის მიხედვით, „ცივი ომის“ დასრულებიდან ოცდაათი წლის შემდეგაც გრძელდება აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება. პროფესორ თ. კიკნაძის მიხედვით „XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაციაა“.[158] ქართველი მეცნიერის მოსაზრებას ამყარებს რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი მ. მაკფოლი, რომელმაც აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება შთამბეჭდავად აღწერა თავის წიგნში „ცივი ომიდან ცხელ მშვიდობამდე“.

---

[157] Morgenthau H. J. Politics among nations:The struggle for power and peace. Fifth edition. 1978, გვ. 4-15.

[158] კიკნაძე თ. აშშ-სთან ჩვენი ძირითადი მედიატორი კვლავ მაკკეინია. საქართველო და მსოფლიო. 2017. 17-13 მაისი. N18, გვ.2.

2.3. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები — რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა

1990-იანი წლების დასაწყისში არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ კონფლიქტების კერები წარმოშვა სამხრეთ კავკასიაშიც, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს საბჭოთა კავშირისგან მძიმე მემკვიდრეობად ერგოთ. აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნეს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებასა და სტაბილურ განვითარებას. თუმცა სამართლიანობისთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ კონფლიქტურ რეგიონებში სეპარატისტული მისწრაფებები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც შეინიშნებოდა, მაგრამ საბჭოთა ცენტრალიზებული გაერთიანება ყველანაირი გზით ცდილობდა წევრ ქვეყნებში „ეროვნული განსხვავებების თანდათანობით გაქრობას“. საბჭოთა კავშირის დაშლამ საფუძველი ჩაუყარა „ნაციონალურ შოვინიზმს, რამაც მისი დაშლა ასეთი ძალადობრივი გახადა, განსაკუთრებით — სამხრეთ კავკასიაში.“[159]

1980-იანი წლების მიწურულს, აფხაზმა სეპარატისტებმა, „ლიხნის დეკლარაციის“ საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს და თბილისისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.[160] „ლიხნის დეკლარაციას“ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმაც მოაწერა ხელი, რომელსაც უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. სწორედ აღნიშნული პათოსით იყო განპირობებული საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენებიც.

---

[159] ყიფიანი მ. ადამიანებიდან ხალხებამდე: ეთნოტერიტორიულობის საბჭოთა სისტემის დასაწყისი და დასასრული. ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში. 2015, გვ.80. იხ. http://www.humanrights.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[160] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. კონფლიქტის ქრონოლოგია. 1992-93 წწ. სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში. იხ. www.abkhazia.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.20.2021.

1989 წლის 16-17 ივლისს, აფხაზეთში, ქართულ და აფხაზურ მოსახლეობას შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია. დაპირისპირების შედეგად დაიღუპა 14, ხოლო დაიჭრა 140-მდე მოქალაქე. დაზარალებულთა შორის უმეტესობა ეთნიკური ქართველი იყო. აღნიშნული მოვლენა მხარეებს შორის პირველ შეიარაღებულ დაპირისპირებად მიიჩნევა, რამაც დიდი როლი ითამაშა ვითარების შემდგომ ესკალაციაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემდგომი დინამიკა.

1992 წლის 23 ივლისს სოხუმის პოლიტიკურმა ელიტამ აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება არ მოჰყოლია, აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა ურთიერთობა ეთნიკურ ქართველ და ეთნიკურ აფხაზ მოსახლეობას შორის. რამდენიმე დღის შემდეგ აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ თავის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა. გაჩნდა ეროვნული სიმბოლიკა — დროშა და გერბი.

ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გახშირდა სარკინიგზო ხიდებისა და გზების აფეთქება, აფხაზეთის მონაკვეთზე სატვირთო მატარებლების ძარცვა-ყაჩაღობა. მაღალი თანამდებობის პირთა გატაცებებმა და გამოსასყიდის აღების მიზნით, ადამიანების გადამალვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. პარადოქსულია, მაგრამ მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმაც, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, რამდენიმე თვის შემდეგ, იგივე რუსეთი, აქტიურად ამარაგებდა აფხაზ სეპარატისტებს სამხედრო შეიარაღებით და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისთვის აგულიანებდა. ცნობილია, რომ რუსეთის საზენიტო პოლკიდან აფხაზ სეპარატისტებს ათასობით ავტომატი, ასობით ტყვიამფრქვევი, უამრავი ხელყუმბარა, სასიგნალო რაკეტა და საავტომობილო ტექნიკა გადაეცათ.

სამხედრო ექსპერტი ი. ალადაშვილი აღნიშნავდა: „მე მიმაჩნია, რომ საქართველო ჩათრეულ იქნა ომში, ამას ჩვენც შევუწყვეთ ხელი. აღნიშნული აზრის დაფიქსირების საფუძველს მაძლევს ის გვერდითი მოვლენები, რომელიც ემთხვევა ამ პერიოდს. მე იქ ვიყავი და ჩემი თვალით ვხედავდი, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი მიზნის მიღწევას. მათ იარაღი მოგვცეს, თუმცა იქიდან ათასამდე ტყვიამფრქვევი, ავტომატი აფხაზებს ეკუთვნოდათ და როდესაც 1992 წლის 14 აგვისტოს ჩვენები აფხაზეთში შევიდნენ, გუდაუთის სამხედრო ნაწილიდან აფხაზების მიერ მოხდა თავდასხმა. ეს ყველაფერი გაკეთდა იმიტომ, რომ კონფლიქტი დაწყებულიყო.“[161]

სიტუაციის მკვეთრად გაუარესებისა და მსხვერპლთა დიდი რაოდენობის შედეგად, ქართველებს, აფხაზებსა და რუსებს შორის მოლაპარაკების გარდაუვალი საჭიროება წარმოიშვა. 1993 წლის 14 მაისს მოსკოვში მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება დაიდო, რომელსაც ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა მოაწერეს ხელი. ვინაიდან რუსებმა არ უზრუნველჰყვეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება და სიტუაციის დეესკალაცია ვერანაირი საშუალებით ვერ მოხერხდა. იმავე წლის 27 ივლისს სოჭში კიდევ ერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შესახებ“. იგი დაპირისპირებულ მხარეთა სრულ განიარაღებას ითვალისწინებდა.[162]

მიუხედავად სოჭის ხელშეკრულებისა, აფხაზმა სეპარატისტებმა განიარაღებული სოხუმის დაბომბვა ისევ განაგრძეს, რომლის შედეგად განსაკუთრებული სისასტიკით იხოცებოდნენ ადამიანები. ედუარდ შევარდნაძე, ფაქტობრივად, მოტყუებული დარჩა. იგი სიტუაციას ვერ

---

[161] აფციაური ქ. აფხაზეთის ომი 1992-1993. გვ. 19. იხ. http://old.gruni.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[162] ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი. 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ. 2015.

აკონტროლებდა. ამასთან, კონტრშეტევებით აქტიურობდნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები, რაც ქვეყანაში კიდევ უფრო რთულსა და გამოუვალ სიტუაციას ქმნიდა.

1993 წლის 27 სექტემბერს, 13-თვიანი ბრძოლის შემდეგ დაეცა სოხუმი. 28 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ვკითხულობთ ედუარდ შევარდნაძის მიმართვას: „ფაქტობრივად, საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარეშე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი. მე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად შეძრწუნებული ვარ მომხდარით. იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად. ვერ შევძელი. დაე, მაპატიონ თანამედროვეებმა და შთამომავლობამაც“.[163]

1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში დაიღუპა 9000-ზე მეტი ქართველი, მათ შორის, როგორც სამხედრო პირები, ისე მშვიდობიანი მოქალაქეები. საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა 250000, ხოლო დაკარგულად ითვლება 1500-ზე მეტი ადამიანი. აფხაზეთის რეგიონში დაიღუპა 4040 ადამიანი, მათ შორის, 2220 ჯარისკაცი და 1820 მშვიდობიანი მოქალაქე. დაკარგულად ითვლება 122 ადამიანი. სამოქალაქო ომმა საქართველოს უმძიმესი ფინანსური, ფსიქოლოგიური და მორალური ზიანი მიაყენა და აფხაზეთის მხარე მთლიანად გააპარტახა.[164]

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მსგავსად, ქართულ-ოსური კონფლიქტიც 1980-იან წლებში მომწიფდა, რომელიც 10 წლის შემდეგ, 1991-1992 წლებში ეთნიკურ ქართველ და ეთნიკურ ოს ხალხს შორის მრავალწლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

---

[163] საქართველოს რესპუბლიკა. იცის ღმერთმა ყველაფერს გავაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის განცხადება. 28 სექტემბ. N213. 1993, გვ.1.

[164] Human Rights Watch. Georgia/Abkhazia: Violations of the laws of war and Russia's role in the conflict. 1995. იხ. https://www.hrw.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ქართულ-ოსური ურთიერთობები საგრძნობლად იძაბება 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში მიმდინარე ე.წ. „გარდაქმნის“ პროცესების პარალელურად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე მწიფდებოდა ოსური სეპარატიზმიც. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაზე დაყრდნობით, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი, როგორც ეთნო-ნაციონალური დაპირისპირების შემადგენელი ნაწილი, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კრიმინალურ მოტივებზე დაყრდნობით ყალიბდებოდა. ის აისახა: ა) ცხინვალსა და თბილისს შორის „კანონთა ომში“; ბ) ოს და ქართველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა და პუბლიცისტთა დისკუსიებში; და გ) ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში.[165]

1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, რომლის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ყველა სამეცნიერო-სასწავლო თუ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში გამოიყენებდნენ მხოლოდ ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას. აღნიშნულ გადაწყვეტილებას პირველი მიტინგი და საპროტესტო აქცია მოჰყვა არაფორმალური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ მხრიდან, რომლის ლიდერი ალან ჩოჩიევი არაერთგზის იყო შემჩნეული სეპარატისტულ მისწრაფებებსა და ანტიქართულ ქმედებებსა თუ ნარატივში.[166]

ოსურმა მხარემ ქართულ მხარეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის ინიცირებით გამოვიდა. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებას, სამხრეთ

---

[165] საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. გვ.1. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[166] König M. The Georgian-South Ossetian Conflict. Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg. IFSH (ed.), OSCE Yearbook. 2014, pp.240-241. იხ. https://ifsh.de, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოეცხადებინა და პატივი ეცა ოსური იდენტობისა და თვითმყოფადობისთვის. ქართულმა მხარემ ოსური მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ვიანიდან, ეთნიკური ოსების მოთხოვნა „კანონის შეუსაბამოდ“ მიიჩნია და 1989 წლის 16 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა.

სიტუაციის განმუხტვის მიზნით, პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. კონსტრუქციულად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა ესკალაციის განმუხტვასა და მოლაპარაკებების გზით კონსენსუსის მიღწევას, ვინაიდან არც ერთი მხარის ინტერესებში შედიოდა ხელჩართული ბრძოლა და კონფლიქტის ესკალაცია. თუმცა ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე, ქართველებსა და ოსებს შორის ინტერესთა დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. 15000 ქართველი ცხინვალის მიმართულებით დაიძრა. ოსმა მეამბოხეებმა ცხინვალში შესასვლელი გზა გადაკეტეს და ქართველი დემონსტრანტები ქალაქში არ შეუშვეს. მათ აღნიშნული ქმედება ეთნიკური ქართველების მხრიდან „კუნთების თამაშად“ და ოსი ეთნოსის განადგურების მცდელობად მიიჩნიეს. ოსებმა ქართველებს საბჭოთა არმიის ჯარისკაცები დაუპირისპირეს. შეტაკებას მოჰყვა მსხვერპლიც.

ქართულ-ოსური ურთიერთობები ჩიხში შევიდა მას შემდეგ, რაც ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“ და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სრული უნდობლობა გამოუცხადა. ვინაიდან აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, იგი გაუქმდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ. ქ. ცხინვალში ადგილობრივი არჩევნები 1990 წლის 2 დეკემბერს დანიშნეს.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აფხაზეთის ავტონომიური ოლქის მიერ ჩატარებული ე.წ. „არჩევნები“ არაკანონიერად ცნო და იგი ბათილად გამოაცხადა. ასევე, გააუქმა „სამხრეთ

ოსეთის“ ავტონომიური ოლქი და რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.[167]

ზემოაღნიშნული მოვლენების შემდეგ ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ინტერესთა დაპირისპირება პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდა. ერთი წლის განმავლობაში, ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 3000 და დევნილად იქცა ათიათასობით ადამიანი. განადგურდა საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა. კონფლიქტმა ორივე მხარეს უდიდესი ზიანი მიაყენა.[168]

1992 წლის 25 ივნისს სოჭში რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც საქართველოს და რუსეთის პირველმა პირებმა, ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა მოაწერეს ხელი.[169] მოგვიანებით, ეუთოს მიერ შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია (შკს) საქართველოს, „სამხრეთ ოსეთის“, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებით.[170]

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კონფლიქტის მონაწილეებს შორის ნდობის აღდგენა ძალიან რთული აღმოჩნდა. მხარეებმა არაერთხელ დაარღვიეს მათზე ნაკისრი ვალდებულებები და შეიარაღებული თავდასხმები ისევ განაახლეს. 1990-იანი წლების დასაწყისსა და შუა ხანებში სიტუაცია კონტროლს ნაკლებად ექვემდებარებოდა. 2008 წლის აგვისტოში კი, რუსეთის ფედერაციის მიერ შეგულიანებულ ოს სეპარატისტებსა და ეთნიკურ ქართველ მოსახლეობას შორის მრავალთვიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთ-საქართველოს შორის ომში გადაიზარდა. აგვისტოს

---

[167] სონღულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში? გამომც. უნივერსალი. თბ., 2009, გვ.216-217.

[168] Nichol J. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. Congressional Research Service. 2010, p.4. იხ. https://www.everycrsreport.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[169] სონღულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში? გამომც. უნივერსალი. თბ,. 2009, გვ.219.

[170] Tuathail, G.Ó. Russia's Kosovo: a critical geopolitics of the August 2008 war over South Ossetia. Eurasian Geography and Economics. 49(6). 2008, pp.677-678. იხ. https://ibs.colorado.edu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.202.

ომის შედეგად, რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.

2020 წლის 10 ნოემბრამდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პარალელურად, რეგიონული უსაფრთხოების დილემას „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი ქმნიდა. იგი მოიცავდა სადავო ტერიტორიას „მთიან ყარაბაღის“ რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. კონფლიქტმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იჩინა თავი და არაერთი მკვლევრის შეხედულებით, იგი პირდაპირ უკავშირდება საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

1989 წლის 12 იანვრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესმა პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომლის თანახმად სადავო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების სრული კონტროლქვეშ მოქცეულიყო.[171] აღნიშნულ გადაწყვეტილებას თან დაერთო მნიშვნელოვანი პროცესები როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში. ერევანში ნაციონალური მოძრაობა — „სომხეთის ეროვნული მოძრაობა“, აზერბაიჯანში კი, აბულფაზ ელჩიბეის მეთაურობით — „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი“ დააარსეს.

მალევე, აზერბაიჯანმა სომხეთზე ეკონომიკური და სატრანსპორტო ბლოკადა გამოაცხადა, რამაც დიდად დააზიანა სომხეთის ეკონომიკა, ვინაიდან ქვეყანა, დიდწილად, აზერბაიჯანზე იყო დამოკიდებული. ელჩიბეი კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთ გამოსავალს კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარებაში ხედავდა. იგი არც უდანაშაულო ადამიანების უმოწყალოდ ხოცვას ერიდებოდა. ყოველივე ამან ე.წ. „შავი იანვრით“ ცნობილი მოვლენები გამოიწვია აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში,

[171] Avakian S. Nagorno Karabakh legal aspects. Fifth edition. 2015. p.18. იხ. https://efile.fara.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

როდესაც ეთნიკურ სომხებზე უპრეცედენტო თავდასხმები დაიწყო. შედეგად მეზობელ ქვეყნებს შორის უამრავი ადამიანის სისხლი დაიღვარა.[172]

1991 წლის 23 სექტემბერს სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარეებმა, მოსკოვისა და ყაზახეთის დახმარებით, ხელი მოაწერეს „ჟელეზნოვოდსკის ხელშეკრულებას“ და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პასუხისმგებლობა აიღეს.[173] მალევე, სომხურმა მხარემ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა დაარღვია და აზერბაიჯანულ მხარეზე ისევ ფართომასშტაბიანი შეტევები განახორციელა, სადაც მან უპირატესობა მოიპოვა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონები დაიკავა. 1992 წელს აშშ-ის, რუსეთისა და საფრანგეთის შუამდგომლობით დაარსდა ე.წ. „მინსკის ჯგუფი“, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ითვალისწინებდა.[174] ამავე დროს, ფართო საზოგადოებაში ნათელი მოეფინა რუსეთის განსაკუთრებულ როლს ყარაბაღის კონფლიქტში. მოსკოვი ყოველმხრივ ცდილობდა კონფლიქტის ხელოვნურ „დაკონსერვებას“.

1994 წლის 5 მაისს, ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში, რუსეთისა და დსთ-ს ეგიდით, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ისტორიაში „ბიშკეკის პროტოკოლის“ სახელწოდებით შევიდა. ხელშეკრულების მიზანი საომარი მოქმედებების შეწყვეტა იყო. თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ იხილა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია 1994 წლის შემდეგაც გაგრძელდა.[175] შეტაკებებმა განსაკუთრებით ინტენსიური სახე მიიღო 2006 წლიდან. აუცილებელი გახდა საერთაშორისო საზოგადოების უფრო აქტიური ჩარევა შექმნილი

---

[172] Дечев Т. Черният Януари в Баку-1990, Карабахският конфликт и распадането на Съветския съюз. 2019, стр.71-73.
[173] Institute of American Studies. From the Archives: In 1991. Armenia Sought UN Peacekeepers for Karabakh. 2018. იხ. https://armenian.usc.edu, უკანასკნელად გადამოწმდაა — 20.05.2021.
[174] OSCE. Mandate for the Co-Chairs of the Minsk Process. 1995. იხ. https://www.osce.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[175] The Bishkek Protocol. 1994. იხ http://iccn.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

კრიზისული ვითარების დეესკალაციის მიზნით. 2007 წლის 30 ნოემბერს, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შედეგად, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, მხარეებმა ხელი მოაწერეს კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომელიც რამდენიმე პუნქტს მოიცავდა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენასა და ორმხრივი დაპირისპირების შეწყვეტას ისახავდა მიზნად.[176] მიუხედავად არაერთი სამშვიდობო ფორმატისა, მხარეებს შორის ნდობის აღდგენა წლების მანძილზე ვერ მოხერხდა.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირება 2020 წლის ივლის-აგვისტოდან ისევ გამწვავდა. მხარეები ერთმანეთს პროვოკაციებში ადანაშაულებდნენ და საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთების მიუხედავად, განაგრძობდნენ საომარ მოქმედებებს ყარაბაღის ირგვლივ მდებარე სოფლებსა და რაიონებში. თურქეთის ხელისუფლებამ მხარი აზერბაიჯანს დაუჭირა, ვინაიდან, თურქეთის პრეზიდენტის სიტყვებით, „თურქები და აზერბაიჯანელები არიან ერთი ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ ორ სხვადასხვა სახელმწიფოში“.[177] სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის თქმით, სომხეთის წინააღმდეგ არა მარტო აზერბაიჯანი, არამედ თურქეთიცა და სირიელი ჯიჰადისტებიც იბრძოდნენ. „ჩვენ ერთად უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმს, ეს არის თავისუფალი სამყაროს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ“ — აღნიშნა სომხეთის პრეზიდენტმა.[178]

2020 წლის 10 ოქტომბერს, თითქმის ათსაათიანი მოლაპარაკების შედეგად, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და პირდაპირი საკომუნიკაციო კავშირების განახლების თაობაზე, თუმცა მხარეებმა ხელშეკრულებით

---

[176] OSCE. Ministerial Council, Madrid, Second day of the Fifteenth Meeting, MC(15) Journal No. 2, Agenda item 8. 2007, იხ. http://iccn.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[177] მამრაძე პ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 16).
[178] ARMENPRESS. Наша дипломатия одержала крупную победу: премьер-министр Республики Армения. 2020. იხ. https://armenpress.am/rus, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

გათვალისწინებული პირობები მალევე დაარღვიეს და საომარი მოქმედებები არაერთხელ განაახლეს.[179]

2020 წლის 10 ნოემბერს აზერბაიჯანს, სომხეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელმაც სომხეთისა და აზერბაიჯანის თითქმის ორთვიანი დაპირისპირება საბოლოოდ დაასრულა. სამეცნიერო წრეებში დღესაც შეინიშნება ინტერესთა დაპირისპირება ყარაბაღის კონფლიქტში გამარჯვებულ-დამარცხებულთა თაობაზე, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ნათელი გახდა, რომ აზერბაიჯანმა მიიღო „მთიანი ყარაბაღის“ გარშემო ყველა რეგიონი, სომხეთის საზღვრის გასწვრივ სატრანზიტო სახმელეთო დერეფანი ირანთან და გაიმაგრა პოზიციები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ შუშაში. სომხეთმა დაკარგა ეს ტერიტორიები, მაგრამ კონტროლი შეინარჩუნა 5 კილომეტრი სიგრძის სატრანსპორტო დერეფანზე სომხეთსა და „მთიან ყარაბაღს“ შორის. აღნიშნულ ტერიტორიას, მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, რუსი სამხედროები გააკონტროლებენ.[180] 9-პუნქტიანი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის 1960 პირისგან შემდგარი სამხედრო კონტინგენტი „მთიან ყარაბაღში“ რჩება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რუსეთისა და თურქეთის ფაქტორი, რომლებიც ყარაბაღის კონფლიქტის დასრულებით რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტორები გახდნენ და თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს მინსკის ჯგუფის ორი დომინანტი აქტორი — ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. რეგიონში შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარების შედეგად, რუსეთმა გაზარდა სამხედრო წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში და ამით მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან

[179] BBC. Armenia-Azerbaijan: Why did Nagorno-Karabakh spark a conflict? Nagorno-Karaback conflict. November 12, 2020. იხ. https://www.bbc.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[180] International Crisis Group. Getting from Ceasefire to Peace in Nagorno-Karabakh. Europe and Central Asia. 2020, pp.2-3. იხ. https://reliefweb.int, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

რეგიონში.[181] სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მიერ კონსტრუირებული ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, პირდაპირ თუ ირიბად, საფრთხეს უქმნის შეერთებულ შტატებს. მისთვის სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის სივრცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რუსეთის პოზიციების განმტკიცება მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან რეგიონში აშშ-სთვის, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია.

რეგიონში მიმდინარე ცვლილებების საპასუხოდ, 2020 წლის 17-18 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო, დიპლომატიური მისიით საქართველოს ესტუმრა. პომპეომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოსა და შეერთებული შტატების 30-წლიან სტრატეგიულ პარტნიორობასა და მეგობრულ ურთიერთობას, რომელმაც უმაღლეს ნიშნულს მიაღწია საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდგომი პერიოდიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ვაშინგტონის უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და დადებითად შეაფასა ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზალკანიანმა არაერთხელ აღნიშნა, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში აშშ-სთან თანამშრომლობა განსაკუთრებით ღირებულია საქართველოსთვის და ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ქვეყანას ძალიან გაუჭირდება.[182]

---

[181] მარხულია გ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ. 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 18).

[182] საქართველოს პირველი არხი. დავით ზალკალიანი — ამერიკასთან თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან ფასეულია, სხვაგვარად უსაფრთხოების გამოწვევებს ვერ გავუმკლავდებით. 2020. იხ. https://1tv.ge/news/davit-zalkaliani-amerikastan-tavdacvis-da-usafrtkhoebis-sferoshi-tanamshromloba-chventvis-dzalian-faseulia-skhvagvarad-usafrtkhoebis-gamowvevebs-ver-gavumklavdebit/, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ პომპეოს ვიზიტი თბილისში პირდაპირ დაკავშირებულია რეგიონში მიმდინარე ცვლილებებთან.[183] „რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში დააბრუნა სამხედრო-პოლიტიკური წარმომადგენლობა, ეს არის დიდი გეოპოლიტიკური ცვლილება. ამერიკა შეშფოთებულია, რომ რუსეთის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში გამოიწვევს მის მიერ 30 წლის განმავლობაში დახარჯული ფინანსური, ადამიანური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის რესურსების ფუჭად ჩავლას. ამდენი წვალების შემდეგ, დღეს თუ განდევნიან აშშ-ის სამხრეთ კავკასიიდან, ხვალ — შავი ზღვიდან გაუშვებენ, შავი ზღვა კი, შეერთებული შტატებისა და „ნატოსთვის“ უმნიშვნელოვანესი სივრცეა“ — აცხადებს ექსპერტი მ. არეშიძე.[184]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნატოს როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაში. ნატოსთვის, რომელიც XXI საუკუნეში მშვიდობისა და სტაბილურობის უმთავრეს გარანტს წარმოადგენს,[185] უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული რეგიონის უსაფრთხოება რუსეთის ფედერაციიდან მომავალი საფრთხეების დასაბალანსებლად. ვინაიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირების კუთხით, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში გრძელვადიანი მშვიდობა და კეთილდღეობა ნატოს პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

---

[183] ფხალაძე თ., გეოპოლიტიკური ფორსმაჟორი, ანუ რატომ ჩამოდის პომპეო?! კვირის პალიტრა. ავტ. ნათია დოლიძე. 16/11/2020. იხ. www.kvirispalitra.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 24.05.2021.

[184] არეშიძე მ. რატომ ჩამოდის პომპეო და რა საფრთხის წინაშე დგება საქართველო ყარაბაღის გეოპოლიტიკური გადანაწილებით? საქართველოს რესპუბლიკა. N158-159, 14-16 ნოემბერი. 2020, გვ.4.

[185] ჩიტაძე ნ. ნატო: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი — მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. 2008.

თავი III. გლობალური პროექტები, როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა განხორციელების მექანიზმი

3.1. სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგოდერეფნის მნიშვნელობა და ნატოს როლი კავკასიის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში

სამხრეთ კავკასია თანამედროვე გლობალურ ენერგოპოლიტიკურ რუკაზე, აზერბაიჯანული ნავთობის დამსახურებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩნდება. იმ პერიოდში ენერგორესურსების დიდ ნაწილს საბჭოთა იმპერია აკონტროლებდა. აზერბაიჯანულმა ენერგორესურსებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა XX საუკუნის მიწურულს განვითარებული გარდამტეხი მოვლენების ფონზე. ჯერ კიდევ 1918 წელს გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი გენერალი ერიხ ფონ ლუდენდორფი აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანულ ნავთობზე კონტროლი სამხრეთ კავკასიაში გერმანიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. თუმცა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანზე კონტროლი დიდმა ბრიტანეთმა დაამყარა, რამდენიმე წლის შემდეგ ბაქო ბოლშევიკებმა დაიკავეს.[186]

საბჭოთა კავშირის პერიოდში ცნობილი გახდა, აზერბაიჯანის ოფშორულ ზონაში ნავთობის სამი საბადოს (აზერი-შირაგი-გუნაშლი) არსებობის შესახებ, რომელიც არაერთ კვლევაზე დაყრდნობით, 5 მილიარდზე მეტი ბარელი ნავთობის მარაგს მოიცავდა. 1930-იან წლებში კასპიის ზღვის ნავთობზე კონტროლის მოპოვებას ამჯერად ადოლფ ჰიტლერი შეეცადა, თუმცა იოსებ სტალინმა იგი იმთავითვე უკუაგდო და აზერბაიჯანის ნავთობის, რომელიც საბჭოთა ნავთობის უდიდეს ნაწილს აწარმოებდა, მთავარ მონოპოლისტად იქცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და მისდამი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში

[186] Waal T. The Caucasus: An Introduction. Oxford University Press. 2019, გვ.169.

არაერთი ეთნოპოლიტიკური დაპირისპირება წარმოიშვა, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო წესრიგის თანმდევი პროცესიც კი გახდა. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში, კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კატასტროფულ ზიანს აყენებდა აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკას.

აზერბაიჯანული პოლიტიკური ელიტის პერსპექტივიდან, მხოლოდ ნავთობის მრეწველობის განვითარებისა და ამ გზით შემოსული ფინანსების საშუალებით იყო შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისთვის კი, დასავლური ინვესტიციების მოზიდვა უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნეოდა. თუმცა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, რუსეთი ბაქოში პოზიციებს არ თმობდა და კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. ქვეყნის მეორე პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი, რომლის საგარეო პოლიტიკური კურსი განსაკუთრებული ანტი-რუსული და პროთურქული მიდგომით ხასიათდებოდა, აქტიურად უჭერდა მხარს, ერთი მხრივ, აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტეგრაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ცივილიზებულ დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავებას.

აზერბაიჯანული რესურსების შესაძლო ათვისების მიზნით, უცხოურ ნავთობკომპანიებთან მოლაპარაკებების დაწყებიდან რამდენიმე დღეში, ელჩიბეი სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი გახდა. მალევე იგი ხელისუფლებას ჩამოაშორეს. მიუხედავად რუსეთის მხრიდან მზარდი წინააღმდეგობისა, 1994 წლის 20 სექტემბერს, გიულისტანის სასახლეში, ალიევის მთავრობამ მაინც მოაწერა ხელი უდიდესი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებას, რომელიც „საუკუნის კონტრაქტის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.[187] ხელშეკრულების თანახმად, რვა ქვეყნის (აზერბაიჯანი, თურქეთი, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია,

[187] მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.135.

რუსეთი და საუდის არაბეთი) ცამეტი კომპანია კასპიის ზღვის „აზერი-შირაგი-გუნაშლის“ საბადოების განვითარებას ისახავდა მიზნად.[188]

XX საუკუნის მიწურულს აქტიურად განიხილებოდა აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი, ვინაიდან ნავთობის რკინიგზით გადატანა საკმაოდ ნელი და ქვეყნებისთვის ნაკლებად მომგებიანი აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ კასპიის ზღვის ნავთობის მილსადენით ტრანსპორტირება ერთადერთი და უალტერნატივო საშუალება იქნებოდა. ინტერესთა დაპირისპირება შეინიშნებოდა AIOC-ის (აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია) მეწილეებს შორისაც, რომლებიც ნავთობის ტრანსპორტირებას რუსეთის ტერიტორიის გავლით მოითხოვდნენ, რასაც აშშ სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების ადრეული მარშრუტის განსაზღვრის შემდეგ, ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას აზერი-შირაგი-გუნაშლის საბადოდან ნავთობის ტრანსპორტირების გრძელვადიანი მარშრუტის დადგენა წარმოადგენდა. გარიგებაში აქტიურად ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატებიც. ამას მოწმობს აშშ-ში სპეციალური თანამდებობის — „პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სოციალური მრჩეველი კასპიური ენერგოდიპლომატიის საკითხებში“ — შექმნა. პირველ მრჩევლად დიპლომატი რიჩარდ მორნინგსტარი დაინიშნა.

აშშ-მა აქტიურად დაუჭირა მხარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის რეალიზებას. კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და ირანის შეკავება და კასპიის ენერგოპოლიტიკიდან ამ ორი სახელმწიფოს გამორიცხვა წარმოადგენდა. ასევე, აშშ ახლადდამოუკიდებელი ქვეყნების წახალისებას უწყობდა ხელს.[189]

---

[188] Kandiyoti R. Pipelines: Flowing Oil and Crude Politics. I. B. Tauris. 2008, p.159.

[189] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., 2017.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, ჰეიდარ ალიევის ხელისუფლება მიზნად ისახავდა აზერბაიჯანის ნავთობის მთავარ ექსპორტიორ ქვეყნად გადაქცევას და, ამ გზით, ევროპულ ცივილიზაციასთან უფრო დაახლოებას. ჯერ კიდევ 1995 წელს, აშშ-ის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, ზბიგნევ ბჟეზინსკი, აზერბაიჯანს ეწვია და პრეზიდენტ ალიევს პირადად გადასცა ბილ კლინტონის წერილი, რომელშიც აშშ ბაქოს მხარდაჭერას სთავაზობდა აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირებასა და რეალიზაციის საკითხში.[190]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის ინიციატივა, თავდაპირველად თურქეთიდან წამოვიდა და, პოლიტიკურთან ერთად, ეკოლოგიურ პრიზმაშიც განიხილებოდა. ბოსფორის სრუტეში, რომელიც მსოფლიოს დედაქალაქის სახელწოდებით ცნობილ მრავალმილიონიან სტამბოლს გადაჰყურებს, ტანკერების არასწორი მანევრირებისა და სრუტის სივიწროვის გამო, თურქეთი ნავთობით დატვირთული ტანკერების გავლას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა და ენერგორესურსების ტრანსპორტირების დივერსიფიკაციას ცდილობდა.[191]

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება საქართველოშიც. 1992 წელს, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ეროვნულმა გვარდიამ, პუტჩის შედეგად, ქვეყნიდან გააძევა. პუტჩისტებმა „სახელმწიფო საბჭოს“ ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე მოიწვიეს. ეროვნებით ქართველი ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეჭირა და რომლის სახელსაც „ცივი ომის“ დასრულება და

---

[190] Rzayeva, G. The Outlook for Azerbaijani Gas Supplies to Europe: Challenges and Perspectives. The Oxford Institute for Energy Studies, OIES PAPER: NG97. 2015. იხ. https://www.oxfordenergy.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
Ibrahimov R. Foreign Policy of Azerbaijan: Adequacy and Predictability, Caspian Report. Caspian Strategy Institute. Spring. Issue: 09, 2015.

[191] Maugeri L. The Age of Oil: The Mythology, History, and Future of the World`s Most Controversial Resource. Praeger Publishers. 2006.

ბერლინის კედლის დანგრევა უკავშირდება, 1992 წელს საქართველოში ჩამოვიდა. სწორედ ამ დღიდან იწყება მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.[192]

მეცნიერთა ერთი ნაწილი დღესაც დავობს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყო რეალურად ედუარდ შევარდნაძე — საბჭოთა ტიპის რეტროგრადი მმართველი თუ დემოკრატი ლიდერი. თუმცა მან მთელ რიგ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და საქართველოს სხვა პოლიტიკური წონა შესძინა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. შევარდნაძის ხელისუფლების დროს ინიცირდა სამოქალაქო კოდექსი, აიკრძალა სიკვდილით დასჯა და საფუძველი ჩაეყარა სისხლისსამართლებრივი რეფორმების დაწყებას. საქართველო გახდა ევროსაბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის წევრი სახელმწიფო და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსაც დაუახლოვდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ის, რომ შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის სატრანზიტო ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას.[193]

1998 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა — ედუარდ შევარდნაძემ, ჰეიდარ ალიევმა, სულეიმან დემირელმა, ნურსულთან ნაზარბაევმა და ისლამ კარიმოვმა ხელი მოაწერეს XX საუკუნის უდიდეს ინფრასტრუქტურულ პროექტს — 1768 კმ. სიგრძის ნავთობსადენის გაყვანის თაობაზე. შეხვედრას ასევე ესწრებოდა აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი ბილ რიჩარდსონი. BTC-ის, (Baku-Tbilisi-Jeyhan), რომელიც აზერბაიჯანის მესამე პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელს

---

[192] Ellena M. Exclusive: Inside the Kremlin as the Berlin Wall Fell. Eduard Shevardnadze details Kremlin reaction to fall of Berlin Wall. ABC NEWS. 2009. იხ. https://abcnews.go.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
The Washingon Post. Eduard Shevardnadze helped change the world. 2014. იხ. https://www.washingtonpost.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021

[193] ნეტგაზეთი. მითები და რეალობა ედუარდ შევარდნაძეზე, ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან. 2020. იხ. https://netgazeti.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ატარებს, საერთაშორისო პარტნიორებს შორის არაერთი მსხვილი კომპანია ფიგურირებს.[194]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი[195] ჩაკეტილ კასპიის ზღვასა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. იგი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენია მსოფლიოში. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნავთობსადენების ოპერირების შედეგად, საქართველოს ბიუჯეტი დაახლოებით 50 მილიონი დოლარით იზრდება. ამასთან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში ჩართული კომპანიები მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის სხვადასხვა პროექტს ახორციელებენ, რაც ნავთობსადენების მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს.[196]

პროექტის ინაუგურაცია 2006 წლის ივნისში თურქეთის პორტ ჯეიჰანში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის უკვე ფუნქციონირებდა დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (ბაქო-სუფსის მილსადენი), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედების შედეგად, მსოფლიო პოლიტიკურ ენერგორუკაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველომ და აზერბაიჯანმა. ამ უკანასკნელმა, როგორც ნავთობის მწარმოებელმა, ხოლო საქართველომ, როგორც აზერბაიჯანული ნავთობის რეალიზების მთავარმა სატრანზიტო ქვეყანამ.[197]

დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი BP (British Petroleum) უდიდესი ინვესტიციაა საქართველოში, რომელიც აზერბაიჯანის

---

[194] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. 2020. იხ. https://www.gogc.ge/ka, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[195] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. იხ. დანართი 2.
[196] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. ნავთობსადენები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი. 2020. იხ. http://energy.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[197] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.8-9.

დედაქალაქ ბაქოდან საქართველოს სოფელ სუფსამდე მოედინება. ნავთობსადენის მშენებლობა ადრეულ ეტაპზე აზერბაიჯანის საერთაშორისო ენერგოკომპანიამ დააფინანსა. იგი საქართველოში 1999 წლიდან ფუნქციონირებს და მისი სიგრძე 830 კილომეტრია (საქართველოზე გადის 375 კილომეტრი). ბაქო-სუფსის ტერმინალის ტევადობა ერთ მილიონ ბარელ ნავთობს შეადგენს.[198] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების ოპერირების შედეგად, საქართველო უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს იღებს. ასევე, მასში დასაქმებულნი არიან საქართველოს მოქალაქეები, რაც ერთიორად ზრდის პროექტების მნიშვნელობას ეკონომიკურ ჭრილში.

„ბაქო-თბილისი-ერზურუმის“ გაზსადენის (ასევე, ცნობილია, როგორც „სამხრეთ კავკასიის მილსადენი“ ან „შაჰ-დენიზის მილსადენი“)[199] მშენებლობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გასწვრივ, უფრო მოგვიანებით, 2006 წელს ჩაეყარა საფუძველი. 692 კმ. სიგრძის გაზსადენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს, როგორც კასპიის ზღვის ენერგორესურსების მთავარი სატრანზიტო ქვეყნის განსაკუთრებული ადგილი. დასაწყისშივე, საქართველოსთვის „სამხრეთ კავკასიის მილსადენს“ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან იგი აღიქმებოდა, როგორც რუსული ბუნებრივი აირის მონოპოლისტი კომპანია — „გაზპრომის“ ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსი, რომელიც საქართველოს რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას შეამცირებდა. მართლაც, 2007 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება რუსულ „ცისფერ საწვავზე“ საქართველოს დამოკიდებულება, რაც აზერბაიჯანის მიერ შემოთავაზებული კომფორტული ტარიფითაც აიხსნება. ზემოაღნიშნული პროექტიდან რუსეთის, ირანისა და სომხეთის გამორიცხვას ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა.

---

[198] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. ნავთობსადენები. დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი. 2020. იხ. http://energy.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[199] ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი. იხ. დანართი 3.

„სამხრეთის გაზის დერეფანი“[200] ევროკომისიის მიერ 2008 წელს ინიცირდა. 2009 წლის 9 მაისს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა სამიტი სახელწოდებით „სამხრეთის დერეფანი — ახალი აბრეშუმის გზა“, რომელიც ახალი მილსადენის გაყვანას მიეძღვნა.[201] ორი წლის შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და ევროკომისიის თავმჯდომარემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განხორციელებას.

გაზსადენი, რომლის სიგრძე 3500 კილომეტრია, აზერბაიჯანიდან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მიზნით, სამ ძირითად პროექტს მოიცავს: სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, ტრანს-ანატოლიის მილსადენი (TANAP)[202] და ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP).[203] აღნიშნული მილსადენები[204] აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს თურქეთისა და საბერძნეთის გავლით.[205]

2019 წლის 30 ნოემბერს თურქეთში, ედირნეს პროვინციაში, ოფიციალურად აღინიშნა TANAP-ის[206] პროექტის მშენებლობის დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მიიღო. „ამაყი ვარ, რომ მოთმინებითა და ძალისხმევით, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ერთობლივი შვიდ წელიწად-ნახევრიანი თანამშრომლობის გრძელი პერიოდი წარმატებით დასრულდა. პრეზიდენტ ალიევის პირადი

---

[200] იხ. დანართი 3.
[201] Czech Presidency of the European Union. Summit. "Southern Corridor — New Silk Road". Prague summit. May 2009. იხ. http://www.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[202] TANAP. The project the world is talking about. Project management Institute. 2020. იხ. https://www.tanap.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[203] TAP. Trans Adriatic Pipeline. Reliable transmission services. 2020. იხ. https://www.tap-ag.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[204] იხ. დანართი 4.
[205] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.10.
[206] TANAP — Trans-Anatolian gas pipeline. იხ. დანართი 4.

ძალისხმევითა და საქართველოს ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი ამ პროექტის დათქმულ ვადებში ასეთი წარმატებით დასრულება“ — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. პროექტის ღირებულება 10 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. TANAP-ის მილსადენი გაზრდის „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის“ წარმადობას, 7 მლრდ. კუბური მეტრის ბუნებრივ აირს 16 მლრდ. კუბურ მეტრამდე. 2023 წლისთვის გამტარუნარიანობის ზრდა დაგეგმილია 23 მილიარდი კუბური მეტრით, ხოლო 2026 წლისთვის — 31 მილიარდი კუბური მეტრით.[207]

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალური ენერგოუსაფრთხოება „საერთაშორისო ურთიერთობებისა და ზესახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს“.[208] ენერგოდერეფნის სრულფასოვანი ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი და სატრანზიტო ქვეყნებისთვის, ვინაიდან სატრანზიტო სივრცის ბლოკირება იმ სასიცოცხლო არტერიების „გადაკეტვას“ ნიშნავს, რომელზეც ჯაჭვურად არის გადაბმული თანამედროვე ენერგოპოლიტიკის მთლიანი ქსელი.

სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნების ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას ტერორიზმი წარმოადგენს. 2015 წლის 4 და 25 აგვისტოს თურქეთის ყარსის პროვინციაში ძლიერი აფეთქება მოხდა „სამხრეთ კავკასიის მილსადენის“ მონაკვეთზე. თურქეთის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქება ქურთთა მუშათა პარტიის ორგანიზებით

---

[207] საქართველოს პირველი არხი. რეჯეფ თაიფ ერდოღანი — განსაკუთრებული მადლობა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს, რომლებთან თანამშრომლობით TANAP-ის გაზსადენის ისტორიული პროექტი შედგა. 30 ნოემბერი. 2019. იხ. https://1tv.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[208] ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., — 2010, გვ. 127.

განხორციელდა და მასში გარე ძალები არ იყვნენ ჩარეულნი.[209] თუმცა განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა 2008 წლის 6 აგვისტოს თურქეთის ერზინჯანის პროვინციაში, ერთ-ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სადგურზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი თითქმის 20 დღე არ ფუნქციონირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ქურთისტანის მუშათა პარტიამ აიღო, 2014 წელს გავლენიანი გამოცემა „ბლუმბერგი", ამერიკული დაზვერვის სამსახურის თანამშრომლების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ თურქეთში 6 აგვისტოს აფეთქება დისტანციურად განხორციელდა და მასში რუსული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ.[210]

რუსეთის ფედერაცია, პირდაპირ თუ ირიბად, ეწინააღმდეგება თავისი „გავლენის სფეროში" მისგან დამოუკიდებელი ენერგოდერეფნების ფუნქციონირებას. მოსკოვი სასტიკად გმობდა საქართველოს გავლით, კასპიის ზღვის ბუნებრივი აირის ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირებას და მიიჩნევდა, რომ საქართველოსთვის ეს პროექტები წამგებიანი იქნებოდა. გარდა ამისა, რუსეთის პოლიტიკური ელიტა პოსტსაბჭოთა სივრცეში ნიჰილიზმს ნერგავდა. 2008 წლის აგვისტოს ომი ამის კლასიკური მაგალითია. რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ქვემო ქართლის რეგიონში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მახლობლად, რუსულმა თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს. რუსეთის დუმის მრჩეველმა, ალექსანდრე დუგინმა განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი „განადგურდა".[211] აგვისტოს ომის დროს დაზიანდა ბაქო-სუფსის მილსადენის გარკვეული მონაკვეთიც, თუმცა

---

[209] Karimova A. Baku-Tbilisi-Erzurum pipeline blasted again. AZERNEWS. 25 August, 2015. იხ. https://www.azernews.az, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[210] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.14.

[211] ფარულავა დ. აშშ-ის დაზვერვა ეჭვობს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი რუსეთმა ააფეთქა. ლიბერალი. 11 დეკემბერი, 2014. იხ. http://liberali.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

მილსადენმა მალევე ჩვეულ რეჟიმში განაგრძო ოპერირება და, ამ მხრივ, სერიოზული პრობლემა არ შექმნილა.[212]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან სამხრეთ კავკასია ნატოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. რასაკვირველია, ნატოს თავისი ინტერესები ჰქონდა რეგიონთან მიმართებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით, რეგიონის ევროპასთან სიახლოვითა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფით აიხსნებოდა. სამხრეთ კავკასია ესაზღვრება ნატოს წევრ ქვეყანას (თურქეთი) და მოიცავს ნატოს ასპირანტად დასახელებულ სახელმწიფოს (საქართველო).[213]

უფრო ფართო კონტექსტში თუ განვიხილავთ და ყოველივეს შავი ზღვის რეგიონის ჭრილში წარმოვიდგენთ, დესტაბილიზაცია კავკასიის რეგიონში სერიოზულ გავლენას ახდენს შავი ზღვის რეგიონზე, რაც, თავის მხრივ, ნატოს წევრი (რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი) და პარტნიორი (უკრაინა, საქართველო) ქვეყნებით არის შემოსაზღვრული.[214] შავი ზღვის რეგიონში ნატოს მთავარ გამოწვევას რუსეთი წარმოადგენს და ნატოს ლიდერებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ისინი სასტიკად გმობენ რუსული სამხედრო წარმომადგენლობის ზრდას აღნიშნულ რეგიონში.[215] ნატომ რუსეთიდან მომავალ საფრთხეებს საქართველოსთან უფრო დაახლოებითა და სომხეთსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნებით უპასუხა.

---

[212] კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.15.

[213] Hamilton R. NATO in the South Caucasus: Present on Duty of Missing in Action? Eurasia program. Foreign Policy Research Institute. 2017. იხ. https://www.fpri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[214] New Strategy Center. Centro Studi Internazionali, Militarization of the Black Sea and Eastern Mediterranean theatres. A new challenge to NATO. 2019, გვ.17. იხ. https://www.newstrategycenter.ro, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[215] Coffey L. Russia in the Black Sea. 2020. იხ. https://www.mei.edu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ნატოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1990-იანი წლებიდან მყარდება, როდესაც საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სამივე ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ფორუმებში, რომელსაც 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო ჩაენაცვლა. ალიანსთან ნდობის ჩამოყალიბების, ადაპტაციისა და თავსებადობის ამაღლების მიზნით, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ ისარგებლა პროგრამით — „პარტნიორობა მშვიდობისთვის". აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ გაემართათ სამხედრო წვრთნები, სამეთაურო-სასწავლო სწავლებები და ტრენინგები ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად. აღნიშნულმა, დიდი როლი შეასრულა ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში.[216]

ნატოსთან თავსებადობის ამაღლების მიზნით, 2002 წლის პრაღის სამიტით გადაწყდა, სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანასთან „პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის" (IPAP) შემუშავება, რომლის მეშვეობით საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს საშუალება მიეცათ მათთვის ინდივიდუალურად შემუშავებული პროგრამის საშუალებით, გაემყარებინათ უსაფრთხოება და გაეღრმავებინათ დემოკრატიზაციის პროცესი. ნატოს განსაკუთრებულ ინტერესს სამხრეთ კავკასიაში განაპირობებს ის, რომ რეგიონი გარშემორტყმულია სწორედ იმ სახელმწიფოებით, რომლებსაც აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ქვეყნის უმთავრეს ოპონენტებად ასახელებს. ეს ქვეყნებია რუსეთი და ირანი. რაც შეეხება თურქეთს, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა, არაერთგზის შეინიშნება ინტერესთა დაპირისპირება ერთი მხრივ, თურქეთსა და ნატოს სხვა წამყვან სახელმწიფოებს, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთსა და აშშ-ს შორის.

[216] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო-ნატოს ურთიერთობები. 2020.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ისეთი ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონში რუსეთის ფართო გავლენები, კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის კერები. ნატო სამხრეთ კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების უმთავრესი გარანტია, რომელიც სასიცოცხლო როლს თამაშობს რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაშიც. ნატოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეგიონში ენერგორესურსების ექსპორტიორი და სატრანზიტო ქვეყნების უსაფრთხოება და სტაბილურობა, რომელიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენების ინფრასტრუქტურულ უსაფრთხოებასაც მოიცავს, ვინაიდან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის არასტაბილურობა სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე სახელმწიფოებში პირდაპირ აისახება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოებაზეც.

უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კონტექსტში, ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების წვრთნებსა და გადამზადებას. 2001 წელს აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდგომი პერიოდიდან, ნატოს ეგიდით, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ჩართულია, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული ქვეყნების მზაობას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ზონაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი აქტიურად იყო ჩართული ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში. 1999 წელს სომხური და აზერბაიჯანული ძალები სომხურ-ბერძნული მისიის ფარგლებში, მონაწილეობდნენ კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR). 2002 წლიდან აზერბაიჯანი, თურქული კონტინგენტის ფარგლებში ასევე მონაწილეობს

ავღანეთის სამშვიდობო ძალებში. თურქეთმა, 2007 წლიდან, სამხედრო წარმომადგენლობა ავღანეთში, ფაქტობრივად, გააორმაგა.[217]

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით საქართველომ არაერთხელ დაადასტურა ნატოსთან თავსებადობის მაღალი ხარისხი და ღირსეულად დაიმკვიდრა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის საიმედო და ღირებული პარტნიორის სტატუსი. საქართველო ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში ჯერ კიდევ 1999 წელს ჩაერთო. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, კოსოვოს მისიის ფარგლებში, ჯერ თურქული, ხოლო 2003 წლიდან გერმანული სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობდნენ. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მისია კოსოვოში 2008 წელს უდანაკარგოდ დაასრულეს.

2004 წლის აგვისტოდან საქართველოს თავდაცვის ჯარები, ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში არიან წარმოდგენილნი, სადაც ქართულმა ქვედანაყოფებმა „თალიბებთან“ ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს. 2003-2008 წლებში 9000-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე, ამერიკის ეგიდით, მონაწილეობდა ერაყში განხორციელებულ საერთაშორისო მისიაში, რომელიც 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დასრულდა. ქართველმა ჯარისკაცებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და დასავლეთს შორის პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავებაში.[218]

2020 წლის 1-2 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ისევ ძალაშია და ორგანიზაციის კარი საქართველოსთვის ღიაა. ნატოს მინისტერიალზე

---

[217] Public diplomacy division. Partners in South Caucasus. Review paper. Brussels - 2007, გვ.3-6. იხ. https://www.nato.int, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[218] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2020. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

საქართველოსთვის განახლებული არსებული პაკეტი დამტკიცდა და მას კიდევ სამი მიმართულება დაემატა. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებები, რომლებიც ღიად გმობენ სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის აგრესიას და სოლიდარობას უცხადებენ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, სადაც რუსული სამშვიდობო კონტინგენტია განლაგებული.[219]

საგულისხმოა, ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაურის, გენერალ ბენ ჰოჯესის განცხადება. ჰოჯესის მიხედვით, საქართველო უკვე მზადაა ნატო-ში გასაწევრიანებლად და ქვეყანამ ყველა ქმედითი ბერკეტი უნდა გამოიყენოს აღნიშნული პროცესის დასაჩქარებლად. გენერალი აქცენტირებს საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რომელიც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ ჰაბს წარმოადგენს და მიიჩნევს, რომ ნატოსა და ვაშინგტონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამხედრო კონტინგენტის ზრდა საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, რუსეთიდან მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ამისათვის კი, საჭიროა, აშშ-ისა და ნატოს სამხედრო თანამშრომლობის ზრდა საქართველოსთან, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი აქტორია უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით და ცალსახად იმსახურებს დასავლეთის განსაკუთრებულ ყურადღებას.[220] როგორც ს. ჰამილტონი ამტკიცებს, ნატოში გაწევრიანების სურვილით

[219] NATO (North Atlantic Treaty Organisation). Meeting of NATO Ministers of Foreign Affairs — Brussels. 01-02 December 2020 (online event). იხ. https://www.nato.int, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

[220] FIRST CHANNEL. General Ben Hodges: We should extend an invitation to Georgia to immediately join NATO. 23 November, 2020. იხ. https://1tv.ge/en, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

EUROPE TIME. Ben Hodges: I'd like to see the USA increase its infrastructure in Georgia, especially to support rotational forces and strategic air lift. 11 November, 2020. იხ. https://europetime.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

განახორციელა საქართველომ უდიდესი რეფორმები და საპარლამენტო დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბდა.[221]

ნატო ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის თანამშრომლობასა და კოოპერაციას, რაც უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს. თითოეული ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად თანხმდება იმაზე, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ქართველები, რუსები და აზერბაიჯანელები გვერდიგვერდ იბრძოდნენ სირიასა და ერაყში ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ.[222]

ამრიგად, სამხრეთ კავკასია უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს ნატოსთვის, ვინაიდან, როგორც საქართველოზე, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანზე ღიად ვრცელდება რუსეთის გავლენა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცდაათი წლის შემდეგაც არ განელებულა. ბალტიისპირა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, რთული პოლიტიკური სურათია წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში. თუ ერთიანობისა და თანამშრომლობის სამაგალითო კონსოლიდაცია დაეხმარა ლატვიას, ლიეტუვასა და ესტონეთს წინააღმდეგობა გაეწიათ რუსეთისთვის და გამხდარიყვნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსი და პრიორიტეტი აქვს მთელ რიგ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით, რაც კიდევ უფრო რთულსა და ბუნდოვანს ხდის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციასა და საერთო მიზნისთვის გაერთიანების ყოველგვარ მცდელობას. რუსეთმა, 2008-2014 წლებში, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების მცდელობის საპასუხოდ, უკვე გამოიყენა პირდაპირი სამხედრო აგრესია მეზობელ ქვეყნებში და ამით დაანახა დასავლეთს, თუ რამდენად

---

[221] Hamilton R. NATO in the South Caucasus: Present on Duty of Missing in Action? Eurasia program. Foreign Policy Research Institute. 2017. იხ. https://www.fpri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[222] იქვე, Hamilton R. NATO in the South Caucasus: Present on Duty of Missing in Action? Eurasia program. Foreign Policy Research Institute. 2017.

მნიშვნელოვანია კრემლისთვის გავლენის სფეროების შენარჩუნება პოსტსაბჭოთა სივრცეში.

3.2. ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონში და საქართველოს მონაწილეობა „სამეზობლო პოლიტიკასა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამებში

სამხრეთ კავკასიის რეგიონით ევროკავშირი 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ინტერესდება. ორმხრივი ურთიერთობები ღრმავდება მას შემდეგ, რაც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში გრძელვადიანი სტრატეგიის მისაღწევად, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა და, ამ გზით, კიდევ ერთხელ დაადასტურა რეგიონის ქვეყნებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის მზაობა. ევროკავშირმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპული და დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (TACIS, ENP, EAP), მრავალმილიონიანი ფინანსური, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების პაკეტი დაამტკიცა. სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ევროკავშირის მიერ ინიცირებული „სამეზობლო პოლიტიკისა“ (2004 წ.) და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (2013 წ.) პროგრამები, რომელთა უმთავრეს ამოცანას ევროკავშირის „სამეზობლოში“ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყანა — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი პოლიტიკური ორიენტაციითა და მისწრაფებებით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ევროკავშირთან მჭიდრო, მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზაზე. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამავე ქვეყნების პირველი პირები და მაღალჩინოსნები, სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან (ეუთოს სამიტი, ამერიკულ-თურქული საბჭო, შავი ზღვისა და

ბალტიისპირეთის თანამშრომლობის სამიტი და ა.შ.) ღია განცხადებებს აკეთებდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის თაობაზე.[223]

ინიციატორებს შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი და სხვები.[224] ევროპული „სამეზობლო პოლიტიკის“ უმთავრეს მიზანს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში დემოკრატიის გაძლიერება, შიდა კონსოლიდაცია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ მშვიდობიანად მოგვარება წარმოადგენდა.

ეს უკანასკნელი კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც დასავლეთთან სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტური პოზიციის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის ფედერაციამ ჯერ მეზობელი ქვეყნების საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია მოახდინა, მოგვიანებით კი, საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ცხადია, რუსეთის რევიზიონისტულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარემოში.

ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკის“ ინიცირებიდან სამი წლის შემდეგ, 2007 წლის აპრილიდან, სამიზნე ქვეყნებთან რაციონალური თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, „სამეზობლო პოლიტიკის“ პროგრამის ბენეფიციარი სახელმწიფოები შეუერთდნენ ევროკავშირის ახალ ინიციატივას — „შავი ზღვის სინერგია“. ევროკავშირსა

[223] კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ., - 2006, გვ.78-79. იხ. http://old.ucss.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[224] იქვე, გვ.78-79.

და სხვა რეგიონული მოთამაშეების დაახლოების მიზნით, პროგრამაში რუსეთი და თურქეთიც გაწევრიანდნენ.[225]

შავი ზღვის რეგიონს, რომელშიც ევროკავშირი არა მარტო უშუალოდ შავი ზღვის ტერიტორიას, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსაც მოიაზრებს, ორგანიზაციისთვის ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. „ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებით განხორციელებაზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე გადის. რეგიონს ასევე უკავშირდება ევროპა-აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების გეგმებიც. თავის მხრივ, ფართო რეგიონი მზარდ ბაზარს ქმნის 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით და ბუნებრივად წარმოადგენს კომერციული ინტერესების საგანს“.[226]

ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოს ძალისხმევა, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შეუპოვრად ისწრაფვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და წარმატებით ახორციელებს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი, ცდილობს მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს ევროპის ქვეყნებთან, ვინაიდან ევროპულ ბაზარზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისთვის. მართალია, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები ევროკავშირთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ აღნიშნული არ გახლავთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების

[225] გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ., – 2018. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.
[226] იქვე.

რეალური გარანტი, ვინაიდან ევროკავშირში საბოლოო ინტეგრაცია საკმაოდ ხანგრძლივი, რთული და დროისმომცველი პროცესია.

2003 წლიდან ევროკავშირი საქართველოში აქტიური როლის თამაშს იწყებს, რაც, მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, განპირობებულია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში განხორციელებული დემოკრატიული ცვლილებებით. იმავე წელს ევროკავშირმა რეგიონში სპეციალური წარმომადგენელი გაგზავნა, რომლის უმთავრეს ამოცანას, მოახლოებული „სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში, რეგიონის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა და კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებაში წვლილის შეტანა წარმოადგენდა.

2004 წლის 14 ივნისს, თითქმის ორწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, საქართველო აქტიურად ჩაერთო „სამეზობლო პოლიტიკის“ პროგრამაში. 2006 წლის 14 ნოემბერს, ბრიუსელის მოლაპარაკებების შემდეგ, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და, მეორე მხრივ, ევროკომისიას შორის ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირს შორის ხელშეკრულებას ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ოფიციალურად მიიღეს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც ევროკომისია სამიზნე ქვეყნის მიერ მიღწეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებას აფასებს.[227]

რუსეთის სამხედრო აგრესიამ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ახალ, უმაღლეს ნიშნულამდე აიყვანა. ევროკავშირმა, რუსეთის შეკავების მიზნით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ იმ ქვეყნებთან, რომლებიც კრემლის „მსხვერპლთა სიაში“ შედიოდნენ, გადაწყვიტა ურთიერთობის კიდევ უფრო

[227] აკობია ე. საქართველო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რადარზე: ინსტრუმენტები და ინტერესები. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ., — 2009, გვ.22. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

გაღრმავება.[228] 2008 წლის ივნის-ივლისის თვეებში არაერთი ევროკომისარი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაცია ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა, როგორიცაა: ფინანსური კრიზისი და გლობალური დათბობა, მაგრამ აღნიშნული ნარატივი ერთმნიშვნელოვნად შეიცვალა იმავე წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების გენერალურმა დირექტორმა, ენეკო ლანდაბურემ, მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკა აიძულებს ევროგაერთიანებას ახალი ქმედითი ნაბიჯების გადადგმისა და მის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერებისკენ.

ეს მნიშვნელოვანი გზავნილი იყო მოსკოვისთვის, რომ ევროკავშირი მყარად იდგა მეზობელ ქვეყნებში უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების გზაზე და აქტიურად თანამშრომლობდა იმ ქვეყნებთან, რომლებიც მოსკოვის პერსპექტივიდან, რუსეთის ფედერაციის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა. მეორე მხრივ, რუსეთის ქმედებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიდი მოთამაშეები XXI საუკუნეშიც არ ერიდებიან ძალის დემონსტრირებას, თავიანთი საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელების გზაზე.

2008 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებული და გამოცემული დოკუმენტი „ძლიერი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, დეტალურად განსაზღვრავს ძირითად კრიტერიუმებს, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ევროპის „სამეზობლო პოლიტიკა“ გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნულის უმთავრეს პირობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის (მათ შორის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სამეცნიერო-კვლევითი, გარემოს დაცვის და სხვ.) გაღრმავება, მეტი ეკონომიკური

[228] Parliament UK. After Georgia. The EU and Russia. Follow-Up Report — European Union Committee Contents. Parliamentary business. 2009. იხ. https://publications.parliament.uk, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ინტეგრაცია, საქართველოს მოქალაქეებისთვის „შენგენის ზონაში“ მოკლევადიანი ვიზიტებისა და გრძელვადიანი ვიზების გაცემის გამარტივება წარმოადგენდა. 2007 წელს ევროკავშირის მიერ ინიცირებული „შავი ზღვის სინერგიის“ დოკუმენტი კი, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროგაერთიანება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებას.

სკეპტიკოსთა დიდი ნაწილის თვალსაზრისით, ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკა“ ვერ ჩამოყალიბდა ქმედით მექანიზმად იმ სახით, რა სახითაც იგი თავდაპირველად შეიქმნა ევროკომისიის მიერ. პროექტის უმთავრეს ამოცანას სამიზნე ქვეყნებში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა წარმოადგენდა, რომლის ერთგვარ წინაპირობად სამიზნე ქვეყნების დემოკრატიული განვითარება მოიაზრებოდა. თუმცა ევროკავშირი, ფაქტობრივად, უძლური აღმოჩნდა საგარეო საფრთხისა და კონფლიქტების თავიდან აცილების კუთხით, ვინაიდან მასში მესამე ძალა, რუსეთის ფედერაცია, იყო ჩართული.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთი მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, ის, პირდაპირ თუ ირიბად, ეწინააღმდეგებოდა რეგიონში ევროკავშირის ინტერესებს. ეს კი, ევროკავშირის მხრიდან, „სამეზობლო პოლიტიკაში“ წარმოდგენილ ქვეყნებში არა მარტო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და შიდა, ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ რეფორმებს, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უდიდეს ძალისხმევასა და საერთო ხედვას მოითხოვდა. „სამეზობლო პოლიტიკასთან“ დაკავშირებულმა გამოწვევებმა ევროკავშირი აიძულა სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის თანამშრომლობის ახალი ფორმატი შეემუშავებინა, რაც, „სამეზობლო პოლიტიკისგან“ განსხვავებით, უფრო ქმედითი, ეფექტიანი და მრავალფუნქციური აღმოჩნდებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში. სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის

ქვეყნებისთვის ევროკავშირმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატი შეიმუშავა, რომელმაც, რასაკვირველია, საქართველოც მოიცვა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ უნივერსალურ პოლიტიკურ ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის აღმოსავლელი მეზობლების კეთილდღეობასა და სტაბილურ განვითარებას. ფაქტობრივად, ეს არის განახლებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, შედეგზე ორიენტირებული მიზნებითა და ამოცანებით. ამრიგად, ახალი ფორმატი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მზარდ თანამშრომლობას ითვალისწინებს, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში.

2009 წლის პრაღის სამიტზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყანა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა) 2020 წლისთვის დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებაზე შეთანხმდა. საფუძველი ჩაეყარა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შექმნას. მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სწორედ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში შესთავაზა ევროკავშირმა პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ასოცირების ხელშეკრულების დადება.[229]

2015 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ექვს ქვეყანას შორის თანამშრომლობა ოთხ პრიორიტეტულ სფეროს დაეფუძნა. ესენია: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; გარემოსა და კლიმატის ცვლილებები;

[229] Eastern Partnership. Facts and figures about EU-Georgia relations. 2020. იხ. https://ec.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტიანობა, მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები. მხარეები ასევე შეთანხმდნენ თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.

რასაკვირველია, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“, განსაკუთრებულ აქცენტირებას აკეთებს შავი ზღვის რეგიონზე, ვინაიდან მასში გაერთიანებული ექვსი სახელმწიფოდან, ხუთი უშუალოდ შავი ზღვის რეგიონის ქვეყანას მიეკუთვნება, შავ ზღვას კი განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რადგან იგი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კარიბჭეს და საგარეო ურთიერთობების ასპექტში ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ უძველეს ბუნებრივ არტერიას წარმოადგენს. ამრიგად, გასაკვირი არ არის შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გავლენის ზრდა. რადგან აღნიშნული ფორმატი თანამშრომლობის უფრო მრავალფუნქციურ და მრავალმხრივ პლატფორმებს მოიცავს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის უფრო მაღალი დონისა და ამბიციის ჩარჩოს ქმნის, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინიციატივა.[230]

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკისგან“ განსხვავებით, აღმოსავლეთ პარტნიორობამ ევროკავშირს საშუალება მისცა, გარკვეული დიფერენციაცია მოეხდინა სამხრეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის და სამიზნე რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათთვის მორგებული პოლიტიკის ფარგლებში, ემოქმედა. თუმცა აღმოსავლეთ პარტნიორობა არ გავრცელდა რუსეთზე, ორი უმთავრესი ფაქტორის გათვალისწინებით: ჯერ კიდევ 2003 წელს, ევროკავშირის სურვილის მიუხედავად, რუსეთი არ ჩაერთო ორგანიზაციის „სამეზობლო პოლიტიკის“ ინიციატივაში. რუსეთის მიერ შემდგომში

[230] გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ., — 2018, გვ.8.

განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად, საერთაშორისო საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და განვითარების მკვეთრი რეგრესი, ადამიანის უფლებათა დარღვევა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სრული უგულებელყოფა. ყოველივე ზემოაღნიშნული, მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის მიზნებსა და ამოცანებს გრძელვადიან პერსპექტივაში, აქედან გამომდინარე, გამორიცხავდა ბრიუსელსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობის ყოველგვარ ფორმატს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ევროკავშირის როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პროცესებში, რომელიც ევროკავშირმა „სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში შეიმუშავა. ინიციატივის უმთავრესი დანიშნულება აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაა, რომელშიც უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს. ევროკავშირი მკაცრად გმობს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით და გამუდმებით მოუწოდებს მოსკოვს, პატივი სცეს სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავების პირველი დღეებიდან, ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობას და საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

ევროკავშირს (აშშ-ის, გაეროსა და ეუთოსთან ერთად) განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დასრულებასა და ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების გაფორმებაში, რაც ევროპული გაერთიანების იმდროინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის, უშუალო ძალისხმევით განხორციელდა. რ. ასმუსი

აღნიშნულ ფაქტს ევროპისა და აშშ-ის ერთგვარ ტრიუმფად მიიჩნევს და თვლის, რომ მათ, ერთობლივი ძალებით, ხელი უნდა შეუწყონ საქართველოს დემოკრატიზაციას.[231] ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირმა საქართველოს ფინანსური დახმარების სახით 650 მილიონ დოლარამდე გამოუყო და ისევ აქტიურად განაგრძო ქვეყნის მხარდაჭერა მრავალი მიმართულებით.

2008 წლის შემდგომ რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოში, მუშაობა დაიწყო „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ“ (EUMM European Union Monitoring Mission), რომლის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ მისიის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, ესენია: რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილება; კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა; რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა; ოკუპირებული რეგიონების გამყოფ ხაზზე დახმარებისა და მონიტორინგის განხორციელება. შექმნის დღიდან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია 24 საათის განმავლობაში პატრულირებს კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე.[232]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აშშ-ის, ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ინიციატივით შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი (GID), რომელიც საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენლებს აერთიანებს და წელიწადში მოლაპარაკებების

[231] Asmus R. A little war that shook the world: Georgia, Russia, and the future of the West. St. Martin's Press. 2010, p.234.
[232] EUMM — European Union Monitoring Mission. 2020. იხ. https://eumm.eu/en, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ოთხ რაუნდს მოიცავს. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ორიენტირებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეხვედრებზე ინტენსიურად განიხილება ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა: რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების სისტემატური რღვევა, მცოცავი ანექსია, ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნები; ასევე, პროვოკაცია და დეზინფორმაცია, რომელსაც რუსული მხარე გამუდმებით იყენებს ოკუპირებულ რეგიონებში და სხვ.[233]

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების დადებიდან,[234] რომლის ერთ-ერთი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (DCFTA). აღნიშნულით, ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ევროპის სანდო და საიმედო პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში და იმსახურებს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციით მიღებულ სარგებელს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოს ეკონომიკური განვითარება (სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო საწარმოები, სოფლის მეურნეობის მოდერნიზება და ა.შ.) და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება წარმოადგენს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ვიზალიბერალიზაცია, რომელიც ძალაში შევიდა 2017

---

[233] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. 2019. იხ. https://smr.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[234] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო აგრძელებს ევროკავშირთან გაფორმებული ამბიციური ასოცირების შეთანხმების შესრულებას. იხ. www.//mfa.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.05.2021.

წლის 28 მარტს შევიდა და საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში თავისუფლად გადაადგილების უფლებით უზრუნველყო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გლობალური გავრცელების შემდგომი გამოწვევები, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელოვნად შეცვალა. ევროკავშირმა მოახდინა მყისიერი რეაგირება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში სამი პოსტსაბჭოთა (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა), ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრ. აფრიკის ქვეყნებისთვის, 3 მილიარდი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარების პაკეტის გამოყო.[235] მათ შორის, კონკრეტულად საქართველოსთვის, 150 მილიონ ევროზე მეტი გამოიყო, რომელიც ჯანდაცვის სექტორისა და გადაუდებელი საჭიროებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და დაუცველი ჯგუფების, მცირე და საშუალო ბიზნესის, მცირე საწარმოების მხარდაჭერასა და ქვეყნის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ აღდგენას მოხმარდა.[236]

ამრიგად, „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ უმთავრეს მიზანსა და ამოცანას პოსტსაბჭოთა სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება, დემოკრატიის გაძლიერება, ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენდა. ევროკავშირმა განსაკუთრებით გააძლიერა დიპლომატიური წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში 2000-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთის ფედერაციის მიერ იმპერიალისტური ამბიციების რეალიზების მცდელობის საპასუხოდ. აღნიშნული მოვლენების ერთგვარი აპოგეა გახლდათ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და მის მიერვე აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“

[235] იხ. დანართი 10.

[236] Eastern Partnership. Facts and figures about EU-Georgia relations. 2020. იხ. https://ec.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, რასაც ცივილიზებული სამყარო დღემდე მკაცრად გმობს.

ასევე, აღნიშვნის ღირსია, საქართველოში ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის ძალისხმევა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის კუთხით. ჰარცელმა, საქართველოში აშშ-ის ელჩ კელი დეგნანთან ერთად, დაპირისპირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ფასილიტატორის როლი შეასრულა, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებში, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა პოლიტიკური პროცესები პარლამენტიდან ქუჩაში გადაიტანა და საზოგადოების პოლარიზაცია გამოიწვია. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პლურალისტურ, მრავალპარტიულ და კონკურენტულ საკანონმდებლო ორგანოს საქართველოში, დაგმო ქუჩის პროტესტი და მხარეებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა.

აღნიშნული მიზნით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი და მისი ოფიციალური წარმომადგენელი, კრისტიან დანიელსონიც, საქართველოს არაერთხელ ეწვივნენ. მათ თხოვნით მიმართეს ყველა პოლიტიკურ პარტიას, ესარგებლათ ხალხის მიერ მინიჭებული მანდატებითა და ერთობლივი ძალებით ხელი შეეწყოთ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. 2021 წლის 19 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, სწორედ ევროკავშირისა და აშშ-ის უდიდესი ძალისხმევით, ხელი მოეწერა ისტორიულ ხელშეკრულებას, რომელმაც საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი.

3.3. ჩინეთის გლობალური პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ და საქართველო

2000-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთი არნახული ეკონომიკური განვითარების გზას დაადგა, რაზეც მეტყველებს ფაქტი, რომ XXI საუკუნის უდიდესი ეკონომიკური პროექტი ინიცირებულია სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ.[237] 2013 წელს ქვეყნის პირველი პირის, სი ძინპინის, მიერ გამოცხადებული გლობალური ინიციატივა, „ერთი გზა-ერთი სარტყელი“, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლისა“ და „XXI საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ შემოკლებული სახელწოდებაა.[238] იგი აზია-წყნარ ოკეანეს, ევროპას, ცენტრალურ აზიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, დასავლეთ აზიასა და აფრიკას მოიცავს — 100-ზე მეტი ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვადასხვა ეკონომიკური აქტორის ჩართულობით. პროექტის ძირითადი მონაწილე ქვეყნები არიან: ჩინეთი, მონღოლეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, პოლონეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ირანი და ინდოეთი.[239]

სი ძინპინის გლობალური ინიციატივა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ჩინეთმა „საბოლოოდ გადაუხვია“ ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიროვნების, არაერთი გრანდიოზული რეფორმის ინიციატორის, დენ სიაო პინის, საგარეო პოლიტიკურ კურსს, რაც ქვეყნის განვითარების უმთავრეს პირობად სხვა ერებისგან ერთგვარ იზოლაციონიზმს მიიჩნევდა. მისი თვალსაზრისით, ჩინეთი ნაკლებად უნდა ჩარეულიყო „სარისკო საქმეებში“ და კონცენტრირებულიყო მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივ გაძლიერებაზე. მაშინ, როდესაც ანალიტიკურ წრეებში ინტერესთა დაპირისპირება შეინიშნება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ განზომილებაშია მოქცეული „ერთი გზა — ერთი სარტყლის“

[237] ჩიტაძე ნ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ.დანართი 15)
[238] Sarker, M.N.I., Hossin, M.A., Yin, X. and Sarkar, M.K. One Belt One Road initiative of China: Implication for future of global development. Modern Economy. 2018, 9(4), pp.623-624.
[239] იხ. დანართი 12.

პროექტი — ეკონომიკურში თუ გეოპოლიტიკურში, სი ძინპინს უკვე მიანიჭეს ჩინეთის გამოჩენილი ლიდერის ტიტული მაო ძედუნის, დენ სიაო პინისა და ჯან-ძემინის გვერდით.[240]

„ერთი გზა — ერთი სარტყელი“, რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი „ჩინეთის მარშალის გეგმასაც“ კი უწოდებს, მიზნად ისახავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სტაბილური ზონების შექმნას, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებასა და ევრაზიის კონტინენტზე ძალთა ბალანსის ახალი სტრატეგიის დამკვიდრებას, რომელშიც მშვიდობისა და კეთილდღეობის უმთავრესი გარანტი სწორედ ჩინეთი გახდება.[241] პროექტს რეალურად შეუძლია ფუნდამენტურად „შეცვალოს გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი. იგი „მსოფლიო ფაბრიკიდან“ იქცევა ტექნიკისა და ტექნოლოგიების ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად, „მსოფლიო სავაჭრო ცენტრად“ და ცენტრალური ელექტრონული ვაჭრობის მთავარ ჰაბად.“[242] ჩინეთმა 50 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალდაბანდებით უკვე გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება 50-მდე ქვეყანასთან.

დასაწყისშივე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერმინი „აბრეშუმის გზა“ XIX საუკუნის გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენს ეკუთვნის, რომელიც მკვლევარმა თავის ნაშრომებში პირველად 1877 წელს გამოიყენა. 1868-1872 წლებში რიხტჰოფენმა ჩინეთში შვიდჯერ იმოგზაურა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩინური კულტურისა და ტრადიციის კვლევების საკითხებში. თუმცა ისტორიულად უძველესი „აბრეშუმის დიდი გზის“ საწყის ეტაპად ძვ. წ.-ით II საუკუნე

---

[240] მამრაძე პ. ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ („ესეგ“) და საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა. გლობალური კვლევების ცენტრი. 9 ივლისი, 2017. იხ. http://globalresearch.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[241] Sarker, M.N., Hossin, M.A., Yin, X. and Sarkar, M.K. One Belt One Road initiative of China: Implication for future of global development. Modern Economy. 2018, 9(4), pp.633-634.

[242] არუშიძე პ. ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი — 2018, გვ. 37. იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

მიიჩნევა. ეს იყო ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ანტიკურ ჩინეთს ორი განშტოებით — შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა.

ჩვ. წ.-ით 130 წელს ხანის დინასტიის იმპერატორ ვუს მმართველობის პერიოდში „აბრეშუმის გზამ“ განვითარების ზენიტს მიაღწია. მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი (და არა მარტო აბრეშუმი) დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიზანტიასა და პართიაში (სასანიანთა ირანი). აბრეშუმის გზის იმ მონაკვეთის კონტროლისთვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთზე გადიოდა, ერთმანეთს სასტიკად უპირისპირდებოდნენ არა მარტო ბიზანტია და პართია, არამედ არაბები (VII საუკუნიდან) და მონღოლებიც.

1453 წლიდან, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის იმპერია), ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობის შემდგომი პერიოდიდან, „აბრეშუმის გზა“ თანდათან კარგავს მნიშვნელობას. გვიანდელ შუასაუკუნეებში მიმდინარე ცვლილებების ძლიერმა ტალღამ „აბრეშუმის გზის“ აქტუალურობა კიდევ უფრო შეამცირა. კაცობრიობის ისტორიაში იწყება „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ სახელწოდებით ცნობილი უდიდესი ეპოქა, როდესაც ევროპელებმა (უპირველეს ყოვლისა, პორტუგალიელებმა და ესპანელებმა), აფრიკის შემოვლით, ახალი საოკეანო გზების ათვისება დაიწყეს. ამ მოვლენების ერთგვარი პროდუქტი კოლონიალიზმი გახლდათ.

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს წამყვანმა მოთამაშეებმა არაერთი პროექტი წარმოადგინეს, „აბრეშუმის გზის“ ხელახალი აღდგენის მიზნით, რომლის ნაწილად საქართველო, თავის ბუნებრივ მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, უპირობოდ მოიაზრებოდა. მათ შორის, აღსანიშნავია — 1993 წელს ევროკავშირის მიერ

ინიცირებული „ევროპა-კავკასია-აზიის“ (TRACECA)[243] სატრანსპორტო დერეფანი, 1996 წელს ინიცირებული ინოგეიტი (INOGATE)[244] 1999 წელს აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული „აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტი“,[245] 2011 წელს აშშ-ის მიერ მიღებული „ახალი კავკასიის გზის“ ინიციატივა, 2013 წელს სამხრეთ კორეის მიერ შემოთავაზებული „სამხრეთ კორეის ევრაზიის“ ინიციატივა და სხვ.[246]

ყველაზე რეზონანსული ჩინეთის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა აღმოჩნდა, რომელიც რადიკალურად ცვლის ეკონომიკურ ძალთა ბალანსს ევრაზიის კონტინენტზე. ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ცვლილებების ნაწილი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი და, მაშასადამე, საქართველოც ხდება.

ეკონომიკური სარტყლის ძირითადი მიმართულებებია:

- ჩრდილოეთი (ჩინეთი — ცენტრალური აზია — რუსეთი — ევროპა (ბალტიის ზღვამდე);
- ცენტრალური (ჩინეთი — ცენტრალური და დასავლეთ აზია — სპარსეთის ყურე — ხმელთაშუა ზღვა);
- სამხრეთი (ჩინეთი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია — სამხრეთი აზია — ინდოეთის ოკეანე).

საზღვაო “აბრეშუმის გზის“ ძირითადი მიმართულებებია:

---

[243] TRACECA. Transport Corridor Europe Caucasus Asia. Asia Regional Integration Center. 2019-2020. იხ. https://aric.adb.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[244] INOGATE. Regional energy cooperation program between the European Union and 11 partner coutries in Eastern Europe, Caucasus and Central Asia. EU-2020. იხ. http://www.inogate.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[245] CONGRESS. GOV. H.R.1152 — Silk Road Strategy Act of 1999. იხ. https://www.congress.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[246] ვეკუა კ. ევროკავშირი და ერთი სარტყელი — ერთი გზის ინიციატივა მშვიდობის მეცნიერებების პერსპექტივიდან. თბ., — 2018, გვ.3-4.

- ჩინეთის ნავსადგურებიდან, სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით, წყნარი ოკეანის სამხრეთი აკვატორია;

- ჩინეთის ნავსადგურებიდან, სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით, ინდოეთის ოკეანემდე; ინდოეთის ოკეანიდან ევროპის მიმართულებით.[247]

თავიდანვე, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ პროექტი ექვს ძირითად მიმართულებას ითვალისწინებდა. ესენია: „ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი“, „ჩინეთ-მონღოლეთ-რუსეთის ეკონომიკური დერეფანი“, ცენტრალური აზია — დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფანი“, „ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ეკონომიკური დერეფანი“, „ჩინეთ-პაკისტანის ეკონომიკური დერეფანი“ და ბანგლადეშ-ჩინეთ-ინდოეთ-მიანმარის ეკონომიკური დერეფანი.“[248]

მათ შორის, „კავკასიური ტანდემის“, საქართველო — აზერბაიჯანის მონაკვეთი, ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკურ დერეფანშია წარმოდგენილი. მეორე მხრივ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია ბაქო-თბილისი-ყარსის[249] 826 კილომეტრ სიგრძის რკინიგზა, რომელიც ოფიციალურად 2017 წლის 30 ოქტომბერს გაიხსნა. მას უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და დიდ როლს ასრულებს „ერთი სარტყელი-ერთი გზის“ ფუნქციონირებაშიც.[250] იგი ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო უშუალოდ პროექტში ჩართულ ქვეყნებს, არამედ უზრუნველყოფს აზიიდან ევროპაში ტვირთების გადატანას. ივარაუდება, რომ 2034 წლისთვის, რკინიგზის საშუალებით, 17 მილიონი ტონა ტვირთის

---

[247] არუშიძე პ. ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი — 2018, გვ. 37. იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[248] პაპავა ვ. “ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. ექსპერტის აზრი. თბ., —2017, გვ.4. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[249] ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. იხ. დანართი 5.

[250] ჩიტაძე ნ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აგვისტოში (იხ. დანართი 15).

გადატანა გახდება შესაძლებელი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სამეცნიერო წრეებში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა „რკინის აბრეშუმის გზის“ სახელწოდებითაც მოიხსენიება.[251]

თუ შევადარებთ ევროპა-კავკასია-აზიის (ტრასეკა) სატრანსპორტო დერეფანს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ — „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის“ ეკონომიკურ დერეფანს, ვხედავთ, რომ ხსენებულ პროექტებს შორის რამდენიმე ფუნდამენტური განსხვავება შეინიშნება. გარდა იმისა, რომ „ევროპა-კავკასია-აზიის“ პროექტი ინიცირებულია დასავლეთის, კერძოდ კი, ევროკავშირის მიერ, ხოლო „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფანი აღმოსავლეთის, კერძოდ კი, ჩინეთის მიერ. თვალსაჩინოა ისიც, რომ პირველი პროექტი, გამოკვეთილად სატრანსპორტო დანიშნულებისაა, მეორე — უფრო მასშტაბური და მრავალფუნქციურია, ვინაიდან იგი წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და ეკონომიკის გარდა, სხვა მრავალ სფეროსაც აერთიანებს. ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან, სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში ფართოდ დამკვიდრდა მოსაზრება, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია, საბოლოო ჯამში, „კომპლექსურ ეკონომიკურ პროექტში გადაიზრდებოდა, და ხელს შეუწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას.“[252]

საგულისხმოა ისიც, რომ ჩინეთსა და იაპონიას პრინციპული ეკონომიკური მეტოქეობა აკავშირებთ, ინდოეთის პროექტში ჩართვას კი, ქაშმირის კონფლიქტი აფერხებს. ამასთან, ინიციატივის განხორციელების ერთ-ერთ გამოკვეთილ მოწინააღმდეგეს აშშ წარმოადგენს, რომლის საგარეო უსაფრთხოების სტრატეგიაში ჩინეთი, რუსეთი და ირანი უმთავრეს მეტოქეებად არიან დასახელებულნი, ხოლო ოფიციალური

[251] Papava V. On the Role of the “Caucasian Tandem” in GUAM. Central Asia and the Caucasus, 2008, 3-4 (51-52), გვ.47.

[252] პაპავა ვ. „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. ექსპერტის აზრი. თბ., — 2017, გვ.5. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

პეკინი, მოსკოვი და თეირანი ანტი-ამერიკული ნარატივის ტირაჟირებით, დასავლური ინსტიტუტების დემონიზებითა და საყოველთაო ნიჰილიზმის დაანერგვით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენენ.

მოსკოვს სურს გავლენის შენარჩუნება ცენტრალურ კავკასიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამასთან, ვინაიდან „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის“ ეკონომიკური დერეფანი არ გადის უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე, მოსკოვის ინტერესებში არ შედის აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება. „ერთი გზა — ერთი სარტყლის“ ინიციატივის საპირწონედ, რუსეთმა, 2016 წელს, ახალი პროექტის — „დიდი ევრაზიული თანამშრომლობის“ ინიციატივა წამოაყენა, რომელიც „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის“ ერთგვარი გაგრძელებაა.

„დიდი ევრაზიული თანამშრომლობის“ ინიციატივა ბევრად მასშტაბური და ამბიციური ჩანაფიქრია, რომელიც რუსეთის მოკავშირე ქვეყნებთან ერთად, მსოფლიო პოლიტიკის ისეთი დომინანტი აქტორების ჩართულობასაც მოიცავს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ირანი და თურქეთი.[253] რუსეთის პოზიციიდან, ქვეყნების ასეთი კონფიგურაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისგან მომავალი „საფრთხეების დასაბალანსებლად.“[254]

რუსეთის პერსპექტივიდან, „დიდი ევრაზიული თანამშრომლობა“, არა მარტო გლობალური მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტია, არამედ იგი ღრმა გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ხასიათსაც ატარებს, ვინაიდან რუსეთისთვის ყოველთვის განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ევრაზიის კონტინენტზე დომინირებას. ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ნიკოლას სფიქმენი თავის წიგნში „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში“

---

[253] Nurgaliyeva L. Kazakhstan's economic soft balancing policy vis-à-vis Russia: From the Eurasian Union to the economic cooperation with Turkey. Journal of Eurasian Studies, 7(1). 2016, გვ.93-96. იხ. https://journals.sagepub.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[254] Караганов С. С Востока на Запад, или Большая Евразия. Россия активно закрепляется на растущих рынках Азии. 2016, 24. 10. იხ. https://rg.ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ამტკიცებდა, რომ ევრაზიას, ბალტიის ზღვიდან მოყოლებული ბერინგის ზღვების ჩათვლით, ეწოდება ევრაზიული „რიმლენდი“, რომელიც მსოფლიო ბატონობის ქვაკუთხედია. სფიქმენმა გეოპოლიტიკის მაკინდერისეული თეზისები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ვინც დომინირებს „რიმლენდზე“, მბრძანებლობს მთელს ევრაზიაზე, ვინც მბრძანებლობს ევრაზიაზე, მას ხელში მსოფლიოს ბედი უპყრია.“[255] თავისთავად ცხადია ისიც, რომ მოსკოვი ევრაზიულ განზომილებაში არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეს, არამედ ჩინეთსა და ინდოეთსაც მოიაზრებს.[256]

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვისა და პეკინის ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება, ისინი მაინც ინარჩუნებენ თანამშრომლურ ურთიერთობებს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი არც იმას გამორიცხავს, რომ რუსეთისა და ჩინეთის დაახლოება „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლისა“ და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ ერთმანეთთან შერწყმის საფუძველს იძლევა. მეცნიერთა ამ ნაწილის თვალსაზრისით, „ჩინური ევრაზიიზმი“ ჯერჯერობით არ შეინიშნება.[257] განსაკუთრებით საინტერესოა ჩინური პროექტის თეორიულ ჭრილში განხილვა. არსებობს მოსაზრება, რომ 2000-იანი წლებიდან, ჩინეთის რესპუბლიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა კონფუცის ეთიკურ-პოლიტიკურ მოძღვრებაზეა აგებული. კონფუცის ძირითადი შეხედულებები, პოსტულატები და ფილოსოფიური სწავლებები დაფუძნებული იყო იდეაზე, რომ მხოლოდ მორალსა და ზნეობაზე, არაძალისმიერ და სამართლებრივ მეთოდებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს შეეძლო სახელმწიფოებს შორის მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება. იგი ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანია არა

---

[255] გორგილაძე ი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გამომც. უნივერსალი. თბ., - 2009, გვ.36. იხ. https://taxuna.files.wordpress.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[256] Ziguo L. The Greater Eurasian Partnership: Remodeling the Eurasian Order. China Int'l Stud. 63. 2017, p.47.

[257] Ghiasy R., and Zhou, J. The Silk Road Economic Belt: Considering Security Implications and EU-China Cooperation Prospects. Sweden and Germany, SIPRI & Friedrich Ebert Stiftung. 2017.

მარტო საკუთარი ერის, არამედ მსოფლიო ხალხთა კეთილდღეობისთვის ზრუნვა. კონფუცის შეხედულებით, საზოგადოებრივი წესრიგი ემყარება მხოლოდ მორალის საფუძვლებს და ჭეშმარიტი, წმინდა ადამიანური ურთიერთობები, კაცთა შორის ჰუმანიზმით, სიყვარულითა და პატივისცემით მიიღწევა.

ამრიგად, მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში კონფუციანიზმის კვალს ხედავს, ავითარებს მოსაზრებას, რომ პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ სწორედ კონფუცის შთაგონებებზე აგებული თეზისების ერთგვარი ნაზავია, რომლის უმთავრეს მიზანს სტაბილურ, ჰარმონიულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე დაფუძნებული, მშვიდობანი მსოფლიოს ჩამოყალიბება წარმოადგენს. მკვლევართა ეს ნაწილი უგულებელყოფს „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას“, რომელიც XX საუკუნეში ნ. ენჯელმა ჩამოაყალიბა თავის „დიდ ილუზიაში“, ხოლო მოგვიანებით იგი ჯ. ნაიმ და რ. კიოჰეინმა განავითარეს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი თეორია.[258] ნაი და კიოჰეინი ასკვნიან, რომ, როდესაც იზრდება ეკონომიკური ძალთა ბალანსი წამყვან სახელმწიფოებს შორის, ეს კონფრონტაციის მიზეზი უფრო შეიძლება გახდეს, ვიდრე თანამშრომლობისა და კოჰაბიტაციის.[259]

ჩინეთის საკითხების მკვლევართა მეორე ნაწილი უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ ჩინეთის მძლავრი ეკონომიკური აღმავლობა XXI საუკუნეში ცალსახად უარყოფით პრიზმაში განიხილება, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნის არა მარტო ევრაზიის კონტინენტს, არამედ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს. მეცნიერთა ამ ნაწილის მიხედვით, კაცობრიობა უკვე დგას ჩინური იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე, რომელიც ამჟამინდელ ჰეგემონს — აშშ-სა და მის უნივერსალურ ღირებულებებს

[258] Keohane R. and Joseph N. Power and Interdependence. Longman 2nd Edition. University of Harward. 1989, p.30-32.

[259] გვალია გ. ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების მომავალი: კონფლიქტი თუ თანამშრომლობა. იხ. http://eprints.iliauni.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

უქმნის საფრთხეს. პეკინის აღზევების ნათელი მაგალითი მისი ამბიციური გეოპოლიტიკური პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელია“, რომელიც ჩინეთის ჰეგემონიას წამოსწევს.[260] აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს თურქი მეცნიერი ა. ეროლი და თვლის, რომ „ერთი გზა-ერთი სარტყლის“ განხორციელებით „ჩინური კულტურა ერთგვარ ჰეგემონიას შექმნის მსოფლიოში“.[261]

„აბრეშუმის გზის“ ინიციატივას საქართველო 2015 წლის 9 მარტს შეუერთდა, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ახალი აბრეშუმის გზის მემორანდუმს. აღნიშნული დოკუმენტით საფუძველი ჩაეყარა ჩინეთსა და საქართველოს შორის ახალი ტიპის თანამშრომლობას ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჩინური ინვესტიციები საქართველოში. თბილისში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება აბრეშუმის გზისადმი მიძღვნილი მასშტაბური ფორუმი, რომელშიც საქართველოს, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, ასობით წამყვანი ეკონომისტი, პოლიტიკოსი და ჟურნალისტი იღებს მონაწილეობას. პირველი ფორუმი საქართველოს პრემიერ მინისტრისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანაორგანიზებით გაიმართა და მას შემდეგ იგი დიდ როლს თამაშობს პროექტის „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ განვითარებასა და პოპულარიზაციაში კავკასიის რეგიონში.[262]

პ. მამრაძის მოსაზრებით, ჩინურ პროექტში საქართველოს ჩართულობით, ქვეყანა უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთიდან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით,

---

[260] Allison G. Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap? Houghton Mifflin Harcourt. 2017.

[261] ეროლი ა. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 19)

[262] ჭარაია ვ., ანგურიძე ო., და სხვ. ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში. არასამთავრობო ორგანიზაცია „სექტორი 3“. თბ., — 2020, გვ. 7. იხ. https://sector3.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

რომელიც შესაძლებელია, საქართველოსთვის უნიკალურ შესაძლებლობად იქცეს ყველა იმ შესაძლებლობებს შორის, რაც ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჰქონია. ექსპერტი ასკვნის, რომ საქართველოს მთავრობას უდიდესი ძალისხმევა მართებს ჩინეთთან უფრო ახლო, მჭიდრო და პარტნიორული ურთიერთობის დამყარების კუთხით და ამისთვის აქტიურად უნდა გამოიყენოს ე. წ. „რბილი ძალაც“.[263]

მეცნიერს მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, რომ საქართველოზე გადიოდა უძველესი „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი განშტოება და საქართველოს, ისტორიულად, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს უძველეს ცივილიზაციებთან, მათ შორის ჩინეთთან. XIII-XIV საუკუნეების უდიდესმა ვენეციელმა ვაჭარმა, რომელმაც სწორედ აბრეშუმის გზით გავლით ჩინეთს მიაღწია, საქართველოც გამოიარა. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ჩინეთის პრეზიდენტის დენ სიაო პინის ორმხრივ ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. აღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ჩინეთის დახმარებით აშენებული ჰესი საქართველოში.[264]

ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელზეც მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბერში დაიწყო, აქტიურ ფაზაში 2018 წლიდან შევიდა.[265] ამრიგად, საქართველო გახდა რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელსაც ერთდროულად აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, როგორც ჩინეთთან, ისე ევროკავშირთან. დღეს ჩინეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა

---

[263] მამრაძე პ. ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ („ესეგ“) და საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა. გლობალური კვლევების ცენტრი. 9 ივლისი, 2017. იხ. http://globalresearch.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[264] იქვე.

[265] ჭარაია ვ., ანგურიძე ო., და სხვ. ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში. არასამთავრობო ორგანიზაცია „სექტორი 3“. თბ., — 2020. იხ. https://sector3.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

სამეულში შედის და ჩინეთის 1.4 მილიარდიან ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტირება განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსთვის.[266]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ჩინეთი შედარებით ახალი ბაზარია, ქვეყანაში ქართულ პროდუქტზე მოთხოვნა მზარდი დინამიკით ხასიათდება. ქართველ მწარმოებლებს ჩინეთში შეაქვთ: ღვინო, მინერალური სასმელი, თხილი, ზღვის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, თაფლი, ჩაი, პლასტმასის პროდუქცია და სხვ. ჩინეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქართული ღვინო. 2018 წლიდან 30-ზე მეტი ჩინური კომპანია უკვე აქტიურად მუშაობს ქართულ მხარესთან და უზრუნველყოფს სანდოობის მაღალ ხარისხს.[267]

ამრიგად, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყლის“ განხორციელებას, ვინაიდან, აღნიშნული პროექტის რეალიზებით, ქვეყანას კიდევ ერთი უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა, გახდეს ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დამაკავშირებელი ჰაბი და ისარგებლოს ამ გზით მიღებული ეკონომიკური სარგებლით.[268] საქართველოს უკვე აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან.

აღნიშნულ პრიზმაში, განსაკუთრებით საყურადღებოა „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“ მშენებლობა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების

---

[266] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები). იხ. https://www.geostat.ge, იხ. დანართი 6.

[267] ჭარაია ვ., ანგურიძე ო., და სხვ. ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში. არასამთავრობო ორგანიზაცია „სექტორი 3“. თბ., — 2020, გვ. 20-21. იხ. https://sector3.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
არუშიძე პ. ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი — 2018, გვ.41. იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[268] მაისაია ვ. ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ.დანართი 14).

უზრუნველყოფისა და საერთაშორისო არენაზე სანდოობის თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მართალია, „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ განმახორციელებელ ქვეყნებს შორის უშუალოდ საქართველო არ მოიაზრება, მაგრამ პროექტის რუკაზე აღნიშნულია „საქართველოში მშენებარე ღრმაწყლოვანი პორტი — ანაკლია“. ჩინური პროექტის თანახმად, სწორედ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს გამოიყენებენ სატრანზიტო გადაზიდვებისთვის.

3.4.საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის თავისებურებები რეგიონულ და გლობალურ ჭრილში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. მეზობელ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის 21 მაისს, იწყება და წარმატებით ვითარდება სტრატეგიული თანამშრომლობის სამივე სფეროში (პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-ჰუმანიტარული).[269]

თურქეთი საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორია და მეზობელ ქვეყნებს შორის მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და თურქეთს შორის ვაჭრობის, ენერგეტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობა, რასაც არა მარტო რეგიონული, არამედ გლობალური ხასიათი აქვს. საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა ისეთი უდიდესი მნიშვნელობის მქონე პროექტები, როგორიცაა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი და ბაქო-თბილისი ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. აღნიშნულმა პროექტებმა მნიშვნელოვნად შეცვალა და თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ფორმატები.[270]

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც 2020 წლის 4 დეკემბრიდან უკვე

---

[269] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები). იხ. https://www.geostat.ge, ასევე, იხ. დანართი 8.

[270] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. დიპლომატიური ურთიერთობების ქრონოლოგია. იხ. https://mfa.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
Vindimian M. Evolution of Turkish Foreign Policy towards Georgia. Universitäts-und Landesbibliothek Sachsen-Anhalt. 2010, გვ.3.

რევერსულ რეჟიმში ამოქმედდა და ისტორიაში პირველად, საქართველოს გავლით, თურქეთიდან ჩინეთში საექსპორტო ტვირთის ტრანსპორტირება უზრუნველყო. თურქეთის ქალაქ სტამბოლიდან ჩინეთის სიანის პროვინციაში 42-ვაგონიანი მატარებელი 8700 კილომეტრს 12 დღეში ფარავს და 7 ქვეყნის ტერიტორიას გაივლის. ეს კი, თავის მხრივ, პროექტში ჩართულ ქვეყნებს უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს აძლევს და ევროპასა და აზიას შორის გლობალური ვაჭრობის ახალ, უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის.

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და საიმედო რეგიონული პარტნიორია, რომელიც ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნის გრძელვადიან მშვიდობასა და სტაბილურობას და ღიად გამოხატავს საქართველოს მხარდაჭერას ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით. ანკარა იზიარებს აშშ-ისა და ევროკავშირის პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტთან მიმართებით და გმობს რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსს საქართველოში. თურქეთს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისა თუ ქართული არმიის მშენებლობის საქმეში. თურქეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა საქართველოს 2001 წელს 11 სექტემბრის მოვლენების შემდგომ პერიოდში, როდესაც რუსეთის ფედერაციამ პირდაპირ დაადანაშაულა საქართველოს მთავრობა, პანკისის ხეობაში, ჩეჩენი ტერორისტული ორგანიზაციების მფარველობაში.

სამართლიანობისთვის მნიშვნელოვანია, აღინიშნოს თურქეთის რესპუბლიკის ორმაგი სტანდარტები აფხაზეთის რეგიონისა და ეთნიკური აფხაზების მიმართ. თურქეთი მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ლოიალური დამოკიდებულებით აფხაზების მიმართ, რაც არაერთგზის გამოიხატა თურქეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით. მიუხედავად იმისა, რომ

თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ, არაფორმალურ ფორმატში, იგი ინარჩუნებს აქტიურ თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ კონტექსტში, რაც არალეგალურ ხასიათს ატარებს.[271]

დღესდღეობით, თურქეთში იმაზე მეტი ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, ვიდრე აფხაზეთის ტერიტორიაზე. თურქი პოლიტიკოსები, პარლამენტარები და დიპლომატები განსაკუთრებული პატივით სარგებლობენ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან. მიუხედავად თურქეთის რესპუბლიკასა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონს შორის ზემოხსენებული ურთიერთობებისა, თურქეთი და საქართველო აგრძელებენ ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებულ პარტნიორულ ურთიერთობებს.

ამდენად, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და მიესალმება ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვას.[272] ანკარის განსაკუთრებულ ინტერესს, შავი ზღვის რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა წარმოადგენს. სწორედ თურქეთის ინიცირებით, თერთმეტი ქვეყნის გაერთიანებით, შეიქმნა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (BSEC)[273] 1992 წლის 25 ივნისს, წევრ ქვეყნებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით.[274]

---

[271] თოფურიძე ნ. თურქეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“. ქართულ-რუსული ურთიერთობები. კავკასიური სახლის“ ანალიტიკური პორტალი. 19 თებერვალი, 2015. იხ. http://regional-dialogue.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[272] Vindimian M. “Evolution of Turkish Foreign Policy towards Georgia”. Universitäts-und Landesbibliothek Sachsen-Anhalt. 2010, p.8.

[273] მანჩხაშვილი მ. თურქეთი XX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ.110-111.

[274] Black Sea Economis Cooperation (BSEC). Our mission. 2018. იხ. http://www.bsec-organization.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

იგულისხმებოდა, რომ „ბისეკს“ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა საქართველოს ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების კუთხით, თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ, ამ მხრივ, წარმატებას ვერ მიაღწია, რაც, ნაწილობრივ, ქართული კონფლიქტების რთული ბუნებითაც აიხსნება. სიტუაციას განსაკუთრებით ართულებდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) ფაქტორი, რომლის საშუალებით, რუსეთი, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ინარჩუნებდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე და დასავლეთის სამეცნიერო წრეებში საბჭოთა კავშირის აღდგენის ერთგვარ მცდელობადაც აღიქმებოდა.

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობის პოზიტიური დინამიკა არაერთი ფაქტორით აიხსნება. ერთი მხრივ, აზერბაიჯანსა და, მეორე მხრივ, შუა აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან დასაკავშირებლად, თურქეთისთვის საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამის დასტურია სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რომელიც თურქეთისა და აზიის თურქულენოვანი რესპუბლიკების დამაკავშირებელ ერთადერთ დერეფნად და კომერციულ ლოკაციად იქცა. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს იმედი აქვს, რომ თურქეთი რუსეთისგან მომავალ საფრთხეებს თავიდან ააცილებს, რა თქმა უნდა, ნატოს წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.[275]

შევარდნაძის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებდა მაქსიმალურად გამოეყენებინა საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და ენერგორესურსების სამხრეთ კავკასიიდან ევროპის ბაზარზე ტრანსპორტირებაში საკვანძო ქვეყანა გამხდარიყო. თურქეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთის, ირანისა და სომხეთის გამორიცხვით, ბუნებრივი რესურსების სატრანზიტო ფუნქცია, სწორედ საქართველოს შეესრულებინა. პროექტს საქართველოს უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა

[275] Aras B., Akpınar P. The Relations Between Turkey and Caucasus. Perceptions. 2011, 16(3), pp. 53-68.

და, გარკვეულწილად, რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სომხეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ინარჩუნებდა, რუსეთის სახით საქართველოსა და თურქეთს საერთო მტერი აერთიანებდათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, საქართველოსა და თურქეთს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში.[276] ქვეყნებს შორის სამხედრო-ტექნიკურმა თანამშრომლობამ უმაღლეს ნიშნულს სულეიმან დემირელის პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია. საქართველოსადმი თურქეთის მატერიალურ-ტექნიკური დახმარება მრავალი მიმართულებით განვითარდა.[277] საქართველო თურქეთის მიერ ინიცირებული არაერთი საგრანტო პროექტის ბენეფიციარი გახდა. აღნიშნულ პერიოდში მეზობელ ქვეყნებს შორის ხელი მოეწერა 70-ზე მეტ ხელშეკრულებას სატრანსპორტო განვითარების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია-მშენებლობის, ენერგორესურსების მილსადენების უზრუნველყოფის, ვაჭრობის და სხვა მნიშვნელოვან სფეროში. საქართველოდან თურქეთში ფოლადის მასალა და სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაჰქონდათ, ხოლო თურქეთიდან საქართველოში სხვადასხვა სახის პროდუქტი და სამშენებლო მასალა შემოჰქონდათ.[278]

1990-იან წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ქვეყანას ელექტროენერგიით მეზობელი თურქეთი ამარაგებდა. ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე,

---

[276] Аршакян Г. Основные направления турецко-грузинских отношений в контексте региональной политики Турции в начале XXI в., Проблемы национальной стратегии. 6 (33) 2015, стр.123.

[277] Uslu N. The Russian, Caucasian and Central Asian Aspects of Turkish Foreign Policy of the Post Cold War Period. Turkish Journal of international relations. 2(3-4). 2003, pp. 164-187.

[278] ბერიძე ჯ. საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.). სადოქტორო ნაშრომი. სსიპ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი. ბათუმი — 2019, გვ.77. იხ. https://www.bsu.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ზამთრის პერიოდში, 300 მილიონი კილოვატი ელექტროენერგიით საქართველოს სწორედ თურქეთი უზრუნველყოფდა.[279] 1990-იანი წლების მეორე ნახევარში თურქული კომპანია TAV-ის აქტიური ჩართულობითა და დაფინანსებით, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თბილისისა და ბათუმის აეროპორტებს, რომლებიც მოგვიანებით ევროპულ და აზიურ სამყაროსთან დამაკავშირებელ ჰაბად იქცა და, საქართველოს გავლით, ევროპასა თუ აზიაში მოგზაურობა უფრო კომფორტული გახადა.280 ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზებმა“, თურქეთის უდიდესი ქალაქების — სტამბოლისა და ანკარის გამოყენებით, თბილისი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს დააკავშირა, რამაც ეკონომიკური განვითარების ახალ შესაძლებლობებს ჩაუყარა საფუძველი.

1990 წლების მიწურულს თურქეთის ხელისუფლება ხმამაღლა აცხადებდა, რომ რეგიონში, საქართველოს ჩართულობით განხორციელებულ ენერგეტიკულ პროექტებს თურქეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ამ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.[281] 1998 წელს თბილისს თურქეთის პრემიერ-მინისტრი მ. ილმაზი ესტუმრა. იგი ორ ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაუმჯობესების მზაობას გამოთქვამდა. მალევე, საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, ანკარას ეწვია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ხუთი მილიონი დოლარის დახმარება, რომელიც სამხედრო ობიექტების მშენებლობა-შეკეთებასა და საქართველოს

---

[279] ბერიძე ჯ. საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.). 2019, გვ. 78.
[280] ჯანდიერი გ. თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები. 2016, გვ.5.
[281] მანჩხაშვილი მ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა — 1990-2008 წწ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამხედრო აკადემიის მოდერნიზებას მოხმარდა.[282] საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში — „კოსოვოს ძალები“, თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობდნენ.[283] პრეზიდენტი შევარდნაძე ქართულ-თურქულ ურთიერთობებს მუდმივად აფასებდა, როგორც სტრატეგიულ პარტნიორობას და ხელს უწყობდა თურქეთთან ურთიერთობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნებას.[284]

ექსპერტ მ. არეშიძის მიხედვით, თურქეთის საქართველოსთან თურქეთის მზარდი თანამშრომლობა დაკავშირებულია სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში რუსეთის ინტერესების შესუსტებასთან. მას შემდეგ, რაც თურქეთმა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები ვერ განახორციელა ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის სასტიკი წინააღმდეგობის გამო, მან სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლა, სადაც იგი კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში საქართველოს ჩართულობითა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით, ცდილობს რეგიონში რუსეთის გავლენის დაბალანსებას. „ნატოს წარმომადგენელი და კავკასიაში ისტორიული მოთამაშე — თურქეთი, მთავარი მუქარაა რუსეთის ყოფნისა ამ რეგიონში“ — აღნიშნავს არეშიძე.[285]

მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის მეორე ეტაპი ავტორიტარული მმართველობის რეჟიმს უფრო ჰგავდა, ვიდრე დემოკრატიულს, საწყის ეტაპზე, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დასავლეთთან დაახლოებასა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სრულიად განსხვავებული რაკურსით წარმოჩენაში. სააკაშვილის პერსპექტივიდან, საქართველოსთვის

---

[282] Гаджиев К. Геополитика Кавказа. Москва: Международные отношения. 2001, стр. 463.
[283] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[284] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.
[285] არეშიძე მ. მსხვილი მოთამაშეების" პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საისტორიო ვერტიკალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2014, გვ.145-146.

თურქეთი გახდებოდა ახალი ფანჯარა მსოფლიოსკენ, რომლის ფუნქციას წლებისა თუ საუკუნეების განმავლობაში რუსეთი ასრულებდა.

საქართველოს თურქეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აისახა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველო თურქეთს ცენტრალურ პარტნიორად აღიქვამდა შავი ზღვის რეგიონში. ანკარა ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გრძელვადიან მშვიდობასა და სტაბილურობას და დასავლეთს შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის პროექტს სთავაზობდა, რამაც აშშ-ის დადებითი შეფასება დაიმსახურა.

თურქეთი აქტიურად განაგრძობდა საქართველოს ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას. თურქულ-ქართულმა ურთიერთობებმა განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდიდან. რუსეთის ფაქტორმა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში შეიყვანა. რუსეთთან უკიდურესად გაუარესებული ურთიერთობისა და საქართველოსთვის რუსული ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ, ოფიციალური თბილისისთვის ქართული ბაზრის დივერსიფიცირება კრიტიკულად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. ამავე წლის ნოემბრიდან ქვეყნებს შორის ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. 2008 წლიდან საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი თურქეთი გახდა.

რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, თურქეთის ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ 2000 წლის იანვარში, წამოაყენა „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“, რომელიც თურქეთის იმდროინდელი პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის, ინიციატივას წარმოადგენდა. შეთავაზება გულისხმობდა 3+3+2 ფორმატს, რომელშიც ჩართული იყო: სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი); რეგიონის მოსაზღვრე სამი დიდი ქვეყანა — თურქეთი, რუსეთი და ირანი; ასევე, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. იდეა, რომელიც

სომხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმაც კი მოიწონა, რუსეთის აღნიშნული ფორმატისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, ვერ განხორციელდა. უსაფრთხოების მეორე ფორმატი თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა წამოაყენა 2008 წლის 11 აგვისტოს. „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმა“ 3+2 ფორმატს ეფუძნებოდა, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), თურქეთისა და რუსეთის ჩართულობით.

ამდენად, იგი გამორიცხავდა როგორც აშშ-ს, ისე ევროკავშირსა და ირანს. აღნიშნული ფორმატიც ვერ განხორციელდა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ქართულმა მხარემ უარი განაცხადა ოკუპანტ ქვეყანასთან (რუსეთთან) რაიმე სახის მოლაპარაკებაზე, იდეა არც სომხეთმა მოიწონა. ერევანი ეწინააღმდეგებოდა უსაფრთხოების პლატფორმიდან ირანის გამორიცხვას, იმავე შეხედულებას იზიარებდა ვაშინგტონიც. აღნიშნული ფორმატების სრული კრახი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად განსხვავებულად ესმის სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. ცალკე განხილვის ღირსია რუსეთის პოზიცია, რომელიც, პირდაპირ თუ ირიბად, უარყოფს სხვა აქტორებთან „საზიარო“ პოლიტიკურ კურსს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა მსოფლიო მასშტაბით ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ქვეყნები, საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ინტერესებიდან გამომდინარე, განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდნენ მეზობელ ქვეყნებს შორის ომთან დაკავშირებით. თურქეთი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არა დამნაშავისა და უდანაშაულოს გარკვევას, არამედ ცეცხლის შეწყვეტასა და მეზობელ ქვეყნებს შორის ნდობის აღდგენას უჭერდნენ მხარს. რასაკვირველია, თურქეთის პოზიცია, უპირველეს ყოვლისა, თავისი რეგიონული ინტერესებიდან მომდინარეობდა. თურქეთისთვის საფრთხეს წარმოადგენდა საომარი მოქმედებების გაჩაღება მეზობელ სახელმწიფოში

— საქართველოში, რომელიც თავის ისტორიულ მოწინააღმდეგეს — რუსეთს უპირისპირდებოდა. აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ თურქეთმა არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

აშშ-ისა და დასავლეთისგან განსხვავებით, რომლებმაც ხმამაღლა დაგმეს რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და პირდაპირ დაადანაშაულეს რუსეთი ომის წამოწყებაში, თურქეთმა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, უფრო დიპლომატიური პოლიტიკა არჩია, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მართალია, ანკარა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სტაბილურ განვითარებას, მაგრამ იგი ვერ უგულებელყოფს რუსეთს, როგორც თურქეთის უპირველეს სავაჭრო პარტნიორსა და მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ ძალას.[286] აღნიშნული პოზიცია გასაკვირი არ არის, ვინაიდან ენერგიის 2/3-ით თურქეთს სწორედ რუსეთი ამარაგებს და ანკარას მოსკოვთან მრავალმილიარდიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადია, თურქეთის ხელისუფლება თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

ამრიგად, 1991 წლიდან საქართველო-თურქეთის ურთიერთობები პოზიტიური დინამიკით ხასიათდება, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ კონტექსტში. თურქეთის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას საქართველოსთან. აღნიშნულის ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება მივიჩნიოთ. მეზობელ ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობისა და სანდოობის მაღალი ხარისხის ჩამოყალიბება სწორედ

[286] Vindimian M. Evolution of Turkish Foreign Policy towards Georgia. Universitäts-und Landesbibliothek Sachsen-Anhalt. 2010, p.5.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მასშტაბური პროექტების განხორციელებამ განაპირობა, რომლებიც დღემდე წარმატებით ხორციელდება.

3.5. ირანის როლი სამხრეთ კავკასიაში და საქართველო

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია განიხილოს ირანის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში, რომელიც, ისტორიულად, რეგიონში ერთ-ერთი გავლენიანი მოთამაშეა. თუ XIX საუკუნის განმავლობაში ირანი მნიშვნელოვნად შესუსტდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, რუსეთმა ირანის გაძლიერებისთვის ძალისხმევა არ დაიშურა და, ფაქტობრივად, ისევ დაუბრუნა მას „დაკარგული ადგილი" კავკასიის რეგიონში. 1979 წელს, ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანი კონსტიტუციური მონარქიიდან თეოკრატიულ ისლამურ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, არა მარტო რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მალევე, თეირანმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა აშშ-ისა და მის მოკავშირეებს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, საკმაოდ დაძაბული დინამიკით ხასიათდება ერთმორწმუნე ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებიც.

პოლიტიკური კონიუნქტურა იცვლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, რაც რუსეთმა დაკარგა გავლენის ბერკეტები კასპიის ზღვის აუზსა და სამხრეთ კავკასიაში. რეგიონში, რუსეთის გავლენების შესუსტებასთან ერთად, წამყვანი როლის თამაში ისევ თურქეთმა დაიწყო, რომელიც, სავაჭრო-ეკონომიკურ კონტექსტში საქართველოსა და აზერბაიჯანის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორებად იქცა.[287] თუმცა თეირანის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ასევე აშშ, რომელიც რეგიონის მიმართ უფრო და უფრო მზარდ ინტერესს გამოხატავდა.[288] ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანი, ფაქტობრივად, თვითიზოლაციაში აღმოჩნდა. იგი საფრთხეს ხედავდა, არა მარტო მის მეზობელ სახელმწიფოებში, არამედ მისგან ტერიტორიულად დაშორებულ

[287] შარაშენიძე თ. ირანის როლის სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი. თბ., 2011, გვ.2.
[288] იქვე, გვ.2.

ქვეყნებშიც კი. აშშ-სთან საგრძნობლად გაუარესებული ურთიერთობის შემდეგ ირანმა რუსეთთან დაახლოება დაიწყო.[289]

სიტუაციას განსაკუთრებით ამძაფრებდა ყარაბაღის კონფლიქტი, რომელშიც ირანი სომხეთს, და არა ერთმორწმუნე შიიტ აზერბაიჯანს უჭერდა მხარს. რა თქმა უნდა, აღნიშნულ პოზიციას ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები და ერთ-ერთ მიზეზად ირანისადმი თურქეთის ისტორიული მტრობაც მოიაზრებოდა.

აზერბაიჯანისადმი ირანის გაღიზიანება გამოწვეულია ამ უკანასკნელის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებით. თეირანი ცდილობს აშშ-ისრაელი-აზერბაიჯანის კოალიცია ირანი-სომხეთი-რუსეთის ალიანსით დააბალანსოს. ამასთან, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის მოქცეული სომხეთისთვის ირანთან ურთიერთობა ენერგეტიკულ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[290]

ამდენად, ყარაბაღის კონფლიქტმა მნიშვნელოვნად დააახლოვა ირანი სომხეთს და ქვეყნებს შორის კომუნიკაციის ახალი ქსელის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი, რომლის ნათელი მაგალითია, ირან-სომხეთის გაზსადენის მშენებლობა და ქვეყნებს შორის ახლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სომხეთს არ აქვს გასასვლელი ზღვაზე და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა არც თუ ისე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეკონომიკური განვითარებისთვის, იგი უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა, ერთი მხრივ, რუსეთზე, ხოლო, მეორე მხრივ — თეირანზე. ამდენად, შემთხვევითი არ არის სომხეთ-ირანის განსაკუთრებული სიახლოვეც მრავალი მიმართულებით.

---

[289] Abbasi M. Pathology of Political Relations between the Islamic Republic of Iran and Georgia (2000-2017). The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi. 2021, გვ.186. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

[290] კაპანაძე მ. ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021, გვ.13-15 იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

თანდათან საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი პროდასავლურ ჯგუფად ჩამოყალიბდა, ხოლო სომხეთი და ირანი რუსულ ორბიტაზე მოექცა. ამასთან, ეს უკანასკნელი ყველანაირი საშუალებით ცდილობდა, რეგიონში აშშ-ის დასაბალანსებლად, ირანთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. 2003 წელს, როდესაც აზერბაიჯანში, პრეზიდენტი ილჰამ ალიევი მისმა შვილმა, ჰეიდარ ალიევმა, ჩაანაცვლა, ირანში არსებობდა მოლოდინი, რომ ახალი პრეზიდენტი „საერთო ისლამური საქმეებისადმი“ უფრო მეტ ერთგულებას გამოიჩენდა და ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობები ნაწილობრივ დათბებოდა, მაგრამ ქვეყნებს შორის დუღილის ტემპერატურამ არ იკლო და ბაქომ ისევ განაგრძო მკვეთრად გამოხატული პროდასავლური კურსი.[291]

თეირანის განსაკუთრებული გაღიზიანების საბაბს აზერბაიჯანის ენერგორესურსები წარმოადგენს. აზერბაიჯანი ე.წ. „შავი ოქროსა“ და „ცისფერი საწვავის“ წყალობით, ირანისგან განსხვავებით, დღემდე ინარჩუნებს ეკონომიკურ ზრდას, სადაც ენერგეტიკულ პროგრამებზე დაწესებული სანქციების გამო, ენერგორესურსების უზარმაზარი პოტენციალი ისევ გამოუყენებელი რჩება.[292] ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ თეირანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაყვანასა და დასავლეთისკენ ენერგორესურსების ექსპორტს ცდილობს.[293]

ირანი პოზიტიურად არის განწყობილი საქართველოს მიმართ. თბილისთან ურთიერთობა თეირანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი „გეოსტრატეგიული და ეკონომიკური

---

[291] იქვე, გვ.3-4.

[292] იქვე, გვ.4.

[293] დევდარიანი ნ. შენგელია ო. საქართველო–ირანის ურთიერთობა აშშ–ის ინტერესების გათვალისწინებით. სტრატეგიული და რეგიონული თანამშრომლობა. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021, გვ.506. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

ინტერესების დასაკმაყოფილებლად“. 2010 წელს საქართველომ, ყველასგან მოულოდნელად, გააუქმა სავიზო რეჟიმი ირანთან და მასთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარება დაიწყო. ირანული ინვესტიციები საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა 2011-2013 წლებში, რაც, მომდევნო წლებში, აშშ-ის მზარდი უკმაყოფილების შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა.[294] არაერთი ექსპერტის მოსაზრებით, სააკაშვილის აღნიშნული ქმედება, ირანის რუსეთის გავლენისგან ნაწილობრივ გათავისუფლებას ემსახურებოდა, თუმცა ექსპერტთა მეორე ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის ქმედებას დღემდე ვერ ხსნის. ირანისთვის უვიზო რეჟიმი საქართველოსთან ახალი შესაძლებლობა გახდა ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, ვინაიდან სულ უფრო აქტუალური ხდება, სომხეთისა და საქართველოს გავლით, ირანული ბუნებრივი აირით ევროპული ბაზრის მომარაგების საკითხი.[295]

თ. შარაშენიძის მიხედვით, ეს სამხრეთ კავკასიაში გარეშე ძალების გავლენის შემცირებისა და აშშ-ის პოზიციების შესუსტებისკენ არის მიმართული. თეირანის პერსპექტივიდან, ამის შედეგად, ქვეყანას საშუალება მიეცემა 1. გაამლიეროს და გააფართოოს გავლენის სფეროები სამხრეთ კავკასიის ისეთ რეგიონულ მოთამაშეებთან, როგორიცაა რუსეთი და თურქეთი, მაშინ, როდესაც ძალთა ბალანსი რეგიონში, მოსკოვისა და ანკარის ინტერესების თეირანის ინტერესებთან ნაწილობრივ „შეხამებას“ გულისხმობს; 2. განახორციელოს რეგიონის ეკონომიკური და კულტურული ექსპანსია, რომელიც ირანს საშუალებას მისცემს განიმტკიცოს პოზიციები სამხრეთ კავკასიაში.[296] ექსპერტი მამუკა არეშიძე

---

[294] კაპანაძე მ. ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021, გვ.17. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

[295] არეშიძე მ. „მსხვილი მოთამაშეების" პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში“. საისტორიო ვერტიკალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2014, გვ.147-148.

[296] შარაშენიძე თ. ირანის როლის სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი. თბ., 2011, გვ. 2.

კი ასკვნის, რომ „ირანის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავს.“[297]

ამავე მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი ვ. პაპავაც. იგი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ირანი განსაკუთრებულ აქცენტირებას ენობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორებზე აკეთებს. იგი ამ გზით რეგიონში საკუთარი „მორყეული პოზიციების“ გამყარებას ცდილობს. ექსპერტის მოსაზრებით, თეირანის მთავარ მიზანს სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის გავლენის შეზღუდვა, რეგიონის სამივე ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება და ენერგორესურსების დასავლეთის მიმართულებით ექსპორტირება წარმოადგენს. ოფიციალური თეირანის განსაკუთრებული შეშფოთების საგანია, ირანში მრავალმილიონიანი აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომლებმაც, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ირანის შემადგენლობიდან გამოყოფის მიზნით, საკუთარი ავტონომია შექმნეს. ლოგიკურია, რომ ირანს ნამდვილად აქვს შეშფოთების საფუძველი და მეზობელ ქვეყნებს შორის, ფაქტობრივად, „მრავალწლიანი „ცივი ომი“ მიმდინარეობს.“[298]

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ირანოლოგი მ. კაპანაძე. მისი მოსაზრებით, ირანი „აზერბაიჯანულ ნაციონალიზმსა და ირედენტიზმს უფრთხის და საკუთარი პოზიციების გამყარებას აშშ-სთან და ისრაელთან ურთიერთობით ცდილობს, რომელთანაც ბოლო წლებში, თეირანს, ენერგეტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში“, განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებს.[299]

---

[297] არეშიძე, მ. „მსხვილი მოთამაშეების" პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საისტორიო ვერტიკალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ.. 2014, გვ. 147-148.

[298] პაპავა ვ. ირანი და სამხრეთ კავკასია — გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები. 2016, გვ. 2-4. იხ. https://www.timer.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[299] კაპანაძე მ. ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021, გვ.11-12. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ირანის პოზიცია საქართველოს მიმართ საკმაოდ მოზომილი და დაბალანსებულია, რომლის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი, ქვეყნებს შორის ხანგრძლივი მტრობა და ის ისტორიული მეხსიერებაა, რომელიც სამარადჟამოდ დაილექა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. ჰეროდოტეს ცნობით, სამხრეთ კავკასია სპარსეთის XI, XVIII და XIX სატრაპიებში შედიოდა და კოლხები ძვირფას ძღვენსა და ურიცხვ საჩუქარს უგზავნიდნენ სპარსეთის შაჰებს. სწორედ სპარსეთის ფაქტორმა განაპირობა XVIII საუკუნის მიწურულს „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ხელშეკრულების დადება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესა და რუსეთის იმპერიას შორის, თუმცა ერთმორწმუნე რუსეთმა, დახმარების ნაცვლად, არა მარტო საქართველო და სამხრეთ კავკასია, არამედ მისი მოსაზღვრე ტერიტორიაც კი დაიპყრო და ირანიცა (სპარსეთი) და თურქეთიც (ოსმალეთის იმპერია) გააძევა რეგიონიდან.

ირანის სამეცნიერო წრეებში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსაზრება, რომ ისტორიულად, საქართველო ირანის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მას „წარსულის ძნელბედობის ჟამს“ რუსეთის იმპერიამ წაართვა. აღნიშნული ნარატივი გადმოცემულია ირანის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც, სადაც ვკითხულობთ: „აღმოსავლეთი კავკასია, ანუ საქართველო, ირანს ეკუთვნოდა, მაგრამ ირანის შაჰები დასუსტდნენ და რუსეთის იმპერატორებმა მათ ეს მიწები წაართვეს“.[300] არც ის არის გასაკვირი, რომ ირანი სამხრეთ კავკასიის რეგიონში გარე მოთამაშეების გააქტიურებას მტკივნეულად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ იქ განვითარებული მოვლენები მხოლოდ ტრადიციული რეგიონული აქტორების გადასაწყვეტია. ეს აქტორები არიან: რუსეთი, თურქეთი და ირანი.[301]

---

[300] Rondeli A. Iran and Georgia-Relations could be better". Georgian Foundation for Strategic and International Studies. 2014, გვ. 3-4. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[301] Markedonov S. The Realists in Tehran. Region: RussiaIranSouth Caucasus Turkey. 2012. იხ. https://nationalinterest.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

ამრიგად, 1991 წლიდან ირანმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარების კუთხით. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან, თბილისსა და თეირანს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი იწყება.[302] ირანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. 2006 წელს, საქართველოს რუსეთთან მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობის ფონზე, ბუნებრივი აირი თბილისს ირანმა მიაწოდა და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოსადმი ერთგულებასა და მხარდაჭერას.

აგვისტოს ომის შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში, საქართველოში ირანის ელჩმა აშშ გააკრიტიკა და დასძინა, რომ ყველაზე რთულ პერიოდში, აშშ-მა საქართველო რუსეთისგან სათანადოდ ვერ დაიცვა და ვერც შესაბამისი დახმარება უზრუნველყო მოკავშირე ქვეყნისთვის.303 მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ირანის, როგორც ძლიერი და პრაგმატული მეგობრის, აღქმა რუსეთთან გაუარესებული ურთიერთობების შემდეგ დაიწყო. საქართველოს ურყევი ევროპული და ევროატლანტიკური სწრაფვა ირანისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

აღნიშნული ფაქტის თვალსაჩინო მაგალითია „არდებილის ინციდენტი", როდესაც ირანის მოქალაქე ამირ ჰოსეინ არდებილი საქართველომ, თეირანის ნების საწინააღმდეგოდ, დააკავა და აშშ-ს გადასცა. ცნობილია, რომ არდებილი იარაღით უკანონოდ ვაჭრობდა და ბირთვულ ტექნოლოგიებზეც აქტიურად მუშაობდა. აღნიშნულმა ფაქტმა იმდენად დაძაბა ურთიერთობები საქართველოსა და ირანს შორის, რომ თეირანის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების მუქარაც კი

---

[302] Hosseinpanahi H., Baizidi R. The impact of Foreign Powers on Iran-Georgia Relations: A Comparative Study of Russia and the USA. The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi, 20201, გვ.50. იხ.https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

[303] Edwards H. S. Iran's Near Abroad: Baset by Global Sanctions, Iran's Leaders go Local. Foreign Policy. September 20, 2010. იხ. http://ww12.foreign-policy.com, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021.

გაისმა,[304] მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ, ირანმა საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარი დაუჭირა და მიუხედავად რუსეთთან ლოიალური დამოკიდებულებისა, აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ რეგიონებად არ აღიარა.

ირანის პოლიტიკურ ელიტებში, თეირანსა და თბილისს შორის ურთიერთობები აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენს. ირანი ცდილობს საქართველოს შავი ზღვის პორტის გამოყენებას, სანაცვლოდ კი საქართველოს სპარსეთის ყურისა და ომანის ზღვის გამოყენებას სთავაზობს.[305] ე. ქულაისა და შ. ალიზადეს პერსპექტივიდან, ირანის საშუალებით, შავი ზღვისა და სპარსეთის ყურის დაკავშირება განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსთვის, ვინაიდან აღნიშნული სატრანსპორტო დერეფანი რეგიონში ეკონომიკის სტიმულებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის საწინდარს წარმოადგენს.[306]

სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, რომლებსაც ღია ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ და ე.წ. „ჩაკეტილ“ ქვეყნებს წარმოადგენენ, საქართველო ღია ზღვაში გასასვლელითა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელსაც შესწევს ძალა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს რეგიონის ქვეყნების სტაბილური განვითარებისთვის.

---

[304] Mehr News Agency. Georgia Apologizes for extraditing Iranian national to U.S. 2010. იხ. http://www.payvand.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

[305] კაპანაძე მ. ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021, გვ.19, იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

[306] Koolaee E., Alizadeh S. The Role of International Transport Corridors in Bolstering Ties Between.
Iran and Georgia. The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi, 2021, გვ.30, იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში, ნაშრომის სრულყოფისა და საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, გამოვიყენეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში მრავალგზის აპრობირებული გამოკითხვის მეთოდი — ემპირიული კვლევა. კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ, თუ როგორ აფასებენ ცნობილი მეცნიერები, ექსპერტები, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორები სამხრეთ კავკასიის როლსა და დანიშნულებას იმ პოსტბიპოლარულ ეპოქაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა; ასევე, კვლევა მიზნად ისახავს, საქართველოს მაგალითზე, დავადგინოთ, დიდი მოთამაშეების (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ნატო, ჩინეთი, თურქეთი, ირანი) ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და განვსაზღვროთ, ჩინეთის ამბიციური პროექტის — „ერთი გზა-ერთი სარტყელი“ განხორციელების დადებითი და უარყოფითი შედეგები საქართველოსთვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად შევადგინეთ ოთხპუნქტიანი კითხვარი და ჩავატარეთ ნახევრად-სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, კომპეტენტური და კვალიფიციური ექსპერტები, რომელთა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული შეხედულებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია. ქვეყანაში კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, რესპონდენტებთან ინტერვიუები ჩავწერეთ პლატფორმა „Zoom“-ის მეშვეობით. ზოგადი არგუმენტებიდან უფრო დეტალურ საკითხზე

ფოკუსირების მიზნით, ოთხ ძირითად კითხვასთან ერთად, დაისვა დამაზუსტებელი კითხვებიც. ინტერვიუს დასრულების შემდეგ, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სრული დაცვით, აუდიო-ჩანაწერის შედეგად მიღებული ტექსტის დეტალური გაშიფვრის, ე.წ. ტრანსკრიფციის ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ კვლევის შედეგების ფორმულირება.

საკვლევი შეკითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

1. როგორია პოსტბიპოლარული მსოფლიო წესრიგის განვითარების ძირითადი ტენდენციები და რა როლი უჭირავს სამხრეთ კავკასიას აღნიშნულ პროცესებში?

2. რით არის განპირობებული დიდი მოთამაშეების (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ნატო, ჩინეთი) ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და კერძოდ — საქართველოში? რა ინტერესები გააჩნიათ მათ საქართველოსთან მიმართებით?

3. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ გლობალურ კონტექსტში და რამდენად მომგებიანია საქართველოს ჩართულობა აღნიშნულ პროექტში?

4. რა ინტერესები გააჩნიათ თურქეთსა და ირანს სამხრეთ კავკასიასა და, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებით?

ინტერვიუ ვახტანგ მაისაიასთან, ჩაწერილია 2021 წლის მარტში

ვახტანგ მაისაია — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში;

ინტერვიუ ნიკა ჩიტაძესთან, ჩაწერილია 2021 წლის მარტში

ნიკა ჩიტაძე — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში;

ინტერვიუ პეტრე მამრაძესთან, ჩაწერილია 2021 წლის მარტში

პეტრე მამრაძე — ქართველი თანამდებობის პირი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

ინტერვიუ ზვიად აბაშიძესთან, ჩაწერილია 2021 წლის აპრილში

ზვიად აბაშიძე — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ინტერვიუ გურამ მარხულიასთან, ჩაწერილია 2021 წლის აპრილში

გურამ მარხულია — ისტორიის მეცნიერების დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ინტერვიუ აბდულაჰ ეროლთან, ჩაწერილია 2021 წლის აპრილში

აბდულაჰ ეროლი — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ვანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თურქეთი) პროფესორი

პირველ საკვლევ შეკითხვაზე, თუ როგორია პოსტბიპოლარული მსოფლიო წესრიგის განვითარების ძირითადი ტენდენციები და რა როლი უჭირავს სამხრეთ კავკასიას აღნიშნულ პროცესებში, მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება, რომ დღეს მსოფლიო მულტიპოლარულია, სადაც გავლენის არაერთი პოლუსია გამოკვეთილი. მაშინ, როდესაც ვ. მაისაია ამტკიცებს, რომ მსოფლიო სამპოლუსიანია (აშშ, რუსეთი და ჩინეთი), ზ. აბაშიძე მიიჩნევს, რომ მულტიპოლარული მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ფორმირებული და იგი გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. ნ. ჩიტაძის თვალსაზრისით, ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელიც წამყვან პოზიციას იკავებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მახასიათებლებით, არის შეერთებული შტატები.

ვ. მაისაიას მოსაზრებით, აშშ-მა და რუსეთმა დიდი ხანია ზესახელმწიფოების სტატუსი წარსულს ჩააბარეს და მათი სამხედრო პოტენციალი ვერც კი შეედრება „ცივი ომის“ დროინდელ მოცემულობას. გ. მარხულიას მოსაზრებით, დასავლეთის უმთავრესი ინტერესია, სამხრეთ კავკასია, როგორც მიკროსივრცე, იყოს ერთიანი რეგიონი. ყველა რესპონდენტი ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ დიდი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში ცალსახად იკვეთება, რასაც ისინი რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობით ხსნიან.

მეორე საკვლევ შეკითხვაზე, თუ რით არის განპირობებული დიდი მოთამაშეების (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ნატო, ჩინეთი) ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და რა ინტერესები გააჩნიათ მათ საქართველოსთან მიმართებით, ვ. მაისაია, ნ. ჩიტაძე, ზ. აბაშიძე და ა. ეროლი თანხმდებიან, რომ დიდ მოთამაშეებს რეგიონში განსხვავებული ინტერესები აქვთ და ისინი სამხრეთ კავკასიაში სწორედ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ.

განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს პ. მამრაძე, რომელიც თვლის, რომ პოლიტიკურ ავანსცენაზე წამყვანი მოთამაშეების მიერ

სამხრეთ კავკასიის რეგიონით მზარდი დაინტერესება, საკითხის ფრიად გადაჭარბებული წარმოდგენაა. პ. მამრაძის მოსაზრებას ემხრობა ზ. აბაშიძეც, რომლის მიხედვით, მართალია, სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი რეგიონია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ „მთელი მსოფლიო მის ირგვლივ ბრუნავს“. პ მამრაძე დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ლიმიტად საქართველოში რუსეთის როლს მიიჩნევს, რომლის სამხედრო კონტინგენტი ქვეყნის დედაქალაქიდან 30 კილომეტრშია განლაგებული.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს თურქი მეცნიერი ა. ეროლი და მიიჩნევს, რომ საქართველოსთან მიმართებით განსაკუთრებით შეინიშნება აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება, რომლის თვალსაჩინო მაგალითად ეროლს მოჰყავს 2008 წლის აგვისტოს ომი მეზობელ ქვეყნებს შორის, როდესაც რუსეთი წინ აღუდგა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებასა და ქვეყნების დასავლეთთან დაახლოებას. ვ. მაისაია და ზ. აბაშიძე იზიარებენ მოსაზრებას, რომ რუსეთისათვის საქართველოს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია და მისი გავლენის სფეროში დასავლეთის პოზიციების გამყარება მოსკოვისთვის მტკივნეულად აღიქმება. გ. მარხულიას მიხედვით, დიდი მოთამაშეების მხრიდან სამხრეთ კავკასიისადმი მზარდი ინტერესი რეგიონის სატრანსპორტო ფუნქციითაა განპირობებული.

მესამე საკვლევ შეკითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ გლობალურ კონტექსტში და რამდენად მომგებიანია საქართველოს ჩართულობა აღნიშნულ პროექტში, მკვლევართა შეხედულებები იდენტურია. ისინი მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ პროექტში ჩართულობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ მოგებას მოუტანს, ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ექსპერტები მიესალმებიან „ერთი გზა — ერთი სარტყლის“ განხორციელებას და მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობის

გაღრმავებისკენ, ვინაიდან ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია.

ვ. მაისაია განმარტავს, რომ საქართველოს ინვესტიციების 60% ჩინეთიდან მოდის და ეკონომიკის სტიმულირებისთვის, ჩინეთთან მჭიდრო კავშირები საქართველოს განვითარებისთვის უდიდეს როლს თამაშობს. ვ. მაისაიას მოსაზრებას იზიარებს გ. მარხულია და მიიჩნევს, რომ საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობა განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსთვის, არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ჭრილშიც. საინტერესოა, თურქი მეცნიერის ა. ეროლის მოსაზრება ჩინურ პროექტთან დაკავშირებით. მეცნიერი თვლის, რომ „ერთი გზა — ერთი სარტყლის“ განხორციელებამ, შესაძლოა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. უარყოფით პრიზმაში მეცნიერი მოიაზრებს ჩინური ჰეგემონიის ზრდას, რამაც სავსებით შესაძლებელია, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ცივილიზებულ სამყაროს.

მეოთხე საკვლევ შეკითხვაზე, თუ რა ინტერესები გააჩნიათ თურქეთსა და ირანს სამხრეთ კავკასიასა და, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებით, პ. მამრაძისა და ზ. აბაშიძის შეხედულებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ, პ. მამრაძე მიიჩნევს, რომ თურქეთს, მშვიდობიანი გზითა და საერთაშორისო პროექტებით ოსმალეთის იმპერიის აღდგენა სურს, რომლის მცდელობა უკვე ბათუმის მაგალითზეც შეინიშნება, ზ. აბაშიძის გადმოსახედიდან კი, აღნიშნული მოსაზრება მოვლენათა განვითარების მცდარი ნარატივია, უფრო მეტიც, თურქეთის ინტერესებში საერთოდ არ შედის საქართველოს მიერთება და ქართული სახელმწიფოებრიობის გაქრობა, რადგან რუსეთთან პირდაპირი საზღვარი თურქეთისთვის ზედმეტი საფიქრალი და „თავსატეხია“. ზ. აბაშიძე ამტკიცებს, რომ ირანიც ისევე უფრთხის რუსეთთან მეზობლობას, როგორც თურქეთი. ა ეროლის პერსპექტივიდან, თურქეთისა და ირანის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობა უაღრესად

მნიშვნელოვანია, მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ნდობასა და პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს და საერთო სარგებელზე იყოს ორიენტირებული.

ნ. ჩიტაძის მოსაზრებით, თურქეთი და ირანი დაინტერესებულნი არიან საქართველოსთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავებით და ამ მხრივ მიღებული ორმხრივი სარგებლით. ექსპერტს მაგალითად მოჰყავს ტანაპისა და ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის პროექტები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად არის მიბმული საქართველოზე. ნ. ჩიტაძის თვალსაზრისით, ირანის ინტერესებიც საქართველოში საკმაოდ მზარდია, ვინაიდან საქართველოს აქვს ზღვაზე გასასვლელი და არის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ქვეყანა რეგიონში; ირანისთვის ეს ერთგვარ შესაძლებლობად განიხილება თავისი პროდუქციის დასავლეთის ბაზარზე წვდომის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს გ. მარხულიაც.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებსა და მკვლევრებს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები გააჩნიათ მთელ რიგ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით.

დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა დიდი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველოს მაგალითზე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში, ჰიპოთეზის დადასტურების შედეგად, ფორმულირებულია პასუხები საკვლევ კითხვებზე და წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

სამხრეთ კავკასია დიდი მოთამაშეების მიერ კონსტრუირებული მსოფლიო წესრიგის ნაწილია. რასაკვირველია, მასზე მნიშვნელოვნად აისახება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. რეგიონის სამმა ქვეყანამ — საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა 1991 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა და დაადგა დასავლურ, დემოკრატიული განვითარების გზას, რომელიც მათთვის უდიდეს გამოწვევად იქცა. რეგიონში გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების პირობებში, განსაკუთრებით იძაბება ვითარება აშშ-სა და რუსეთის ფედერაციას შორის, მოგვიანებით კი, სამხრეთ კავკასიაში ახალი მოთამაშეები ჩნდებიან, რომლებიც აღნიშნულ რეგიონს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესების განხორციელების ობიექტად მიიჩნევენ. ამასთან, დღემდე ინტერესს არ კარგავს კავკასიის ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელი, რომელთა რეალურად განხორციელება ჯერ კიდევ შორეული ხედვის მირაჟია, რეგიონის ჭრელი და მრავალფეროვანი გეოპოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ საქართველოზე, რომელიც თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მახასიათებლების გათვალისწინებით, ასწლეულების მანძილზე, უდიდესი იმპერიების სამიზნეს წარმოადგენდა და არაერთი ქარტეხილის მიუხედავად, მუდამ მედგრად იბრძოდა თვითიდენტობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზაზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან, საქართველომ მკაფიოდ განსაზღვრა საგარეო-პოლიტიკური კურსი — ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რომელიც 30 წლის შემდეგაც კი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა 2019-2021 წლების „საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია“ და „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, სადაც მკაფიოდ არის გაცხადებული ქართველის ხალხის ურყევი ნება — ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, როგორც ქვეყანაში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უმთავრესი გარანტი.

დასავლეთი (აშშ, ნატო) სამხრეთ კავკასიის რეგიონით ჯერ კიდევ ადრეულ 1990-იან წლებში ინტერესდება, რაც, რასაკვირველია, რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. იგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ იმ საკვანძო გზაზე მდებარეობს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრა რეგიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარება. XX საუკუნის მიწურულს სამხრეთ კავკასია კასპიის ზღვის ნავთობის ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირების უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა.

რეკომენდაცია: 1990-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამა საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს და ფოკუსირებულია ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაზე, ეკონომიკის, ენერგეტიკის, უსაფრთხოებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობაზე, საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე და სხვ. აშშ საქართველოს ყველაზე საიმედო, სანდო და ღირებული პარტნიორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაღიარების პოლიტიკაში და სასტიკად გმობს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას მეზობელი ქვეყნის მიმართ. მივიჩნევთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, აშშ-საქართველოს

სტრატეგიული თანამშრომლობის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარება, ვინაიდან აშშ ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის უმთავრეს გარანტს წარმოადგენს. ნატოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში, რადგან აღნიშნულ რეგიონში დესტაბილიზაცია უშუალო კავშირშია დესტაბილიზაციასთან შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ნატოს წევრი სახელმწიფოებით არის შემოსაზღვრული და რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის დაჩქარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისგან მომავალი საფრთხეების არიდების მიზნით.

ევროპის კავშირის საქართველოსადმი ინტერესი განსაკუთრებით მზარდია რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდგომი პერიოდიდან. ევროპულმა თანამეგობრობამ, საქართველოს მიმართ უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა გამოხატა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამების ფარგლებში და მრავალმილიონიანი დახმარება გამოყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის. ორმხრივი ურთიერთობები განმტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერით. ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის უფრო მეტი ინტეგრაციით ევროპაში, მათ შორის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების კუთხით.

რეკომენდაცია: ქართველი ერი, როგორც დასავლური ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი, ისტორიულად, მუდამ მიისწრაფოდა ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებებისაკენ. ევროპა საქართველოს ისტორიული და სუვერენული არჩევანია, რომელიც კიდევ უფრო გამყარდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდიდან.

ვინაიდან ევროკავშირი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის უმთავრესი გარანტია, რაც ლიბერალური ბაზრის სტიმულირებით, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას უწყობს ხელს, მივიჩნევთ, რომ საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესი უნდა გახდეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და ქვეყნის ექსპორტის რუსულ ბაზარზე შემცირების კუთხით (ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, ამ კუთხითაც არასაიმედო, არასანდო და არაპროგნოზირებადი პარტნიორია).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და განსაკუთრებით, საქართველოს მიმართ მზარდია უდიდესი ჩინური პროექტის — „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ ინიცირების პირველივე დღეებიდან. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა (გასასვლელი ზღვაზე) უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების გზაზე. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ჩინეთს სურს დამკვიდრდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც წამყვანი მოთამაშე, თუმცა იგი მუდმივ წინააღმდეგობას აწყდება რუსეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან.

რეკომენდაცია: ჩინური პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა იყოს ნავთობპროდუქტების არა მარტო სატრანზიტო ქვეყანა, არამედ გახდეს ეკონომიკური ჰაბი სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. აღნიშნული კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის განხორციელებას, როგორც ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დამაკავშირებელ კვანძს. მიიჩნევა, რომ სწორედ ანაკლიის პორტი შეასრულებს ჩინეთიდან ევროპულ ბაზარზე სატრანზიტო გადაზიდვების ფუნქციას. მეორე მხრივ, აღნიშნული მნიშვნელოვნად

გაზრდის საქართველოს სანდოობას გლობალური მასშტაბით და დადებით ზეგავლენას მოხდენას ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, უცხოური კაპიტალის შემოდინებისა და საქართველოში ბიზნეს-საქმიანობის წარმოების კუთხით. ასევე, ჩინეთის გლობალურ პროექტში ჩართვამდე, მივიჩნევთ, რომ უმჯობესია კომუნიკაცია ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან — აშშ-სთან.

თურქეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. იგი აქტიურად ლობირებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და მიესალმება რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს ჩართულობას. გლობალურ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს თურქეთის უდიდესი ძალისხმევა, საქართველოს ჩართულობით, უდიდესი ენერგოპროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი ყარსის სარკინიგზო პროექტი, ტრანს-ანატოლიური და ტრანს-ადრიატიკული მილსადენები და სხვ.) განხორციელებაში. ზემოაღნიშნულმა პროექტებმა საქართველოს სრულიად განსხვავებული დანიშნულება შესძინა საერთაშორისო ასპარეზზე.

რეკომენდაცია: საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთთან ურთიერთობაში პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება. თურქეთი საქართველოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორსა და კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირების უმთავრეს აქტორს წარმოადგენს. საქართველოს გადმოსახედიდან, თურქეთი მოიაზრება, როგორც გზა ევროპისკენ, საიდანაც პატარა ქვეყნისთვის დიდი შესაძლებლობები და პერსპექტივები ჩნდება. პოლიტიკურ კონტექსტში, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და რეგიონში რუსეთის საპირწონედ მოქმედებს. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია.

ირანის ისლამური რესპუბლიკა, როგორც უდიდესი სპარსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე, საუკუნეების განმავლობაში, ბუნებრივ მოთამაშეს წარმოადგენდა კავკასიის რეგიონში, რომელიც რეგიონის ორი წამყვანი აქტორის — რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის იმპერიის საპირისპიროდ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აქტიურად ახორციელებდა დაპყრობით ომებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ეპოქის დასრულების შემდეგ უდიდესმა დამპყრობელმა სახელმწიფოებმა, პოლიტიკური რეჟიმების თვალსაზრისით, ფუნდამენტური ტრანსფორმაცია განიცადეს. XXI საუკუნეში, ირანის ისლამური რესპუბლიკა პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. თეირანი თბილისთან ეკონომიკური კავშირების გამყარებისკენ ისწრაფვის.

რეკომენდაცია: გეოპოლიტიკურ ჭრილში, ირანის ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას საქართველოსთან მიმართებით, ენერგორესურსების ინდუსტრიალიზაცია და ქართული პორტების გავლით ბუნებრივი აირის ევროპულ ბაზარზე წვდომა წარმოადგენს. ეკონომიკის დივერსიფიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რომელიც ბუნებრივი აირის უმთავრეს მარაგს აზერბაიჯანისგან იღებს. აზერბაიჯანის მიერ ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტარიფის ზრდამ კი, შესაძლებელია, დაანგრიოს საქართველოს ეკონომიკას. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე, დაბალანსებული და პრაგმატული პოლიტიკა მართებს ირანთან დაახლოების კუთხით, რათა არ გამოიწვიოს ერთი მხრივ, აშშ-ის, ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელის გაღიზიანება, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნები აქტიურად იბრძვიან ირანის ისლამური რესპუბლიკისა და იმ ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების მტკიცებით, სწორედ თეირანისგან ფინანსდება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ დიდი მოთამაშეების ინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგოპოლიტიკა განსაზღვრავს, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით და ხშირად პოლიტიკური ზეწოლის „ქმედით“ მექანიზმადაც მოიაზრება. ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სწორედ ენერგოპოლიტიკით არის გამოწვეული სამხრეთ კავკასიის მზარდი როლი პოსტბიპოლარულ მსოფლიო გადანაწილებაში. ასევე, გამოვყოფთ რუსეთის ფაქტორს და მივიჩნევთ, რომ დიდი მოთამაშეების ინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის შეკავება წარმოადგენს, რომლის იმპერიალისტური ამბიციები პოსტსაბჭოთა სივრცეში ნათლად გაცხადდა ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომი პერიოდიდან.

XXI საუკუნეში, არაერთი გლობალური აქტორის საქართველოსადმი მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, ქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ ელიტებში, დღესაც მწვავე პოლემიკას იწვევს ქვეყნის თვითმყოფადობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხი. ჩემი მოკრძალებული მოსაზრებით, საქართველოს მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე, ზ. ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2009;

2. აბაშიძე ზ. ჩაღრმავებული ინტერვიუ, ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 17);

3. აკობია ე. საქართველო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რადარზე: ინსტრუმენტები და ინტერესები. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ., 2009. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.03.2021;

4. ალადაშვილი ბ. „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“. თბ., 2010;

5. ალიევი ქ. დემოკრატია აზერბაიჯანში: მოქუფრული სურათი. სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2014;

6. ამერიკის ხმა. ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობების შესახებ. 2011. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

7. ამერიკის ხმა. აშშ-რუსეთი: იქნება თუ არა გადატვირთვა 2017. 2017. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

8. არეშიძე, მ. „მსხვილი მოთამაშეების" პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საისტორიო ვერტიკალები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2014;

9. არეშიძე მ. რატომ ჩამოდის პომპეო და რა საფრთხის წინაშე დგება საქართველო ყარაბაღის გეოპოლიტიკური გადანაწილებით? საქართველოს რესპუბლიკა. N158-159, 14-16 ნოემბერი. 2020

10. არუშიძე პ. ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი — 2018. იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

11. აფციაური ქ. აფხაზეთის ომი 1992-1993. იხ. http://old.gruni.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

12. ასათიანი ს. მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა მწვავე სიტყვა წარმოთქვა, და დასავლეთის ქვეყნები გააკრიტიკა. რადიო თავისუფლება. 2007. იხ. https://www.radiotavisupleba.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

13. ბერდიანაშვილი, ზ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, გამომც. გლობუსი. თბ., 2015;

14. ბერიძე ჯ. საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.). სადოქტორო ნაშრომი. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი. ბათუმი — 2019. იხ. https://www.bsu.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

15. ბერუაშვილი მ. კულტურათაშორისი ურთიერთობების როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2016;

16. გვალია გ. ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების მომავალი: კონფლიქტი თუ თანამშრომლობა. იხ. http://eprints.iliauni.edu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

17. გორგილაძე ი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გამომც. უნივერსალი. თბ., 2009. https://taxuna.files.wordpress.com, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021;

18. გორგილაძე ი. ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომც. უნივერსალი, თბ., 2016;

19. გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბ., 2018. იხ. https://www.gfsis.org,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

20. დევდარიანი ნ. შენგელია ო. საქართველო–ირანის ურთიერთობა აშშ–ის ინტერესების
გათვალისწინებით. სტრატეგიული და რეგიონული თანამშრომლობა. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021;

21. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. 2003. იხ. https://eeas.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

22. ვეკუა კ. ევროკავშირი და ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა მშვიდობის მეცნიერებების პერსპექტივიდან. თბ., 2018;

23. ზარიფიანი ჟ. პირობითი ჩართულობა აშშ-ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2018. იხ. https://ge.boell.org/ka, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

24. ზარქუა ა. აშშ და ჩინეთი თუკიდიდეს ჩიხში — რა მომავალი აქვს ერთპოლუსიან მსოფლიოს. ტაბულა, 15 მაისი, 2020. იხ. https://www.tabula.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

25. თოფურიძე ნ. თურქეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. ქართულ-რუსული ურთიერთობები. „კავკასიური სახლის“ ანალიტიკური პორტალი. 19 თებერვალი. 2015. იხ. http://regional-dialogue.com,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

26. ისმაილოვი ე., პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. გამომც. დიოგენე. 2007;

27. კაკაბაძე დ. შავი ზღვის სინერგია — ევროკავშირის ახალი ინიციატივა. რადიო თავისუფლება. თბ., 2007. იხ. https://www.radiotavisupleba.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

28. კაპანაძე მ. ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები. თბ., 2021. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021;

29. კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2006. იხ. http://old.ucss.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

30. კიკნაძე კ. ლიბერალური დემოკრატია. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი — ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი, 2016. იხ. http://dictionary.css.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

31. კიკნაძე თ. რატომ არ გახდა აფხაზეთი მეორე კოსოვო? საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი — სამეფო გვირგვინი. 2018, N2;

32. კიკნაძე თ. აშშ-სთან ჩვენი ძირითადი მედიატორი კვლავ მაკკეინია. საქართველო და მსოფლიო. 2017 წელი, 17-13 მაისი, N18;

33. კიკნაძე თ. ამერიკა მუშაობს პინცეტით, რუსეთი — ნაჯახით. საქართველოს რესპუბლიკა. გლობალური პოლიტიკა. 2017 წელი. 15 აგვისტო, N163;

34. კოდუა ე. და სხვ. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი“, ლოგოს პრესი. თბ., 2004 იხ. http://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

35. კომახია მ. სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი. თბ., 2017;

36. კომახია, მ. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. Friedrich Ebert Stiftung. 2002, გვ. იხ. http://library.fes.de, უკანასკნელად გადამოწმდა— 20.05.2021;

37. მამრაძე პ. ჩინეთის პროექტი OBOR (One Belt — one Road), ანუ „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ („ესეგ“) და საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივა. გლობალური კვლევების ცენტრი. 9 ივლისი, 2017. იხ. http://globalresearch.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

38. მამრაძე პ. ჩაღრმავებული ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 16);

39. მაისაია ვ., რუსეთის მიზანი უკრაინასა და საქართველოზე გავლენის მოპოვებაა. ახალი თაობა. თბ., 2015, 7 იანვარი, N3 ;

40. მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2013;

41. მაისაია ვ. ჩაღრმავებული ინტერვიუ - ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 14);

42. მალაშხია შ. კონფლიქტების ანატომია. გამომც. სტამბა „ფორმა“. თბ., 2011;

43. მანჩხაშვილი მ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლები. თბილისის უნივერსიტეტის გამომც.. 2013;

44. მანჩხაშვილი მ. თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს. გამომც. უნივერსალი. თბ., 2014;

45. მარხულია გ. ჩაღრმავებული ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 18);

46. მაღალდაძე ე., და მელიქიშვილი გ. ამერიკა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება. ამერიკის ხმა. 2017. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

47. მენაღარიშვილი ი. საერთაშორისო ორგანიზაციები. როგორ შეიქმნა ნატო. 2017. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

48. ნეტგაზეთი. მითები და რეალობა ედუარდ შევარდნაძეზე. ინტერვიუ ზვიად ქორიძესთან. 2014. იხ. https://netgazeti.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

49. ოთიაშვილი ი. საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგები. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. თბ., 2019;

50. პაპავა ვ. ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. ექსპერტის აზრი. თბ., 2017. https://www.gfsis.org,

უკანასკნელად გადამოწმდა — 22.11.2020;

51. პაპავა ვ. ირანი და სამხრეთ კავკასია — გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები. 2016. იხ. https://www.timer.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

52. პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. გამომც. სიახლე. თბ., 2009;

53. ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა. სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS (Center for Social Sciences). თბ., 2006;

54. რადიო თავისუფლება. თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის პროექტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუარესების ძირითადი მიზეზია. 2020. იხ. https://www.radiotavisupleba.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

55. რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები. გამომც. ნეკერი, თბ., 2006;

56. საქართველოს პირველი არხი. რეჯეფ თაიფ ერდოღანი — განსაკუთრებული მადლობა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს, რომლებთან თანამშრომლობით TANAP-ის გაზსადენის ისტორიული პროექტი შედგა. 30. ნოემბერი. 2019. იხ. https://1tv.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

57. საქართველოს პირველი არხი. დავით ზალკალიანი — ამერიკასთან თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან ფასეულია, სხვაგვარად უსაფრთხოების გამოწვევებს ვერ გავუმკლავდებით. 2020. იხ. https://1tv.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

58. საქართველოს პარლამენტი. (2002). იხ. https://parliament.ge/ უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

59. სანიკიძე, ლ. „დედა-ისტორია“ თხზულებათა ტომი II, გამომც. „მოლოდინი“. საგამომცემლო კოოპერატივი „ჯეჯილი“. თბ., 1992;

60. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. ფონდი ღია საზოგადოება — საქართველო. გამომც. მერიდიანი. თბ., 2001;

61. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი. თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში. ანგარიში N14, 29 აპრილი. 2008. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

62.საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge/ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

63. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ვიცე-პრემიერი პეკინში „ეკონომიკური და სავაჭრო

თანამშრომლობის ზონალურ ფორუმზე“ გამოვიდა. 25 აპრილი. 2019. იხ. https://mrdi.gov.ge/ka, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

64. საქართველოს მთავრობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი გახსნა. 22 ოქტომბერი. 2019. იხ. http://gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

65. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „საერთაშორისო მისიები“. 2020. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

66. საქართველოს მაცნე. შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. თბ.,1996. იხ. https://matsne.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

67. საქართველო და ევროკავშირი. საინფორმაციო ცენტრი. თბ., 2020. http://old.infocenter.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

68. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ. 2009;

69. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. 2020. იხ. https://mfa.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

70. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. დიპლომატიური ურთიერთობების ქრონოლოგია. https://mfa.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

71. ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი. 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ. 2015. იხ. http://regional-dialogue.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

72. საქართველოს პარლამენტი. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი. 2014. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

73. საქართველოს პარლამენტი. იხ. http://parliament.ge/ge/ უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

74. საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

75. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში. ანგარიში: N14, 29 აპრილი, 2008. იხ. http://www.parliament.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

76. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. საქართველოს პრეზიდენტი. უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართველ მშვიდობისმყოფელთა ასეული ავღანეთში გააცილა. იხ. https://president.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

77. საქართველოს რესპუბლიკა. იცის ღმერთმა ყველაფერს გავაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის განცხადება. N213, 28 სექტემბ. 1993;

78. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო-ნატოს ურთიერთობები. 2020;

79. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ. 2009;

80. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო აგრძელებს ევროკავშირთან გაფორმებული ამბიციური ასოცირების შეთანხმების შესრულებას. იხ. www.//mfa.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა— 22.05.2021;

81. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი". იხ. http://energy.gov.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

82. საქართველოს ნავთობისა და გაზის კოოპერაცია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. იხ. https://www.gogc.ge,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

83. საქართველო და ნატო. ნატოს სამიტები. 2020. იხ. http://old.infocenter.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

84. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2018. იხ. https://mod.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

85. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი II, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. ირიდა. თბ., 2013;

86. საქართველოს მთავრობის განკარგულება. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. 2019. იხ. http://gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

87. სულთანოვა შ. აშშ-ს მიერ იარაღის გაყიდვის აკრძალვა აზერბაიჯანის შეიარაღებას ხელს არ შეუშლის". რეგიონული მედიის ქსელი. 2012. იხ. http://reporter.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

88. ფარულავა დ. აშშ-ის დაზვერვა ეჭვობს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი რუსეთმა ააფეთქა

ლიბერალი. 11 დეკემბერი. 2014. იხ. http://liberali.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

89. ფხალაძე თ., გეოპოლიტიკური ფორსმაჟორი, ანუ რატომ ჩამოდის პომპეო?! კვირის პალიტრა. ავტ. ნათია დოლიძე. 16/11/2020. იხ. www.kvirispalitra.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 24.05.2021.

90. ღუდუშაური ნ. ახალი მსოფლიო წესრიგი და კავკასია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2009;

91. ყალიჩავა კ. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში. გამომც. მერიდიანი. თბ., 2016;

92. ყიფიანი მ. ადამიანებიდან ხალხებამდე: ეთნოტერიტორიულობის საბჭოთა სისტემის დასაწყისი და დასასრული. ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში. იხ. http://www.humanrights.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

93. შარაშენიძე თ. ირანის როლის სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი. თბ., 2011;

94. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. 2019. იხ. https://smr.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

95. ჩიტაძე ნ. ნატო: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბ., 2008;

96. ჩიტაძე ნ. პოლიტოლოგია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ., იხ. https://digitallibrary.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 25.05.2021

97. ჩიტაძე ნ. ჩაღრმავებული ინტერვიუ — ჩაწერილია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში (იხ. დანართი 15);

98. ჯანდიერი გ. თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები. 2016;

99. ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომც. უნივერსალი. თბ., 2010;

100. ჭარაია ვ., ანგურიძე ო., და სხვ. ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში. არასამთავრობო ორგანიზაცია „სექტორი 3“. თბ., 2020. იხ. https://sector3.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

101. ჭიპაშვილი ჰ. რა ხდება რუსეთში? საერთაშორისო ცხოვრება, საქართველოს რესპუბლიკა, N213. 28 სექტემბ. 1993;

102. Abbasi M. Pathology of Political Relations between the Islamic Republic of Iran and Georgia (2000-2017). The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi, 20201. გვ.186 იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021;

103. Aleksanyan L.M. Turkish-Georgian relations in the context of Turkey's regional policyat the current stage. Проблемы постсоветского пространства. 4(4). 2017;

104. Allison G. Destined for War: Can America and China escape Thucydides's trap. ? Houghton Mifflin Harcourt. 2017;

105. Angela Merkel. Knatsler of the Germany. Twitter account. იხ. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

106. Aras B., Akpınar P. The Relations Between Turkey and Caucasus. Perceptions. 16(3). 2011;

107. ARMENPRESS. Наша дипломатия одержала крупную победу: премьер-министр Республики Армения. 2020. იხ. https://armenpress.am/rus, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

108. Avakian S. Nagorno Karabakh legal aspects. Fifth edition. 2015. იხ. https://efile.fara.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

109. Asmus R. A little war that shook the world: Georgia, Russia, and the future of the West. St. Martin's Press. 2010;

110. Berlet C. Dances with devils, How apocalyptic and millennialist Themes influence rightwing scapegoating and conspiracism. political research associates. Somerville. 1998;

111. BBC NEWS. Trump impeachment: The short, medium and long story. 2020. იხ. https://www.bbc.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

112. BBC. Armenia-Azerbaijan: Why did Nagorno-Karabakh spark a conflict? Nagorno-Karaback conflict. November 12, 2020. იხ. https://www.bbc.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

113. Black Sea Economic Cooperation (BSEC). Our mission. 2018. იხ. http://www.bsec-organization.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

114. Boris Johson. The prime-Minister of Great Britain. Twitter account. იხ. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

115. Burak Bir. Top Turkish diplomat: „21st century to be Asia's century. Turkey launched an Asia Anew initiative in 2019 to improve ties with Asian nations, says Mevlut Cavusoglu. 2021. იხ. https://www.aa.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

116. Burns W. U.S.-Azerbaijan Relations, Under Secretary for Political Affairs“. Georgetown University. Washington, DC. September 18, 2009. იხ. https://2009-2017.state.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

117. Business Media Georgia. ტრამპი ნატოს დაფინანსებას ამცირებს, დაზოგილ თანხას საქართველოს და უკრაინას მოახმარს — CNN. 29 ნოემბერი, 2019. იხ https://bm.ge/ka, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

118. Brzezinski Z. The grand chessboard. New York: Basic Books. 1997;

119. Civil.ge. Глава МИД Грузии находится с визитом в Турции. იხ. https://civil.ge/ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

120. Charaia, V., Papava, V. Belt and Road Initiative: implications for Georgia and China-Georgia economic relations. China Int'l Stud., 67. 2017. იხ. http://eprints.tsu.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

121. Celikpala M. Security in the Black Sea Region: Policy Report II. The Commission on the Black Sea. 2010;

122. Cohen, S.F. Failed Crusade: America and the tragedy of post-communist Russia. WW Norton and Company. 2001

123. CONGRESS. GOV. H.R.1152 - Silk Road Strategy Act of 1999“. იხ. https://www.congress.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

124. Cornell S. „Azerbaijan since independence“. Routledge. 2015;

125. Cornell S. Small nations and great powers: a study of ethnopolitical conflict in the Caucasus. Routledge. 2005

126. Cornell, S.E., Starr, S.F., Tsereteli, M. A Western Strategy for the South Caucasus. Central Asia-Caucasus Institute, Paul H. Nitze School of Advanced International Studies. 2015. იხ. https://www.silkroadstudies.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

127. Czech Presidency of the European Union. Summit "Southern Corridor — New Silk Road. Prague summit. May 2009. იხ. http://www.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

128. DAILY SABAH. 6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus. Erdoğan says. 11 December. იხ. 2020. https://www.dailysabah.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

129. Dobbin F. Simmons B., and Garrett G. The global diffusion of public policies: social construction, coercion, competition, or learning? Annual Review of Sociology. vol. 33. 2007;

130. Dugyala R. Pelosi on Trump: 'With him, all roads lead to Putin. Members of Congress seek answers on reports about Russian bounties on US soldiers. POLITICO, 2021. იხ. https://www.politico.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

131. Dumbadze A. Sarkozy on August 2008 War: Saakashvili Did Everything to Escalate Situation. Georgia Today. 05 August 2020. იხ. http://georgiatoday.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

132. Dunlop B. Russia confronts Chechnya. Roots of a separatist conflict. Cambridge University Press;

133. Ellena M. Exclusive: Inside the Kremlin as the Berlin Wall Fell. Eduard Shevardnadze details Kremlin reaction to fall of Berlin Wall. ABC NEWS. 2009. იხ. https://abcnews.go.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

134. European Commission. EU-Georgia Relations, European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. 2020. იხ. https://ec.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

135. Eastern Partnership. Facts and figures about EU-Georgia relations. 2020. იხ. https://ec.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

136. Edwards H. S. Iran's Near Abroad: Baset by Global Sanctions, Iran's Leaders go Local. Foreign Policy. September 20, 2010. იხ. http://ww12.foreign-policy.com/, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

137. Emmanuel Macron. The President of France. Official Twitter page, იხ. https://twitter.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

138. Erol A. An in-depth interview. Recorded by the author in April 2021 (იხ. დანართი 19);

139. European Union Monitoring Mission (EUMM). 2020. იხ. https://eumm.eu/en/about_eumm/mandate, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

140. EUROPE TIME. Ben Hodges: I'd like to see the USA increase its infrastructure in Georgia, especially to support rotational forces and strategic air lift. 11 November, 2020. იხ. https://europetime.eu/en, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

141. FIRST CHANNEL. General Ben Hodges: We should extend an invitation to Georgia to immediately join NATO. 23 November, 2020. იხ. https://1tv.ge/en, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

142. Friedman T. Foreign Affairs, Pipeline Politics. 1995. New York Times. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

143. Fukuyama F. The end of history and the last man". The free Press, A Division of Macmillan. Inc. New York. 1992;

144. Gall, C., and Waal, T. Chechnya: Calamity in the Caucasus. New York. New York University Press;

145. Gerrits, A.W., and Bader, M. Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: implications for conflict resolution. East European Politics, 32(3), 2016. იხ. https://www.tandfonline.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

146. Ghiasy R., and Zhou, J. The Silk Road Economic Belt: Considering Security Implications and EU-China Cooperation Prospects. Sweden and Germany, SIPRI & Friedrich Ebert Stiftung. 2017;

147. Gogolashvili K. New Silk Road: A Stage for EU and China to Cooperate. Expert Opinion, (86). 2017;

148. Gray J. Why this crisis is a turning point in history. NewStatesman, 2021. იხ. https://www.newstatesman.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

149. Hamilton R. NATO in the South Caucasus: Present on Duty of Missing in Action? Eurasia program. Foreign Policy Research Institute. 2017. იხ. https://www.fpri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

150. Hall, P. A. Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain. Comparative politics. 1991;

151. Heywood A. Politics. Second edition. palgrave foundations. Macmillan. 2002;

152. Huntington S. The Clash of Civilizations. Foreign affairs, 1993;

153. Hobbes, T., and Missner, M. Thomas Hobbes: Leviathan (Longman Library of Primary Sources in Philosophy). Routledge. 2016;

154. Horrell S. A NATO Strategy for Security in the Black Sea Region. Atlantic Council. 2016;

155. Hosseinpanahi H., Baizidi R. The impact of Foreign Powers on Iran-Georgia Relations: A Comparative Study of Russia and the USA. The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi, 2021. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021

156. Human Rights Watch. Georgia/Abkhazia: Violations of the laws of war and Russia's role in the conflict. 1995. იხ.
https://www.hrw.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

157. Human Rights Watch. Arms Project Human Rights Watch/Helsinki, GEORGIA/ABKHAZIA: Violations of the laws of war and Russia's role in the conflict, March 1995. იხ. https://www.hrw.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

158. Ibrahimov R. Foreign Policy of Azerbaijan: Adequacy and Predictability, Caspian Report. Caspian Strategy Institute, Spring. Issue: 09, 2015;

159. INOGATE. Regional energy cooperation program between the European Union and 11 partner countries in Eastern Europe, Caucasus and Central Asia. EU-2020. იხ. http://www.inogate.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

160. International Crisis Group. Getting from Ceasefire to Peace in Nagorno-Karabakh. Europe and Central Asia. 2020. იხ. https://reliefweb.int, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

161. Kandiyoti R. Pipelines: Flowing Oil and Crude Politics. I. B. Tauris. 2008;

162. Kaplan R. Anarchy and Hegemony. Global affairs with Robert D.Kaplan, Stratfor. 2013 იხ. https://worldview.stratfor.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

163. Karimova A. Baku-Tbilisi-Erzurum pipeline blasted again. AZERNEWS. 25 August, 2015. იხ. https://www.azernews.az/oil_and_gas,
უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

164. Kindleerger C. World in depression 1929-1939. University of California Press. 1973;

165. Kinser S. On Piping Out Caspian Oil, U.S. Insists the Cheaper, Shorter Way Isn't Better. New York Times. 1998. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

166. Kiplinger Magazine. How to do business under the Marshall plan. For European Recovery: The Fiftieth Anniversary of the Marshall Plan, Library of Congress, May. 1948 იხ. https://www.loc.gov, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

167. Kissinger H. World Order, Reflections on the character of Nations and the Course of History. penguin books. 2014;

168. Kissinger, H. The Coronavirus Pandemic Will Forever Alter the World Order. Wall street Journal. Opinion. 3 April, 2020. იხ. https://www.wsj.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

169. Keohane R. After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press. United Kingdom. 1984;

170. Keohane R., and Nye, J. Power and Interdependence. (Longman 3rd Edition). 2000;

171. Klein M. Russia's Military Capabilities, Great Power Ambitions and Reality. SWP Research paper. 2009. იხ. https://www.swp-berlin.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

172. Koolaee E., Alizadeh S. The Role of International Transport Corridors in Bolstering Ties Between Iran and Georgia. The proceedings of the fourth and fifth international scientific conferences on Georgia-Iran political, Economic and Cultural Relations. Tbilisi. 2021. იხ. https://dspace.nplg.gov.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.10.2021;

173. König M. The Georgian-South Ossetian Conflict. Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg/IFSH (ed.), OSCE Yearbook. 2004. იხ. https://ifsh.de/file-CORE, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

174. Leffler M.P., and Painter, D.S. eds., Origins of the Cold War: an international history. Psychology Press. 2005;

175. Legvold R. Return to cold war. John Wiley and Sons. 2016.

176. LeVine S. The Oil and the Glory: the pursuit of empire and fortune on the Caspian Sea. Random House. 2007

177. Lynch D. Why Georgia Matters (Vol. 86). Institute for Security Studies, European Union. 2006. იხ. https://www.iss.europa.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

178. Luis L. Schenoni. International studies. International studies association and Oxford University Press. 2021. იხ. https://oxfordre.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

179. Mankoff J. Russian Foreign Policy: The return of great power politics. Rowman & Littlefield Publishers. 2009;

180. Machiavelli N., The Prince [1513]. The Prince and other Political Writings, ed. S. Milner. 1995;

181. Markedonov S. The Realists in Tehran. Region: RussiaIranSouth CaucasusTurkey. 2012. იხ. https://nationalinterest.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

182. Maugeri L. The Age of Oil: The Mythology, History, and Future of the World`s Most Controversial Resource. Praeger Publishers. 2006;

183. McFaul, M. From Cold War to Hot Peace: An American Ambassador in Putin's Russia. Houghton Mifflin Harcourt. 2018;

184. Mearsheimer J. Why We Will Soon Miss the Cold War. Atlantic Monthly. 266/2, 1990. იხ. https://www.theatlantic.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

185. Mehr News Agency. Georgia Apologizes for extraditing Iranian national to U.S. 2010. იხ. http://www.payvand.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

186. Melvin J. SIPRI Policy Paper No. 50 Rebuilding Collective Security in the Black Sea Region the risks of military confrontation in the Black Sea region. SIPRI Policy Paper No. 50, December 2018. იხ. https://www.sipri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

187. Meriam Webster dictionary, since 1828. Hegemony. 2021. იხ. https://www.merriam-webster.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

188. Modebadze M., and Kozgambayeva, G. Russia's Geopolitical Interests in Georgia (South Caucasus and the Threats Coming From Moscow). 2019. Серия историческая, 91(4);

189. Modelski G. Long Cycles in World Politics. Seattle: University of Washington Press. 1989;

190. Morgenthau H. J. Politics among nations : the struggle for power and peace. New York: Knopf, 1965;

191. Nye J. COVID-19 Might Not Change the World. FP, 2021. იხ. https://foreignpolicy.com/ უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

192. NATO. (North Atlantic Treaty Organisation). "Meeting of NATO Ministers of Foreign Affairs. Brussels, 01-02 December 2020 (online event). იხ. https://www.nato.int, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

193. NATO. Public diplomacy division. Partners in South Caucasus. Review paper. Brussels-2007.იხ. https://www.nato.intf, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

194. New Strategy Center. Centro Studi Internazionali, Militarization of the Black Sea and Eastern Mediterranean theatres. A new challenge to NATO, 2019. იხ. https://www.newstrategycenter.ro, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

195. Nichol J. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. Congressional Research Service. 2010. იხ. https://www.everycrsreport.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

196. Nodia G. Causes and visions of conflict in Abkhazia, 1997. იხ. https://escholarship.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

197. Nurgaliyeva L., Kazakhstan's economic soft balancing policy vis-à-vis Russia: From the Eurasian Union to the economic cooperation with Turkey. Journal of Eurasian Studies. 7(1). 2016. იხ. https://journals.sagepub.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

198. Organski A. World politics. New York: Alfred A. Knopf. 1958;

199. Organski A., Kugler J. The war ledger. Seattle: The University of Chicago Press, 1980;

200. OSCE. Ministerial Council, Madrid, Second day of the Fifteenth Meeting. MC(15) Journal No. 2, Agenda item 8. 2007. იხ. http://iccn.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

201. OSCE. Mandate for the Co-Chairs of the Minsk Process. 1995. იხ. https://www.osce.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

202. Papava, V. On the Role of the "Caucasian Tandem" in GUAM. Central Asia and the Caucasus. 2008;

203. Parliament UK. After Georgia. The EU and Russia. Follow-Up Report — European Union Committee Contents. Parliamentary business. 2019. https://publications.parliament.uk, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

204. Placek K. The democratic peace theory. E-International Relations, 2012. იხ. https://www.e-ir.info, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

205. Protracted Conflicts in the OSCE Area. Innovative Approaches for Co-operation in the Conflict Zones, OSCE (Organization for Security and Co-operation in Europe). Hamburg, December 2016. იხ. https://osce-network.net, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

206. President of Russia. Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy. 2007. იხ. http://en.kremlin.ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

207. President Bush's speech to Congress, New World Order. 1990. იხ. https://web.archive.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

208. PTN. ისტორიული ფაქტის მომსწრენი გავხდით — ნათია თურნავა საქართველოს გავლით ჩინეთში ტვირთის იმპორტზე. 09 დეკემბერი. 2020. იხ. https://ptn.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

209. Rafael K. Pipelines: Flowing Oil and Crude Politics. I. B. Tauris. 2008;

210. Rondeli A. Iran and Georgia-Relations could be better. Georgian Foundation for Strategic and International Studies. 2014. იხ. https://www.gfsis.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

211. Rondeli A. The choice of independent Georgia. The security of the Caspian Sea region. 2001. იხ. https://www.sipri.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

212. Rzayeva, G. The Outlook for Azerbaijani Gas Supplies to Europe: Challenges and Perspectives. The Oxford Institute for Energy Studies, OIES PAPER: NG97. 2015 https://www.oxfordenergy.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2020;

213. Sarker M.N.I., Hossin M.A., Yin, X. and Sarkar M.K. One Belt One Road initiative of China: Implication for future of global development. Modern Economy, 9(4). 2018.

214. Shanker T., and Landler M. Putin Says U.S. Is Undermining Global Stability. The New York Times. 2007. იხ. https://www.nytimes.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

215. Sonnleitner, D. Russia's backyard — unresolved conflicts in the Caucasus. Politics in Central Europe. 12(1), 2016;

216. Stent A.E. The Limits of Partnership: US-Russian Relations in the Twenty-First Century — Updated Edition. Princeton University Press. 2015;

217. TANAP. The project the world is talking about. Project management Institute. 2020. იხ. https://www.tanap.com/, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

218. TAP. Trans Adriatic Pipeline. Reliable transmission services. 2020. იხ. https://www.tap-ag.com/, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

219. The Washington Post. „Eduard Shevardnadze helped change the world". 2014. https://www.washingtonpost.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

220. The white house. Readout of President Joseph R. Biden, Jr. Call with Secretary-General Jens Stoltenberg of NATO. January 26. 2021. იხ. https://www.whitehouse.gov, უკანასკნელად გადამოწმდა —20.05.2021;

221. The Bishkek Protocol. 1994. იხ. http://iccn.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

222. Tsereteli M. Retrospective on the US-Georgia diplomatic relations. Turning points, Global Agenda. 2018;

223. Tuathail G.Ó. Russia's Kosovo: A critical geopolitics of the August 2008 war over South Ossetia. Eurasian Geography and Economics, 49(6). 2008. იხ. https://ibs.colorado.edu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

224. TRACECA. Transport Corridor Europe Caucasus Asia. ASIA REGIONAL INTEGRATION CENTER. 2019-2020. იხ. https://aric.adb.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

225. Uslu N. The Russian, Caucasian and Central Asian Aspects of Turkish Foreign Policy of the Post Cold War Period. Turkish Journal of international relations. 2(3-4). 2003;

226. Vindimian M. Evolution of Turkish Foreign Policy towards Georgia. Universitäts-und Landesbibliothek Sachsen-Anhalt. 2010;

227. Voice of America. დონალდ ტრამპი და ევროპული გამბიტი. 12 ნოემბერი, 2018. იხ. https://www.amerikiskhma.com, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

228. Waal T. The Caucasus: An Introduction. Oxford University Press; 2010;

229. Wallerstein I. World-systems Analysis: An Introduction. Seattle: Duke University Press. US. 2005;

230. Welt C. Georgia: Background and US Policy. In Congressional Research Service Report for Congress. 2019. იხ. https://fas.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

231. Welt C. How Strategic is the US-Georgia Strategic Partnership. George Washington University. Washington, 2010;

232. Winter S. Central Asia: U.S. Says Resolving Conflicts A Top Priority. Radio Free Europe, Radio Liberty. 1997. იხ. https://www.rferl.org, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

233. Woodruff, P. Reverence: Renewing a Forgotten Virtue. Oxford: Oxford University Press. 2014.

234. Wuthnow J. Chinese Perspectives on the Belt and Road Initiative: Strategic Rationales, Risks, and Implications. National Defence University Press. Washington — 2017;

235. Ziguo L. The Greater Eurasian Partnership: Remodeling the Eurasian Order. China Int'l Stud., 63, p.46. 2017;

236. Аршакян Г. Основные направления турецко-грузинских отношений в контексте региональной политики Турции в начале XXI в., Проблемы национальной стратегии. 6 (33) 2015;

237. Civil.ge. Глава МИД Грузии находится с визитом в Турции. იხ. https://civil.ge/ru/archives/403231, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

238. Алексанян Г. Первая республика определила современную идентичность Грузии. Кавказский Узел. 2018. იხ. https://www.kavkaz-uzel.eu, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

239. Бочарников И.В. Кавказская политика России в X–XX веках. Научно-исследовательский центр проблем национальной безопасности. Москва, 2013;

240. Гаджиев К. Геополитика Кавказа. Москва: Международные отношения. 2001;

241. Дечев Т. Черният Януари в Баку-1990, Карабахският конфликт и распадането на Съветския съюз. 2019;

242. Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат). Сборник архивных документов. Русская книга. 1992. http://www.amsi.ge, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021;

243. Караганов С. С Востока на Запад, или Большая Евразия. Россия активно закрепляется на растущих рынках Азии. 2016. 24. 10. https://rg.ru/2016/10/24/politolog-karaganov-povorot-rossii-k-rynkam-azii-uzhe-sostoialsia.html, უკანასკნელად გადამოწმდა — 22.05.2021;

244. Клаар Т. Интервью: Тойво Клаар, специальный представитель ЕС по вопросам кризиса в Грузии. Civil. Ge. Суббота. 12 Декабрь 2020. https://civil.ge/ru, უკანასკნელად გადამოწმდა — 15.12.2012;

245. Министерство иностранных дел Республики Арменииия. Нагорно-Карабахская проблема. იხ. https://www.mfa.am/ru/nagorno-karabakh-issue, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.05.2021.

დანართები

დანართი 1.

- *კავკასიის რუკა*

წყარო: The Avovayan group. Map of the Caucasus, January 2014. იხ. https://abovyangroup.org.

დანართი 2.

- *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენები*

წყარო: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენები. იხ. http://www.wermac.org/misc/pipelines.html.

დანართი 3.

- *ბაქო-თბილისი-ერზურუმის (შაჰდენიზი) გაზსადენი*

წყარო: ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი. იხ. https://www.turan.az.

დანართი 4.

- *ტრანს-ანატოლიური მილსადენი (ტანაპი)*

წყარო: ტრანს-ანატოლიური მილსადენი (ტანაპი). იხ. http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=3605.

დანართი 5.

- ***ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი***

წყარო: ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი. იხ. [https://eurasian-research.org/publication/recent-developments-in-the-baku-tbilisi-kars-railway-project/.](https://eurasian-research.org/publication/recent-developments-in-the-baku-tbilisi-kars-railway-project/)

დანართი 6.

- *საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები)*



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ. [https://www.geostat.ge.](https://www.geostat.ge)

დანართი 7.

- *საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში ქყენების ჯგუფის მიხედვით (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები)*



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ. https://www.geostat.ge

დანართი 8.

- *საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები)*



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi.

დანართი 9.

- ***საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში ქვეყნების ჯგუფის მიხედვით (2021 წლის იანვარ-აგვისტოს თვის მონაცემები)***



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ. https://www.geostat.ge.

დანართი 10.

- *ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების პაკეტი კოვიდ-19-თან გამკლავების მიზნით*

წყარო: European Commission. Coronavirus: Commission proposes €3 billion macro-financial assistance package to support ten neighbouring countries. ob. www.//ec.europa.eu.

დანართი 11.

- *უძველესი „აბრეშუმის გზის“ მარშრუტი*



წყარო: IRAN FRNT PAGE. Iran Ready for Active Participation in China's 'One Belt, One Road'. ob. https://ifpnews.com.

დანართი 12.

- *ახალი „აბრეშუმის გზის“ ეკონომიკური სარტყელი*

წყარო: UNITEE BLOG. From the Ancient Silk Road to the One Belt, One Road Initiative. იხ. https://blog.unitee.eu.

დანართი 13.

- *ევროპული ქვეყნების დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე*



წყარო: statista. Europe is Highly Dependent on Russian Gas. ob. www.statista.com.

დანართი 14.

ვახტანგ მაისაია — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში

1. პოსტბიპოლარული ტენდენცია საკმაოდ საინტერესო იყო, ვინაიდან ბიპოლარული სამყარო დაიშალა და იყო საუბარი გეოპოლიტიკურ ტრანზიციაზე. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა ე.წ. „თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც რუსეთის დემოკრატიული გზით განვითარებასაც ითვალისწინებდა. აშშ-სა და მაშინდელ ელცინის რუსეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობები დამყარდა. რუსეთი დიდი რვიანის შემადგენლობაში მიიღეს და თითქოს დაპირისპირება და კონფლიქტი ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის არ უნდა ყოფილიყო. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, აშშ-ის ლიდერობით, მსოფლიოში უნიპოლარიზმი მყარდება. დაიწყო ტოტალური ომი ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ და აშშ-ის ერთპიროვნულმა ბატონობამ საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო. „Pax-Americana“ და აშშ-ის უნიპოლარობა 2013 წლამდე გაგრძელდა, რომლის შემდეგაც რუსეთმა და ჩინეთმა ახალი ტიპის განვითარება დაიწყეს და აშშ-ის უნიპოლარიზმს წერტილი დაუსვეს. ჩინეთმა ამისთვის რბილი და ხისტი ძალების ერთგვარი ნაზავი-ჭკვიანი ძალა გამოიყენა, რომელმაც გამოხატულება პოვა მის ამბიციურ პროექტში „ერთი გზა-ერთი სარტყელი“. რუსეთმაც თავისი რეალური სახე აჩვენა და მოახდინა ყირიმის ანექსია. დღეს მსოფლიო წესრიგი არის ტრიპოლარული, გადანაწილებული აშშ-ის, რუსეთსა და ჩინეთს შორის. აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა და განმტკიცდა 2018 წლის მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზეც, სადაც ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად შეთანხმდნენ, რომ დღეს მსოფლიო სამპოლუსიანია. ყალიბდება ევრაზიული კონტინგენტი ტრანსატლანტიკური სივრცის — ამერიკის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის და რუსეთის ინტერესები გარკვეულ საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ისინი, უპირველეს

ყოვლისა, საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ. კავკასიის როლი, ამ შემთხვევაში, იმაში გამოიხატება, რომ ტრიპოლარული წესრიგის ელემენტები იკვეთება საქართველოს ჭრილშიც. ამერიკა უპირისპირდება რუსეთს და რუსეთი — ამერიკას, ამერიკა უპირისპირდება ჩინეთს და ჩინეთი-ამერიკას. რუსეთსა და ჩინეთს შორისაც არის სერიოზული დაპირისპირებები, თუმცა არა ისეთი გამოხატული, როგორიც ჩინეთ-ამერიკასა და რუსეთ-ამერიკას შორის. საქართველო აღმოჩნდა ტრიპოლარული სამყაროს პირდაპირი ეპიცენტრი. აღნიშნულის მაგალითია ანაკლიის პორტი, რომელმაც კარგად აჩვენა, თუ როგორია დაპირისპირება კავკასიის რეგიონში, ჩინეთსა და ამერიკას შორის.

2. თუ ამერიკა და რუსეთი „ცივი ომის“ განმავლობაში სუპერსახელმწიფოები იყვნენ, დღეს ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი უბრალოდ დიდი სახელმწიფოები არიან. განსხვავება დიდია, ფაქტობრივად, მათი დეგრადაცია მოხდა. ყოფილი სუპერსახელმწიფოები, ამერიკა და რუსეთი, დღეს იმ მასშტაბებს ვერ სწვდებიან, რაც მათ „ცივი ომის“ განმავლობაში ჰქონდათ. მაგალითად, ამერიკა „ცივი ომის“ პერიოდში თავდაცვაზე თავისი მშპ-ის 25%-ს ხარჯავდა, დღეს იგი მხოლოდ 4%-ს ხარჯავს. საბჭოთა კავშირი, „ცივი ომის“ პერიოდში ხარჯავდა მშპ-ის 40%-ს და, ბუნებრივია, ის სუპერსახელმწიფო იყო. რუსეთი დღეს თავდაცვაზე ხარჯავს მშპ-ის დაახლოებით 5%-ს. ამერიკის დიდება უკვე დიდი ხანია ჩაესვენა. „ცივი ომის“ დროინდელ და დღევანდელ აშშ-ს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც იულიუს კეისრისა და დიოკლეტიანეს რომს შორის. დღეს აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობა გვაქვს. დიდი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირდაპირ გადაიკვეთა. ჩინეთს სურს, სამხრეთ კავკასია „ერთი გზა-ერთი სარტყლის“ გავლენის ქვეშ მოაქციოს, თავისი პროექტი განახორციელოს და კავკასიის რეგიონიდან ბაზარი გააფართოოს ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. აშშ-ს ასევე გააჩნია თავისი ინტერესები. მის ინტერესებში შედის რუსეთისა და ჩინეთის შეჩერება. მათ აქვთ „სამი ზღვის

კონცეფცია“, ჩინეთის დომინანტობის საპირწონედ. რასაკვირველია, აშშ-ის უმთავრესი ინტერესი რუსეთის ჩაკეტვაცაა, რაც არ მისცემს მას საშუალებას, ღიად განახორციელოს თავის გეოსტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თავის მხრივ, რუსეთი კავკასიას თავისი გავლენის ზონად განიხილავს „მონროს დოქტრინის“ ვარიანტში, მათ ტერმინიც კი აქვთ შემოტანილი „ზაკავკაზი“ რომელსაც ისინი იყენებენ და ეს პუტინმა ისევ აღადგინა. როგორც ამერიკელები მტკივნეულად აღიქვამენ ვენესუელასა და ნიკარაგუაში რუსეთისა და ჩინეთის გავლენების გაძლიერებას, ასევე მტკივნეულად აღიქვამს რუსეთი კავკასიაში ამერიკისა და ჩინეთის გამოჩენას. მათი პერსპექტივიდან, კავკასია და ზოგადად, ევრაზიული სივრცე, უნდა იყოს რუსეთის პირდაპირი გავლენის ქვეშ.

3. სი ძინპინის მიერ წამოყენებული „ერთი გზა — ერთი სარტყელი“ პროექტის შემდეგ, ჩინეთი გლობალური გავლენის ცენტრში მოექცა. მან მიიღო დიდი სახელმწიფოს სტატუსი და გახდა ტრიპოლარული მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი აქტორი. ამით დაიწყო მისი სვლა გლობალური ჰეგემონობისკენ. საქართველო აუცილებლად უნდა ჩაერთოს აღნიშნულ პროექტში, ვინაიდან ჩინეთი აქტიურად არის დაინტერესებული ეკონომიკური და ფინანსური ინვესტიციებით საქართველოში. სწორედ იქიდან მოდის ფინანსური ინვესტიციების დაახლოებით 60% და საქართველოსთვის ჩინური ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის სტიმულირებასთან გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩინეთი ასევე დიდ როლს თამაშობს საგარეო პოლიტიკის, კერძოდ კი, არაღიარების პოლიტიკის კუთხითაც. იგი მხარს უჭერს საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას.

4. „მთიანი ყარაბაღის“ ომმა და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთი და ირანი, რუსეთთან ერთად, უკვე რეგიონული ჰეგემონები არიან. ბუნებრივია,მათ გააჩნიათ პირდაპირი ინტერესები კავკასიის რეგიონში. ისინი კავკასიური ქვეყნები არიან. კავკასია შედგება 6 სახელმწიფოსგან, ესენია: რუსეთი, თურქეთი,

ირანი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. კავკასია უკვე შემდგარი გეოპოლიტიკური რეგიონია, რომელსაც გააჩნია ერთიანი გეოპოლიტიკური მაიდენტიფიცირებელი ელემენტი. ამრიგად, ირანი და თურქეთი, რა თქმა უნდა, მისი განუყოფელი ავტოქთონური გეოპოლიტიკური აქტორები არიან.

დანართი 15.

ნიკა ჩიტაძე — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში

1. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც სუპერსახელმწიფოს სტატუსს აკმაყოფილებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრიზმაში — ამერიკის შეერთებული შტატებია. თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე არსებობენ სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეები, მათ შორის, ჩინეთი (უფრო ეკონომიკური თვალსაზრისით), ისე, როგორც ევროკავშირი, როგორც მძლავრი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მოთამაშე და რუსეთის ფედერაცია, როგორც სამხედრო ძალა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესები ასევე იკვეთება სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამასთან, დიდი სახელმწიფოების ინტერესები, თავიანთი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მისწრაფებებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ერთმანეთისგან განსხვავდება.

2. რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონს განიხილავს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეს, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ზონად და მისი გავლენის სფეროდ. აქედან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს, რომ

ყველანაირი გზით, მათ შორის, თუნდაც საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაციით, ან თუნდაც, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში უხეში ჩარევით, სხვადასხვა ჰიბრიდული მეთოდის გამოყენებით, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს უკავშირდება, შეინარჩუნოს საკუთარი კონტროლი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. რაც შეეხება ჩინეთს, მისი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სამხრეთ კავკასიამ ითამაშოს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია მის პროექტში „ერთი გზა-ერთი სარტყელი“, რომელშიც ევრაზიის 60-მდე ქვეყანა მონაწილეობს. ჩინეთი დაინტერესებულია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გამოყენებით, განახორციელოს ტვირთების ტრანსპორტირება ევროპის მიმართულებით. ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. აღნიშნულის შედეგად, ცამეტ დღეში არის შესაძლებელი ჩინეთიდან საქართველოში სატვირთო მატარებლის ჩამოსვლა და ტვირთების ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირება. რაც შეეხება ევროკავშირს, იგი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების განვითარებით, ვინაიდან სწორედ ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა მიიღონ ძირითადი ტვირთები და ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან. ევროკავშირი დაინტერესებულია მაქსიმალურად მოხდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მეტი ინტეგრაცია ევროპაში, მათ შორის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზით. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ის, როგორც სუპერსახელმწიფო, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენს რეგიონს, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი აშშ-ის უშუალო გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ესაზღვრება — ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციასა და, მეორე მხრივ, ირანის ისლამურ რესპუბლიკას. გარდა ამისა, აშშ დაინტერესებულია კასპიის ენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელებით და მასში ამერიკული ინვესტიციების დაბანდებით. ამერიკა თვლის, რომ თავისი კომერციული

ინტერესების გაძლიერება ასევე აშშ-ის პოლიტიკური ინტერესების გაძლიერებასაც გამოიწვევს რეგიონში.

3. „ერთი გზა — ერთი სარტყელი“, ეს არის ამბიციური ჩინური პროექტი, ინიცირებული პრეზიდენტის სი ძინპინის მიერ 2013 წელს. პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკურ ჭრილში, რომელიც აშშ-ის დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რადგან აშშ ჩინეთს თავის მოწინააღმდეგედ განიხილავს. ამ პროექტში საქართველოს ჩართულობა ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მეორე მხრივ, აშშ-ის პირდაპირ ინტერესებშია ეკონომიკურად ძლიერი საქართველო. საქართველოს ჩართულობა პროექტში მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვითარდება ორმხრივი ურთიერთობა ჩინეთსა და საქართველოს შორის. დღეს ჩინეთი გახლავთ საქართველოს ნომერ მესამე სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი. საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა ერთ მილიარდ დოლარს აჭარბებს. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების დაბანდება საქართველოში და ის, რომ სამხრეთ კავკასია, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციის მქონე რეგიონი, ჩართული იყოს „ერთი გზა-ერთი სარტყლის“ პროექტში.

4. თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია. თურქეთზე მოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 12-13%. თურქეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელებით. მაგალითად, ტანაპის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აზერბაიჯანიდან თურქეთში და თურქეთიდან ევროპაში 16-დან 32 მილიარდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას; ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, პირველ ეტაპზე, 6.5 მილიონი ტონა ტვირთის, ხოლო, მეორე ეტაპზე — 17 მილიონი ტონამდე ტვირთის ტრანსპორტირებას, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო სისტემების გამოყენებით. ამრიგად, თურქეთი დაინტერესებულია საქართველოს

ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებით და საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანთან ურთიერთობების დამყარებით. მართალია, „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტის შემდეგ, შესაძლებელია, ნახიჩევანიდანაც დამყარდეს გარკვეული სატრანსპორტო კავშირები თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, მაგრამ ძირითადი განმსაზღვრელი მაინც იქნება საქართველოს ტერიტორია. რაც შეეხება ირანს, ის დაინტერესებულია ინვესტიციების დაბანდებით საქართველოს ეკონომიკაში, თავისი პროდუქციის ევროპაში ექსპორტირებით. ქართული ნავსადგურების გამოყენებით. ჯერ კიდევ 1995 წელს, ირანის ყოფილი პრეზიდენტი, აქბარ ჰაშემ რაფსანჯანი ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს ეწვია და უდიდესი ინტერესი გამოხატა, შავი ზღვის რეგიონის გავლით, ირანული ენერგორესურსების დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებაში.

დანართი 16.

პეტრე მამრაძე — ქართველი თანამდებობის პირი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი.

1. სამხრეთ კავკასიის როლი, მთლიანობაში, საკმაოდ მნიშვნელოვანია. სულ რამდენიმე თვის წინ, თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ გამოცხადდა, რომ თურქები და აზერბაიჯანელები არიან ერთი ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ ორ სხვადასხვა სახელმწიფოში. ასევე, საჯაროდ ითქვა, რომ შემდეგში, ისინი დაეხმარებიან აზერბაიჯანელებს, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო კონტექსტში, ვინაიდან ისინი არიან თურქები, ხოლო თურქები, თავის მხრივ, არიან აზერბაიჯანელები. ყარაბაღის კონფლიქტიც დასრულდა აზერბაიჯანის ტოტალური გამარჯვებით. ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად, სრულიად ახალი გეოპოლიტიკური

ვითარება წარმოიშვა. რაც შეეხება საქართველოს, 2008 წელს განვითარებულ მოვლენებში პასუხისმგებლობას საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს აკისრებს, რომელთა დაუფიქრებელი ქმედების შედეგად, დღეს რუსული ტანკები დგას დედაქალაქიდან 30 კილომეტრის დაშორებით.

2.ფრიად გადაჭარბებული წარმოდგენაა შექმნილი, რომ მთელ მსოფლიოს და დიდ მოთამაშეებს საკმაოდ დიდი ინტერესები აქვთ საქართველოს მიმართ. ეს ასე არ არის. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედრო ბაზები დაბრუნდა საქართველოში და რუსული ტანკები დადგა თბილისთან ახლოს. ეს არის ძირითადი ფაქტორი, რაც განაპირობებს ლიმიტს, ზღვარს ამ ინტერესებისა.

3. ჩინურ პროექტთან დაკავშირებით, უფრო მეტი პროპაგანდა და პიარია, ვიდრე კონკრეტული საქმე. ჩინეთს არ ჰყოფნის ძალა, რომ ეს განახორციელოს. საქართველოსთვის, რომელსაც კოლოსალური გარღვევა აქვს ყოველწლიურად, ნებისმიერი შემოსავალი, განსაკუთრებით კი, თუ იგი დერეფნის ფუნქციას შეასრულებს და მასზე ტვირთები გაივლის, მომგებიანია. ჩინეთისთვის ეს „წვეთიც არ არის ზღვაში“. ჩინეთის ვაჭრობა ევროკავშირთან 2 მილიარდ ევროს აღემატება დღეში, მაგრამ საქართველოსთვის, აღნიშნული პროექტის განხორციელება, ძალიან მომგებიანი და ღირებულია.

4. ირანის სახელმწიფო შიიტურია, ისლამურია და როგორც კომუნისტებს უნდოდათ, მათი იდეოლოგიის ყველგან გავრცელება და ამაზე კოლოსალურ დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ. ასევე, ირანს უნდა შიიზმის გავრცელება მსოფლიოში. საკმაოდ ბევრი აზერბაიჯანელი საქართველოში შიიტია. ცალკეული ირანელები ვერ ძლებენ იმ რეჟიმში, რაც არის ირანში და ჩამოდიან საქართველოში. რაც შეეხება თურქეთს, მათ ჯერ კიდევ წლების წინ განაცხადეს, რომ ოსმალეთის იმპერიის აღდგენა სურთ, ისე, როგორც ფართოვდება ევროკავშირი, მშვიდობიანი გზით, პროექტებით,

ისე, როგორც მათ ეს უკვე გააკეთეს აჭარაში და ბათუმში. თურქებს ამ პროცესის გაგრძელება სურთ.

დანართი 17.

ზვიად აბაშიძე — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

1.სამხრეთ კავკასია, სამ ქვეყანას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებს. რეგიონის ქვეყნებს, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, განსხვავებული ორიენტაციები აქვთ. მკვლევრის მიხედვით, თანამედროვე მსოფლიო უფრო მულტიპოლარულისკენ მიემართება, თუმცა ის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ფორმირებული და გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. ამ ტრანსფორმაციის პროცესში, უკანასკნელ წლებში, სამხრეთ კავკასიას უფრო დიდი ფუნქცია მიენიჭა, ვიდრე აქამდე ჰქონდა და, პირველ რიგში, ეს გამოიხატება იმით, რომ ის არის ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანი. ეს ფაქტი სამხრეთ კავკასიას, რეგიონული მასშტაბით, მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს.

2. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თუნდაც იმიტომ, რომ მას ზღვაზე გასასვლელიც აქვს. მასზე გადის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სატრანზიტო გზა და რეგიონში ერთგვარ გზაგამყოფადაც კი ითვლება ნატოს წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის; ისლამსა და ქრისტიანობას შორის. სწორედ ამიტომ არის დიდი სახელმწიფოების ინტერესები წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში, თუმცა ეს ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ „მის

გარშემო ბრუნავს მთელი მსოფლიო“. ეს ასე არ არის, მაგრამ არავინ უარყოფს იმასაც, რომ მას უდიდესი რეგიონული მნიშვნელობა გააჩნია. რუსეთისთვის საქართველო მხოლოდ მისი ყოფილი პროვინციაა და დარჩება პროვინციად. საქართველოს აღქმა მათთვის, გარკვეულ სენტიმენტებთან არის დაკავშირებული და ნოსტალგიური დამოკიდებულებით ხასიათდება. შეიძლება იმავე ითქვას თურქეთზე, თუმცა თურქეთს მაინც არ აქვს ისეთი ემოციური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, როგორც რუსეთს.

3. ნებისმიერ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა საქართველოს გარკვეულ ფუნქციებს შესძენს. თუმცა მნიშვნელოვანია, ქვეყანამ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე გაამახვილოს ყურადღება და თუ იგი ხედავს რაიმე საფრთხეს ამა თუ იმ პროექტში, შეიძლება, წარმატებით აირიდოს ეს საფრთხე. იმ შემთხვევაში, თუ „ერთი გზა — ერთი სარტყლის“ პროექტი განხორციელდა, საქართველოს აუცილებლად მოუწევს მასში მონაწილეობის მიღება. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ აქცენტირება გააკეთოს საკუთარ სარგებელსა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

4. ირანის და თურქეთის ინტერესები საქართველოში ისევ და ისევ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ პრიზმაში განიხილება. ირანისთვის საქართველო, ფაქტობრივად, ფანჯარა აღმოჩნდა, დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით. არსებობს ვარაუდი, რომ ირანსა და თურქეთს იმპერიალიზმისა და წარსული დიდების აღდგენა სურთ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რა გვსურს ჩვენ და არა რა სურს, რომელიმე, კონკრეტულ სახელმწიფოს. რაციონალური, პრაგმატული პოლიტიკის გატარებით, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება რეალურად შესაძლებელია. ჩვენ თუ გვინდა რომელიმე დიდი სახელმწიფოს (ეს იქნება რუსეთი თუ თურქეთი) პროვინციად ქცევა, ესეც ჩვენი გადასაწყვეტია. ავიღოთ, ამერიკის შეერთებული შტატები, რაც არ

უნდა დიდი ინტერესები გააჩნდეს მას რეგიონში, მის პროვინციად ჩვენ ვერ გავხდებით, ის ჩვენამდე ვერ მოვა. ეს შეუძლებელია. თუ რუსეთის პროვინციად ყოფნას ვამჯობინებთ, იმის გამო, რომ თურქეთის და ირანის გვეშინია, ესეც სხვა საკითხია და ამ შემთხვევაში, არასწორი გზით მივდივართ. რეალურად, არც თურქეთს და არც ირანს, ძლიერი რუსეთის ხილვა არ სჭირდებათ. მათ სჭირდებათ კავკასიაში, ბუფერის სახით, დამოუკიდებელი სახელმწიფოები არსებობდნენ და ისინი ამას არ შეეწინააღმდეგებიან, როგორც ეს მოხდა 1795 წელს. რუსული ნარატივის მიხედვით, რომ არა რუსეთი, ყველაფერი ცუდად იქნებოდა. ეს ტყუილია. რომ არა რუსეთის მზარდი სწრაფვა კავკასიისკენ, ირანსა და ოსმალეთს არავითარი პირდაპირი ინტერესები არ ჰქონდათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოესპოთ, იმ დროის მოცემულობით. თურქეთს და ირანს არ სჭირდებათ რუსეთთან პირდაპირი საზღვარი. ეს მეტი პრობლემაა მათთვის და ურჩევნიათ, რომ კავკასიის ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებლები. ის, რომ თურქები ბათუმს დაიპყრობენ და ა.შ. მხოლოდ პროპაგანდის ნაწილია. დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაქრობა სამხრეთ კავკასიაში გამოიწვევს რუსეთისა და ირანის, ასევე, რუსეთისა და თურქეთის პირდაპირ მეზობლობას.

დანართი 18.

გურამ მარხულია — ისტორიის მეცნიერების დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

1. სამხრეთ კავკასია მიკროსივრცეა. ეს არ განიხილება დიდ სივრცედ. აშშ-სა და დიდ გლობალურ მოთამაშეებს სურთ, რომ აღნიშნული სივრცე იყოს ერთიანი — ერთი ორგანიზმი, ვინაიდან კავკასია არ მოიაზრება დიდ

გლობალურ სისტემად. დღეს ეს სივრცე ორად არის გაყოფილი. საქართველოს კონფლიქტების შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები რუსეთმა მიითვისა, სომხეთი რუსეთის სატელიტია, ხოლო აზერბაიჯანი ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას, ცხადია, თურქეთის მძლავრი გავლენის ქვეშ.

2. დიდი მოთამაშეების ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში განპირობებულია სატრანსპორტო გზის არსებობით. მათთვის მომგებიანია ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცის მოპოვება, სწორედ რეგიონის სატრანსპორტო ფუნქციის გამო, მაგრამ საქართველო არ არის იმდენად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკურად, როგორც აზერბაიჯანი. საქართველო, უბრალოდ, სატრანზიტო ტერიტორიაა, სწორედ ამ გზამ მოგვცა ჩვენ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ამიტომ ვართ საინტერესო დასავლეთისთვის. ნატო კავკასიის რეგიონში სტაბილიზაციას უზრუნველყოფს. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთი ხელს უშლის ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას კავკასიის ტერიტორიაზე, რადგან ყველა გზა, რომელიც ნავთობპროდუქტების ევროპულ ბაზარზე მიწოდების კუთხით, რუსეთის გვერდის ავლით განხორციელდება, რუსეთისთვის წამგებიანია.

3. მომავალი ჩინურ სამყაროს ეკუთვნის (დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე) და ის არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ეწინააღმდეგება აშშ-ს. მსოფლიოში არსად დგას ჩინეთის ჯარი, მაგრამ ის ნელ-ნელა მიიწევს წინ და იპყრობს უდიდეს სივრცეებს, ცხადია, ეკონომიკურ კონტექსტში. საქართველოსთვის ამ პროექტში ჩართულობა კარგია არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. ჩინეთი ანგარიშგასაწევი ძალაა, რომელსაც აქვს არა დროებითი, არამედ მუდმივი ინტერესები.

4. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენ დღეს ვიმყოფებით XVIII საუკუნის მიჯნაზე, როდესაც რუსეთის იმპერია შემოვიდა სამხრეთ

კავკასიაში, მაგრამ დღეს აშშ რეგიონში ლიდერს ხდის თურქეთს, ვინაიდან აშშ და თურქეთი მოკავშირეები და ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან. რაც შეეხება რუსეთს, ის იბრძვის თურქეთის დომინანტური პოზიციის შემცირებისთვის. „მთიანი ყარაბაღის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში ვნახეთ, რომ რუსეთმა სამხედრო უპირატესობა მოიპოვა თურქეთთან შედარებით — თავისი სამხედრო კონტინგენტის განთავსებით მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში. ამით გაუსწრო კიდევ ანკარისა და თეირანს. სამივე ძალა ძალიან ძლიერია. როგორ განვითარდება მოვლენები ამას დრო გვიჩვენებს.

დანართი 19.

აბდულაჰ ეროლი — პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ვანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თურქეთი) პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1. დღეს, ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის ნაცვლად, გრძელდება მრავალპოლარული, მაგრამ მაინც კონფლიქტზე დამყარებული პოლიტიკა. სამხრეთ კავკასიამ, რომელიც ისტორიულად განსხვავებული კულტურისა და ცივილიზაციის გადაკვეთის არეალს წარმოადგენდა, ცხადია, ახალ პოლიტიკურ რეალობაშიც განაგრძო არსებობა. უფრო მეტიც, იგი გახდა არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებების, კონფლიქტთა შეჯახების ადგილი. ალბანეთი, სომხეთი და იბერიის ანტიკური სამეფოები უძველეს სახელმწიფოთა რიგებში შედიან. მოგვიანებით, ეს სამეფოები აქემენიანთა, პართიისა და სასანიდების იმპერიაში გაერთიანდნენ. შედეგად, რეგიონში ჯერ ზოროასტრიზმი, შემდეგ კი ქრისტიანობა გახდა დომინანტი რელიგია. VII საუკუნიდან, სამხრეთ კავკასიაში ისლამი გავრცელდა. მომდევნო

საუკუნეებში, სელჩუკების, მონღოლთა და თურქთა სახანოების მმართველობის ქვეშ მყოფი რეგიონი, 1501 წელს სეფიანთა სახელმწიფოს მმართველობაში გადავიდა. გარდა XVII საუკუნეში ოსმალეთის მმართველობის ხანმოკლე პერიოდისა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში სეფიანთა მმართველობა XVIII საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა. 1736 წელს, სეფიანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სამხრეთ ნაწილში, სიმბოლურად, ირანის მმართველობის ქვეშ, დე-ფაქტო დამოუკიდებელი თურქული სახანოები დაარსდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-ირანის ორი ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიის სრული ანექსია მოახდინა.

2.გამოცდილება, რომელიც სამხრეთ კავკასიელმა ხალხმა, ისტორიულად, მემკვიდრეობით მიიღო, არაერთი განსხვავებული ტომისა თუ გვარის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. აქ იკვეთება განსხვავებული რელიგია, კულტურა და ტრადიცია. სამხრეთ კავკასიელი ხალხები — აზერბაიჯანელები, ქართველები და სომხები, კულტურული თვალსაზრისით, იზოლირებულნი არიან ერთმანეთისგან, რეგიონის მთიანი ბუნების გამო. უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება რუსეთის ფედერაციისთვის ძალიან მგრძნობიარე საკითხად არის მიჩნეული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც მიუთითებს აღნიშნული საკითხის სენტიმენტალურობაზე. აგვისტოს ომის შემდეგ, თურქეთმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს სტაბილურობის პაქტი შესთავაზა. უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოსა, და უფრო ფართო კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის რეგიონში უაღრესად მნიშვნელოვანია ევრაზიის კონტინენტის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის.

3. 2013 წლის შემდეგ ჩინეთმა, ევროპასთან სავაჭრო გზაზე, „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ პროექტის ინიცირება მოახდინა. აღნიშნული დერეფანი, რომელიც უძველესი „აბრეშუმის გზის“ უძველეს საზღვარზე მდებარეობს, მიზნად ისახავს ჩინეთსა და ევროპას შორის კავშირების გაღრმავებას, კერძოდ კი, სატრანსპორტო ქსელის გაფართოებას რკინიგზისა

და პორტების საშუალებით, რაც ასევე გამოიწვევს ტრანსპორტირების ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას. ცალკე აღნიშვნის ღირსია თურქეთის მხარე, რომელიც პროექტის შუა დერეფანშია წარმოდგენილი და უაღრესად მნიშვნელოვან მდებარეობას იკავებს. არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ ისტორიული აბრეშუმის გზის „გაცოცხლება“ სამხრეთ კავკასია-ჩინეთის ურთიერთობებში, ორივე მხარის ეკონომიკურ სარგებელს მნიშვნელოვნად გაზრდის. ამასთან, მნიშვნელოვანია განვჭვრიტოთ ის საფრთხეები, რომლებიც აღნიშნული პროექტის განხორციელებას სდევს თან. მიიჩნევა, რომ ამ პროექტის განხორციელების შედეგად, ჩინური კულტურა შექმნის ერთგვარ ჰეგემონიას მსოფლიოში. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიელი ხალხების, ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების რელიგია და კულტურა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია, მათი თანხვედრა ჩინურ კულტურასთან არაერთგვაროვანი და განსხვავებული იქნება.

4. მეზობელ ქვეყნებს, ისტორიულად, მნიშვნელოვანი და განსხვავებული ინტერესები აქვთ. რეგიონის ქვეყნებმა უნდა გაზარდონ ერთმანეთთან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები და ერთობლივი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ის გამოწვევები და საფრთხეები განიხილონ, რომლებიც მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ამასთან, ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებულ პრინციპებს. აღნიშნულ კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი და ირანი ნამდვილად ცდილობენ აღნიშნული ფორმატის ფარგლებში დაბალანსებული პოლიტიკის შემუშავებას. აზერბაიჯანული ნავთობის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) საერთაშორისო ბაზრებზე ტრანსპორტირების კონტექსტში, ცალსახად ჩანს, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოზიცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული და გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ასევე, ვხედავთ, რომ სამი რეგიონული ძალა — თურქეთი, ირანი და რუსეთი მიზნად ისახავს გააკონტროლოს სამხრეთ კავკასიის

რეგიონი და შეინარჩუნოს გავლენა მასზე. ამასთან, აღნიშნულ რეგიონულ აქტორებს შორის კონკურენციის პარალელურად, რეგიონში დროდადრო ჩნდება წამყვან აქტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები.